ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

# ლიტერატურული საქართველო

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, № 10 (2789) გამოცემის მე-60 წელი, 1991 8 მარტი ფასი 40 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს ნომერში









●

**ნოდარ ტაბიძე:**

ი. კროტკოვმა გალაკტიონი სტალინის აბჯარმტვირთველად წარმოგვისახა და უმთავრეს საქმედ სტალინიზმის პროპაგანდა ჩაუთვალა. გვ. 10

●

**მივი თაქთაქიშვილი:**

საქართველოს პოტენციალი სჭირდება იმპერიას და ამიტომაც გვიჭერს ხელს. ჩვენი ეკონომიკა დანამატი იყო იმპერიული ეკონომიკისა. გვ. 2.

●

**ალექსანდრე სულხანიშვილი:**

ოცდაოთხი წლის გამოსვლების შემდეგ ქართველი ახალგაზრდები ჯგუფ-ჯგუფად გადმოდიოდნენ თურქეთში, რომ რუსებს არ ჩავარდნოდნენ ხელში. გვ. 4.

●

**რევაზ ჯაფარიძე:**

არასოდეს მიფიქრია ამ ლექსების გამოქვეყნება. ისინი მაშინ დაიწერა, როცა ცხრამეტი წლის ჭაბუკი ვიქავი... გვ. 8

●

**ადამ გოგლიაშვილის დედის ნატირალი:**

ავაკმე, წვერაიძეო, შვილ რად მომიკალივ, შვილ თუ მომიკალივ, თავ რად მომიჭერივ, თავ თუ მომიჭერივ, მე რად არ მომკალივ. გვ. 5

●

**ივან ბუნინი:**

...მაგრამ, აი, ბოლოს, როცა მეფდება ელამი, ენამოჩლექილი, მელოტი, სიფილისიანი ლენინი, იწყება ის ეპოქა, რომელზეც გორკიმ წამოროშა: „ჩვენ ვცხოვრობთ ვლადიმერ ილიჩ ლენინის გენიით გასხივოსნებულ ქვეყანაში...“ გვ. 14

●

**თამაზ ვასაძე:**

ვალერიან გაფრინდაშვილის მთავარი შემოქმედებითი მიზანსწრაფვა ქართული პოეზიის ხელახალი ევროპეიზაცია იყო. გვ. 3

●

**ჯულიეტა მილდიანი:**

კოი ვარსკვლავნო, რად იგვიანებთ,
მოდით, კვლავ გულზე გადამიარეთ!
გვ. 9.

●

**აბული დადიანი:**

ჩვენ ჯონჯი დადიანის ხელში ჩაგდება გვინდოდა, მისი უფროსი ძმა იმიტომ მოვკალით — ძოგვიანებით იტყვის მკვლელი სასამართლოზე. გვ. 12

●

**გადმოსცემს უცხოეთის რადიო:**

აშშ-ს ბიბლიოთეკებში დიდი მოთხოვნილება აა რემარკის, მეილერის, ჰემინგუეის წიგნებზე, საერთოდ მკითხველი მიეძალა ომის თემაზე დაწერილ წიგნებს. გვ. 11

●

**ვლადიმერ მაიაკოვსკი:**

ხელოვნება პროლეტარიატისთვის სათამაშო კი არა, იარაღია. ძირს „გუნიონოვშჩინა“ და გაუმარჯოს მოწინავე მუშათა წრეებს!
გვ. 14.

●

**ქართული ფულის სახელწოდებისათვის**
გვ. 6-7.

დღეს ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ეკონომიკური ურთიერთობებისაკენ

**გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარესთან გივი თაქთაქიშვილთან**

დღეს საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია რამდენად ახდენს გავლენას თქვენს მიერ შემუშავებული ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაზე. რა კეთდება ამ რეფორმების ცხოვრებაში გასატარებლად?

— ნებისმიერი რეფორმის გატარება რთულდება დაძაბული პოლიტიკური ვითარებით. დესტაბილიზაცია ხელს უშლის კანონპროექტების ყურადღებით, საფუძვლიანად განხილვას, ფერხდება შენიშვნებისა და წინადადებების მიღება. ეს ყველაფერი ჩვენს ფსიქიკაზეც მოქმედებს, ვიძაბებით, რადგან კანონპროექტი ყველამ არ წაიკითხა, ვერ გაეცნო. ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვა, როგორ ამოქმედდება ის მიღების შემდეგ— ყველაფერი ეს ჩვენს პასუხისმგებლობას აორმაგებს.

მუშაობაზე უარყოფითად მოქმედებს ისიც, რომ მოსკოვიდან, ჩვენი ნებისმიერი კეთილი წამოწყების ბლოკირება ხდება, იკრძალება ისეთი ურთიერთობები, რომლებიც სარგებელს არ მოუტანს იმპერიას. ეს, ბუნებრივია, აფერხებს ჩვენი ეკონომიკის გასვლას საერთაშორისო სარბიელზე, კლავს უცხო ფირმების ინტერესს ჩვენს მიმართ. ისინი ცდილობენ იქ წაიღონ თავიანთი კაპიტალი, სადაც ნაკლები იქნება წინააღმდეგობა.

ხშირად იმის გაკეთებაც გვიწევს, რაც არ ევალება საკანონმდებლო ორგანოს: ვეხმარებით საწარმოს ხელმძღვანელებს, ვამყარებთ კავშირს საზღვარგარეთის ფირმებთან. ზოგჯერ შუამავლის როლსაც ვკისრულობთ, ბევრი პრაქტიკული საქმის განხორციელება გვიწევს. ხშირად ინიციატივა უნდა გამოვიჩინოთ ამა თუ იმ საქმეში, შემდეგ ვთხოვოთ შესაბამის ინსტანციებს მისი შესრულება. დღეს შრომის განაწილების დრო არ არის. გვეხება თუ არა, რისი ძალაც შეგვწევს ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. ბევრი დეპუტატი მაჟორიტარული სისტემით გავიდა პარლამენტში, ამიტომ ვალდებულნი ვართ შევხვდეთ ჩვენს ამომრჩევლებს, მივხედოთ საარჩევნო უბნებს. ეს კი ყველაზე მთავარს — დროს მოითხოვს ჩვენგან.

მიუხედავად რთული პირობებისა, საკმაო სამუშაო გავწიეთ. მზადაა კანონპროექტი ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ. ახლახან განვიხილეთ კანონპროექტი საკუთრების შესახებ. საბოლოო რედაქტირების შემდეგ მას დავარიგებთ კომისიებში და გამოვაქვეყნებთ პრესაში. მზადაა კანონპროექტი დასაქმების შესახებ. სამუშაო ვარიანტად გვაქვს კანონი საწარმოსა და მეწარმეობის თაობაზე.

— პრივატიზაცია — სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა, მეტად მტკივნეული საკითხია და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ამას ისიც ემატება, რომ ამ პრობლემას დიდი მნიშვნელობა აქვს. რა პრინციპით, როგორ წარიმართება საქართველოში ეს პროცესი?

— თავად ის ფაქტი, რომ პრივატიზაცია უნდა მოხდეს, მოსახლეობაში დიდ გაუგებრობას იწვევს. ჩვენ მომხრენი ვართ ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციისა, რადგან საბჭოთა კანონებმა ბევრი მოხერხებული ადამიანი წაიყვანა ამ გზით. ეს ნიჭიერი და უნარიანი ხალხი ჩვენ არ უნდა დავკარგოთ, მაგრამ ისინიც უნდა ემსახურონ ეროვნულ საქმეს. ამიერიდან, კანონის დარღვევა არავის ეპატიება. მოვახდენთ პრივატიზაციას და გარკვეულ ნაწილს საწარმოებისას, სწორედ, რაღაც კაპიტალის მქონე ხალხი დაეპატრონება. მათ შორის იქნებიან საქმოსნებიც (ამ სიტყვის კარგი გაგებით) და, თუ კაცმა წარმოების ორგანიზაცია არ იცის, ის უმალ გაკოტრდება, დაბანდებული ფული წყალში გადაიყრება.

რა ვუყოთ იმათ, ვისაც სურვილი აქვს ჰქონდეს საწარმო, მაგრამ პატიოსანი შრომით, ხელფასით ირჩენდა თავს წლების მანძილზე. ჩვენ მათაც შევუქმნით იმის შესაძლებლობას, რომ ამ პროცესში მიიღონ მონაწილეობა. სურვილისამებრ მივცემთ გრძელვადიან სესხს. შეიძლება დაბეგვრის ისეთი სისტემაც შემოვიღოთ, რომ მათ, ვისაც სესხი აქვთ აღებული, ბეგარა შევუმსუბუქოთ. ასე რომ, შესაძლებლობები გვინდა ყველას თანაბარი ჰქონდეს, მაგრამ შემდეგ, თითოეულმა უნდა გამოამჟღავნოს თავისი უნარი.

ჩვენთან ასეთი ფსიქოლოგია იყო სამოცდაათი წლის განმავლობაში: რადგან მდიდარია, უნდა დავიჭიროთ. დღეს სხვანაირად უნდა ვიფიქროთ. მე უნდა ვიმუშაო ისე, რომ მასზე მდიდარი ვიყო. აი, ეს გამოიწვევს ჯანსაღ კონკურენციას. შესაძლებელია, რომ ამ გზას მოჰყვება გარკვეული სოციალური კოლიზიები, მაგრამ ჩვენ გვინდა შევქმნათ გარკვეული სისტემა სოციალური გარანტიებისა. კანონპროექტში, დასაქმების შესახებ, ეს საკითხებიცაა ჩადებული.

ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, უნდა გავირბინოთ გარკვეული პერიოდი, რომელიც, შეიძლება, ძალიან კრიზისული აღმოჩნდეს, ახლა ერთი დღით შეფერხება, ხვალ ათი და თხუთმეტი წლით ჩამორჩენად შემოგვიბრუნდება. ამიტომ ეს პროცესი უნდა დავაჩქაროთ.

მოსახლეობას ჩვენზე უკეთ შეუძლია შეაფასოს ცხოვრების როგორი წესია მათთვის მისაღები, სოციალისტური თუ კაპიტალისტური. თანაც თვალწინაა მაგალითი ორი კორეის, ორი გერმანიის, სწორედ აქედან უნდა გავაკეთოთ ჩვენც არჩევანი...

„საბაზრო ეკონომიკა" მოგონილი, შეკოწიწებული ტერმინია. ჩვენ გადავდივართ კაპიტალისტურ ურთიერთობებზე. „კაპიტალისტურს" — განგებ არ ხმარობენ, სოციალისტურმა იდეოლოგიამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ჩვენ გვსურს, ხალხს შევუქმნათ შრომის ისეთი პირობები, რომ თავიანთი ნიჭი და უნარი გამოავლინონ.

მეწარმის თავისუფლება უნდა უზრუნველყოს კანონმა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის დემოკრატიულად განვითარებას. თუ ძირითადი ეკონომიკური ბერკეტი საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ან პარტიამ იგდო ხელთ — ეს ჩვენი ეკონომიკის განადგურება იქნება. თუმცა ეს ნაკლებად მოსალოდნელი საშიშროებაა.

— „მრგვალი მაგიდის" ეკონომიკურ პლატფორმაში, საკუთრების ფორმათა შორის უპირატესობა კერძო საკუთრებას ენიჭება, მაგრამ მისი სტიმულირებისათვის გარკვეული პირობაა საჭირო, როგორც სახელმწიფოს, ისე მოსახლეობის მხრივ...

— განვიხილეთ კანონპროექტი საკუთრების შესახებ. არცერთ ფორმას საკუთრებისას ჩვენ უპირატესობას არ ვანიჭებთ. კონკურენციაში რომელიმე მათგანი დაამტკიცებს თავის უპირატესობას. მწამს, რომ კერძო საკუთრება გაიმარჯვებს, რადგან ის უფრო მოქნილი და ალღოიანია. მჯერა, თუ სახელმწიფოც არ გამჯვა, როგორც კერძო მესაკუთრე, ისიც გაკოტრდება, დაიჩრდილება.

სახელმწიფო საკუთრება, რაღაც გარკვეულ მუდმივ წილს არ უნდა წარმოადგენდეს, ის მობილური უნდა იყოს — გარკვეულ შემთხვევაში, შეიძლება, სახელმწიფო გამოვიდეს მშველელის როლში, შეისყიდოს წამყვანი საწარმო. რენტაბელობის დონემდე მიიყვანოს, შემდეგ კვლავ უნდა გაყიდოს ის. ასე ხდება ინგლისში — პრივატიზაციისა და რეპრივატიზაციის პროცესი უწყვეტია.

კონკურენციის მომენტი მუდმივი უნდა იყოს და სახელმწიფოც მასში უნდა მონაწილეობდეს, როგორც ერთ-ერთი იურიდიული პირი.

ჩვენი კანონპროექტი საკუთრების შესახებ ემყარება ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას. ამ მიმართულებით ბევრი იმუშავეს კომისიის წევრებმა. აქ უამრავი რამ აღმოვაჩინეთ ისეთი, რისთვისაც ჯერ მზად არა ვართ. ამიტომ, ბევრი რამ შევცვალეთ ჩვენი სიტუაციის გათვალისწინებით.

— დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა, უკვე დიდი ხანია, დავა-კამათის საგანია. დღეს, როცა გაეცანით სიტუაციას, ალბათ, შეგიძლიათ გვითხრათ, რა პოტენციალს ვფლობთ, ერთი სიტყვით, შევძლებთ თუ არა ვირჩინოთ თავი?

— ჩვენ რომ თავის რჩენა არ შეგვძლებოდა, საბჭოთა კავშირიდან უკვე დიდი ხნის გამოგდებული ვიქნებოდით. საქართველოს პოტენციალი სჭირდება იმპერიას და ამიტომაც გვიჭერს ასე ხელს. ჩვენი ეკონომიკა დანამატი იყო იმპერიული ეკონომიკისა. თუნდაც ერთი ფაქტი ავიღოთ: პერიფერიების — რესპუბლიკების ეკონომიკის ტექნიკურ დონეს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. სტატისტიკური მონაცემებით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ჩვენი მრეწველობის ტექნიკური დონე ორჯერ ჩამორჩება საკავშიროსას.

კრემლი შეეცდება ხელი შეუშალოს ჩვენი ეკონომიკის პერეორიენტაციას (ეს ხდება კიდეც). ჩვენ რომ სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებაზე წავსულიყავით, ყველა ხელოვნურად შექმნილი პრობლემისაგან განვთავისუფლდებოდით. მოთმინებაა საჭირო, რომ ეკონომიკა შემოვატრიალოთ ჩვენთვის სასურველი მიმართულებით.

ახლახან „იზვესტიის" კორესპონდენტს განვუცხადე, საბჭოთა კავშირიდან გასვლაში არ ვგულისხმობთ, რომ მტრად ვეკიდებით ყველას. ჩვენ ყველა ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნება გვსურს. ინტეგრაციის პროცესი, რომლის თავსმოხვევას გორბაჩოვი გვპირებს, გარდაუვალია, მაგრამ არა მხოლოდ საბჭოთა კავშირთან, არამედ მთელ მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემასთან.

— საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ფასების ზრდას გამოიწვევს. ეს დიდი დარტყმა იქნება მოსახლეობის ე. წ. ნაკლებად უზრუნველყოფილი ნაწილისათვის, მოხდება თუ არა მათთვის დანაკლისის კომპენსაცია?

— ფასების მომატება გარდაუვალია. ჩვენ უნდა დავუახლოვდეთ მსოფლიო საბაზრო ფასებს და, ბუნებრივია, ხელფასებიც ამ დონემდე უნდა ავიყვანოთ. ეს პროცესი კომპლექსურად უნდა წარიმართოს. ყველაფერი რომ უმტკივნეულოდ მოხდეს, გარკვეული დამცავი მექანიზმი უნდა შეიქმნას, აუცილებელია საკომპენსაციო სისტემის შემუშავება. ეს უნდა ეხებოდეს, სწორედ მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ფენებს.

საბოლოოდ, როცა წელში გავიმართებით, შემოსავალი თავად უნდა არეგულიროს პიროვნებამ. თუ კარგად იმუშავებ, სახსრებიც გექნება და უზრუნველყოფილიც იქნები, მაგრამ ეს წლების შემდეგ შეიძლება განხორციელდეს.

— როდის გახდება შესაძლებელი ეროვნული ფულადი ნიშნის შემოღება? რა ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს იგი?

— ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს. გარდამავალი პერიოდის ბოლოსათვის, როცა მოვღონიერდებით, შევძლებთ ქართული ფულადი ნიშნის შემოღებასაც. ეკონომიკური ეფექტი კი ის იქნება, რომ ჯერჯერობით დაგვიცავს იმ ფინანსური ზეგავლენისაგან, რასაც ამჟამად განვიცდით. თანაც ეროვნული ფული ეროვნული სიამაყეა.

— დღეს საქართველოს მთავრობა ცდილობს უშუალოდ რესპუბლიკებთან დაამყაროს ეკონომიკური ურთიერთობები, მაგრამ, რა თქმა უნდა, საკავშირო ორგანოებთან კავშირების გაწყვეტა, ჯერჯერობით, შეუძლებელია. ხშირად გაისმის, რომ საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობა სხვადასხვა რესპუბლიკებთან ნატურალური გაცვლა-გამოცვლის დონეზე ხდება, რას მოიმოქმედებთ, თუ ეს რესპუბლიკები მათ მიერ წარმოებულ პროდუქტს გააძვირებენ?

— დასავლეთის ექსპერტებიც გვირჩევენ, რომ პირდაპირ რესპუბლიკებთან დავამყაროთ კავშირი. ნატურალურ-საქონელგაცვლა არ არის ურთიერთობის ყველაზე დახვეწილი ფორმა, მაგრამ ეს პროცესები უფრო და უფრო დაიხვეწება და უფრო კარგ საქმიან ურთიერთობებზე გადავალთ. თუ მოხდა ფასების ზრდა, იძულებულნი ვიქნებით ჩვენც გავაძვიროთ ჩვენი პროდუქცია, სხვა გზა არ არის. მაგრამ ყველაფერი ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე უნდა მოხდეს. თუ ეს ურთიერთობა ჩვენთვის ხელსაყრელი არ იქნება, სხვა გზებს გამოვძებნით.

— საკავშირო ეკონომიკური მარწუხებიდან თავის დაღწევა, ეტაპობრივად განხორციელდება. ამ რეფორმების ციკლი, ალბათ, საკავშირო დაქვემდებარების დაწესებულებებსაც შეეხება, რა ბედი ეწევა მათ?

— ძალიან დიდი პრობლემებია საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებთან დაკავშირებით.

საკავშირო დაქვემდებარებიდან ბევრი საწარმოს გამოსვლა, მტკივნეული იქნება, ზოგან იოლად მოგვარდება ყველაფერი, აქაც დიპლომატიაა საჭირო. იმის დამტკიცებას კი ალარაფერი უნდა, რომ ამ საწარმოებმა დიდი ხანია გამოისყიდეს თავიანთი თავი და ჩვენს საკუთრებას წარმოადგენენ.

გარდამავალ პერიოდში უნდა შევქმნათ იმგვარი ეკონომიკა, რომლის ძალით შევძლებთ დამოუკიდებლად, ავტონომიურად ფუნქციონირებას. ამ ეტაპის გავლის შემდეგ შესაძლებელი იქნება პოლიტიკური დამოუკიდებლობის დეკლარაციაც.

ესაუბრა **ნათია ჯაყელი**

**მოსკოველი ფაკირი**




მკითხველის — გიორგი ნაცვლიშვილის ნახატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სანატრელი და რეალური

## თამაზ ვასაძე

ფაქიზი პოეზია და პოეზიის შესახებ ნააზრევი, პოეტური თარგმანები — ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა პირველად წარმოგვიდგა ერთიანად და სრულად მის ერთტომეულში (მერანი, 1990. დასაფასებელია შრომა, რომელიც წიგნის შესადგენად მარინე ქუონიამ გასწია; წინასიტყვაობის ავტორია გურამ ბენაშვილი).

სიმბოლისტებმა ქართულ პოეზიაში, უწინარეს ყოვლისა, ლირიკული სუბიექტის სტატუსი შეცვალეს, აამაღლეს. ლირიკული სუბიექტი მათ ობიექტური სამყაროს ტოლფასი და თანაფარდი გახადეს და მას თვითკმარობა მიანიჭეს. იგი თავისთავიდან, თავისი ერთადერთობიდან და განუმეორებლობიდან, თავისი შინაგანი უსასრულობიდან ბადებს და ამოზიდავს უცნობ ავტონომიურ სინამდვილეს; ჭვრეტს მის უცხო, ეგზოტიკურ ლანდშაფტებს.

ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიაში ასეთი შემოქმედებითი წამოწყება განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, მეთოდური თანმიმდევრულობით და დაჟინებით არის განხორციელებული. ამიტომ აქ სხვა ცისფერყანწელების ლირიკასთან შედარებით, უფრო ჭარბადაა ირეალურთან შეხების ცდები: ლირიკული გმირის თავისთავადობა, თვითკმარობა მით უფრო მეტია, რაც უფრო ეთიშება ის გარემომცველ ემპირიულ სინამდვილეს. ვალერიან გაფრინდაშვილის მრავალ ლექსშია წარმოსახული რეალობისგან გამიჯნული სულის „ინტერიერი", აქ დადგმული ფეერული წარმოდგენები, რომელთა პერსონაჟები, პოეტთან და მის ორეულთან ერთად, მითოლოგიური და ლიტერატურული გმირების აჩრდილები არიან. უნდა ითქვას, რომ ხშირად ეს ლანდური წარმოდგენები რაციონალურად კონსტრუირებულს უფრო ჰგავს, ვიდრე ირაციონალურის უნებლიე გამოცხადებას. ამ რკალის ლექსებში, მაღალი ოსტატობით და ფორმის, ენობრივი სტილის ელვარებით რომ არის შემკული, გამოირჩევა ზოგიერთი, სადაც გაისმის პოეტის სულიერი სამყაროს პირველსათავეებიდან ამომხდარი ხმა. ასეთია, მაგალითად, „მე — სარკეში", „ივანანა სამგლოვიარო", „შემოდგომა", „ოფელია-ევრიდიკა", „Interieur — მეორე", „სანტიმენტალური ტრიოლეტი" და ა. შ. თუმცა ვალერიან გაფრინდაშვილის ლირიკული გმირი გატაცებით ილტვის ლანდების სამფლობელოში, დროდადრო მას ღრმა, ნამდვილი, „არათეატრალური" შიში იპყრობს ირაციონალურის წინაშე, რომელიც სამყაროდან თუ საკუთარი არსების შიგნიდან ეძალება. კრთომა, თავისი სისუსტის და სიმყიფის განცდა უზარმაზარ და საიდუმლოებით სავსე სამყაროში ნიშანდობლივია ვალერიან გაფრინდაშვილისთვის. იგი გამოტანჯული სიწრფელით მჟღავნდება.

შენ, სულო, ჩემო, სევდით
დალალდი,
და გენატრება ლამის მალარო.
თუ გსურს გაფითრდი, როგორც
ქალალდი,
მხოლოდ ორეულს არ შემაყარო.

სხვა შემთხვევებში, როცა სახეობრიობის გარკვეული ხელოვნურობა შეინიშნება, საკუთრივ პოეტური განცდა, ემოცია შეუთხზველია. ეს ემოცია ხშირად არის კულტურით და სულიერი კდემამოსილებით დანელებული ნატვრა, ჩუმი მოლოდინი. სიყვარულის გრძნობაც ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიაში ფიცხი, დაუოკებლად ვნებიანი როდია, არამედ უჩვეულო სიწმინდესთან შეხვედრის მთრთოლვარე მოლოდინით და ნატვრით გამსჭვალული. ვალერიან გაფრინდაშვილის ფაქიზ პოეტურ მზერას ქალის სახეში ხიბლავს არაორდინარული ნაკვთი, რაღაც ისეთი, რაც ბანალური გაგებით არ არის მიმზიდველი („მიზეზიანი ტრფობა"); ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია „ფანტასტიური სურდო", სადაც იუმორი, პროზაული შტრიხები და სიმბოლისტური ეთერულობა მთლიანდება. გალანტური თამაშის ელემენტი, კურტუაზული სინატიფე, რაც ვალერიან გაფრინდაშვილის სასიყვარულო ლირიკას ახლავს, სრულყოფილ განსახიერებას პოვებს ლექსში „თეთრი საცოლო".

პოეტური ნატურის სიფაქიზეს მოწმობს ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებითი მიდრეკილება, აღმოაჩინოს მშვენიერი თუ არსებითი რაღაც მცირეში, ძნელად გამოსარჩევში, არათვალისმომჭრელში. ეს მიდრეკილება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი პოეზიის ინდივიდუალურ იერს და გამძლეობასაც, რამდენადაც უახლესი პოეტური აზროვნების განვითარების გეზს თანხვდება. იგი აღმოაცენებს, პირობითად რომ ვუწოდოთ, მცირე სიდიდეთა ესთეტიკას.

ზღვას აღარ უნდა თავის
სისრულე,
თითქო წურბელი გულზე მოება;
ულონო ტრფობით ის დაისრულა—
სურს ბეჭდის თვალში
განმარტოება;
რომ ქინძისთავის იგრძნოს
სინაზე
და გაჰყვეს სმენით მცირე
ნაკადულს.
რომ საქანელას მსუბუქ სინაზე
ჩამოეკიდოს, როგორც კაკადუ.

„წუმწუმების სიმღერაში" დამწვარი და ქუჩაში გადაყრილი ასანთის ღერები თავის შეუმჩნევლობას დასტირიან, ჩივიან, რომ მათ მიმართ ყველა გულგრილი და უყურადღებოა. მხოლოდ პოეტი იჩენს მათდამი სიხათუთეს, ამეტყველებს და მნიშვნელობას ანიჭებს ამ პატარა და უკვე გამოუსადეგარ ჩირაღდნებს, ბოლოს კი სანატრელ ხვედრს არგუნებს — სინათლის სამშობლოში, ვარსკვლავეთში გასიზნავს; დაისების ახოთამწყობი — მოკრძალებული და უჩინარი ხელობის კაცი, სხვისი შემოქმედების ჩუმი მსახური, პოეტის ნებით ამაღლებული გრძნობების და ხატების სამყაროს ეზიარება, მისი პატარა ფიგურა მოულოდნელად იზრდება; მზესუმზირას გამყიდველი, ასევე „პატარა ადამიანი", „ფეხებმორთხმული მონა ცხოვრების", სულიერად ემპირიული სინამდვილის მიღმა აზიდული სფეროს ბინადარია.

ის დაუზოგავ ზამთარ-
ზაფხულებს
წელში საკმაოდ გაუზნექია.
ითვლის ნაშოვარ სპილენძის
ფულებს,
ქუჩის მელოტი ნაცარქექია.
მზესუმზირათი ავსებულ ჭიქით
იგი ადიდებს ზეციურ ალახს.
უთუოდ ხედავს ღრუბლების
იქით,
ბაღებს, გურიებს, სამოთხის
ბალახს.

არსებითად იგივე ტენდენცია ვლინდება, როცა ულიმლამოს, ყოფით-ბანალურს იუმორის თუ თვითირონიის ობერტონების დახმარებით მოულოდნელად შეეჯვარება ოცნებისმიერი საწყისი. ასე ერწყმის ერთმანეთს, ვთქვათ, გრიპით ავადმყოფის არასახარბიელო ყოფა და ოცნება დიადზე და მომხიბლავზე.

ზღვა ჩემთვის მართავს დიდ
დღესასწაულს,
რა ვქნა რომ სენით ვარ
შეპყრობილი!
ბლომად დაფანტავს თავის
სამკაულს
ნიბელუნგების განძთა მფლობელი.
მაგრამ გონია დახუჭულ
თვალებს,
რომ სულ ახლოა ზღვა
შორეული,
ყინულის ბუშტი თავზე
კანკალებს,
როგორც მედუზა ქაფმორეული.

ვალერიან გაფრინდაშვილი ხშირად ქმნის ლექსს რაიმე შემთხვევის, თავისთავად უმნიშვნელო, მცირე ფაქტის, უბრალო, შეუმჩნეველი საგნის თუ მოვლენის „გაგრძელებით", პროეცირებით ფანტაზიის არეში; მათზე, როგორც ბაზისზე, ოცნების და თავისუფლად გაშლილი ხილვების დამყარებით. ასეთი თვითმყოფადი პოეტური პრინციპია ხორცშესხმული ლექსებში „უცნობი ქუჩა", „წყნეთის გზაზე", „გაზაფხული თებერვალში", „ელექტროშუქის ჩაქრობიდან ლამფის ანთებამდე", „ნოხი ნაპოლეონით", „ასკილი", „ხიდი" და სხვ. სინამდვილის ოცნებით გარდასახვა და გაშუქება, პოეტის რწმენით, აუცილებელია, „რომ სიხარული და გულისძგერა ყოფნის ქარბუქში არ გაიყინოს".

პოეტი არაერთ ლექსში გვიმხელს, რომ მისი მასულდგმულებელი ჭეშმარიტების ძიებაა, სამყაროს საიდუმლოების ამოხსნის წადილია („მე მაინც ვცდილობ, რომ სიკვდილამდე გავიგო ყოფა გაუგებარი"). თავდაპირველად ჭეშმარიტება მას უსაზღვროებაში, შორეულში და „იქითურში" ეგულება. შემდეგ იგი უსაზღვროებიდან მცირედისკენ და ახლობლისკენ შემობრუნდება („წინად მხიბლავდა უსაზღვროება, დღეს ოცნებისთვის კმარა შუამთა") და იგრძნობს, რომ ჭეშმარიტების სამყოფელი ადამიანის და ამ ახლობელი სინამდვილის შინაგანი წონასწორობაა, ოცნებისეულის და მიწიერის თანაზომიერებაა. ერთ ლექსში ქარი პოეტს ძველი ოცნების ახდენას — ამაღლებას და სამყაროს გრძნეულ იდუმალებათა მოხილვას პირდება. ამ აღმაფრენის დასრულების, ჯადოსნურთან გამოთხოვების სევდას კი ამსუბუქებს ამქვეყნიურობასთან დაბრუნების აუცილებლობის აღიარება.

ჩვენ გადავასწრებთ შორ
თვითმფრინავებს,
ძვირფას ვარსკვლავებს ავხვეტთ
პეშვებით,
წუთით ღრუბელზე
დავბინავდებით
და შემდეგ ისევ ძირს
დავეშვებით.

ვალერიან გაფრინდაშვილს, როგორც პოეტს, თავიდანვე დაჰყვა დიდი შინაგანი სიმშვიდის, სიმყუდროვის სურვილი. ეს უშფოთველობა ეცხადება მას სითეთრეში, რომელიც, მალარმეს მსგავსად, განსაკუთრებით იზიდავს,— იგი ზეგრძნობადი სამყაროს აბსოლუტური სიმშვიდის აღმთქმელია, მაგრამ შემდგომში სულის აუმღვრევლობის და სინათლის მიღწევა, რასაც პოეტი თავისკენ მიმოხმობს, მაგრამ შეუვალ მიღმურობასთან მიახლოებით ამაოდ ცდილობდა, თვალხილული სამყაროს, ბუნების სადა, მოკრძალებულ სილამაზეთა ჭვრეტით ხდება შესაძლებელი. ამ სადა მშვენიერებაში წვდება ოცნება თავის საგანს და აფერადებს მას. თურმე ის, რაც წარმოსახვას შორს იტაცებს როგორც უნაკლულო ბედნიერების ბუნდოვანი ხატი, ნამდვილად არსებობს, არსებობს აქვე, ბუნებაში, მის ქმნილებებში. ამის აღმოჩენა იწვევს ნეტარების — წყნარი სისავსის, სამყაროსადმი მოწიწების და მადლიერების თითქოსდა რელიგიურ გრძნობას.

მანამდე ვალერიან გაფრინდაშვილის ზოგიერთ გამორჩეულ ნაწარმოებში ბუნება საშიში ან მაცდური სახით წარმოჩნდება. კერძოდ, ცნობილ ლექსში „ზამთარი" იგი თითქოს ომს უცხადებს ქალაქს, რასაც პოეტი ორიგინალურად გამოხატავს ბუნების სამყაროში ისტორიის და კულტურის სფეროთა რეალიების გადანაცვლებით („ზამთარი მოდის თავის ტერორით, მან დაიკავა ყველა ქუჩები, ზამთარი მოდის, ვით კომანდორი, მათხოვრებით და თუთიყუშებით"). ხოლო „პროვინციალურ გაზაფხულში" სიცოცხლის განახლების ხალასი დეტალებით დახატული სურათი გასაოცარი კონტრაპუნქტით გადაიზრდება სიკვდილის უძლეველობის ხილვაში.

ცაზე ჰკიდია მზე — მალალური,
აპრილი აკრავს მწვანე აფიშებს,
ვით ბალდახინის თეთრი მსახური
სასაფლაოსკენ ის მიაბიჯებს.
სადაც მოელის ლეში უძრავი
გაზაფხულს, როგორც თავის
მესსიას
და აზრაილი შეუმუსრავი
კიდევ მოითხოვს შავ
პროცესიას.

ამგვარ პოეტურ აღქმას უნაცვლება ბუნების წარმოსახვა სანატრელის და რეალურის შენივთებად, რომელთან თანაზიარობა სულიერ წყლულებს ამთელებს. ასე იქმნება „გასეირნება ტაშისკარში", „რიონი", „თივის ზვინი", „დიდება ხეს", „ბროწეულის ტყე", „ბოტანიკური ბაღი", „მაისის ვარდი", „ზეციური სონეტი", „ბავშვობა და ნისლები", „ბუნებას"... პოეტური სიტყვა და სახე სავსებით ორგანული, თავისით მზარდი და მოძრავი ხდება, სიცოცხლის დენას გადმოსცემს. ვალერიან გაფრინდაშვილის სტილი მანათობელ გამჭვირვალებას მოიპოვებს, თუმცა, ზოგჯერ ამ გამჭვირვალებაში რაღაც ზმანებისეულიც გამოკრთის.

შენი ტალღების დიდი ამალით
და ძლიერებით კვლავ გამახარე.
შენი ქაფისა თუნდ ნატამალი
შემომაფრქვიე როგორც წამალი,
და ჩემი სახე შხეფით დაფარე.
. . . . . . . . .
შენს მარგალიტებს არა აქვს
ფასი
და მაინც მიყვარს შენი მედუზა,
როგორც შილერის მგზნებარე
თასი,
როგორც საუნჯე ათი ათასი,
ვით საოცარი, მთრთოლვარე
მუზა.
. . . . . . . . .
მრავალ იდუმალ მზით
მოქსოვილი,
და მეწამული, როგორც მარჯანი,
გადამაფარე ტალღა სოველი,
უკანასკნელად შენთან მოველი—
ან მომკალი და ან მომარჩინე.

ესთეტიკური დევიზი „დაბრუნება მიწასთან", რომელმაც ცისფერყანწელების პოეტური ევოლუციის მიმართულება მონიშნა, თვით მისი ავტორის, ვალერიან გაფრინდაშვილისთვის, როგორც ჩანს, მოასწავებდა, რომ „მიწასთან" მიახლოების საზრისი მიწიერ მშვენიერებაში „ციურის" — საოცნებოს ინტერპრეტაცია.

ვალერიან გაფრინდაშვილის, ისევე როგორც საერთოდ ცისფერყანწელების, მთავარი შემოქმედებითი მიზანსწრაფვა ქართული პოეზიის ხელახალი ევროპეიზაცია იყო. ეს მიზანსწრაფვა, პოეზიის გარდა, თვალსაჩინოა მის თარგმანებში და განსაკუთრებით ესეებში, რომლებშიც გამოსჭვივის პოეტური ხელოვნების არაჩვეულებრივი სიყვარული და თაყვანისცემა, პოეზიის ბუნების ღრმა გაგება; შესანიშნავი ერუდიცია და გემოვნება. ვალერიან გაფრინდაშვილის სტატიებში ევროპული ლირიკის ფონზე ფაქტობრივად სიმბოლიზმის საკმაოდ მწყობრი თეორიაა გადმოცემული. ქართულ კლასიკურ პოეზიაშიც ვალერიან გაფრინდაშვილისთვის უპირატესად საინტერესო და ძვირფასია ის, რაც ევროპული ყაიდისაა, რასაც სიმბოლისტური პოეზიის თავისებურებათა წინასახედ მიიჩნევს. ამგვარ ნიშნებს ეძებს იგი გურამიშვილის და ბარათაშვილის შემოქმედებაში. შესაძლოა აქ ყველაფერი არ იყოს მკაცრად დასაბუთებული, მაგრამ მთლიანობაში ეს არის ქართული ლიტერატურის მიღწევათა ევროპული კულტურის კონტექსტში განფენის სტიმულის მომცემი ცდები.

ესეისტიკაშიც ვალერიან გაფრინდაშვილი წარმოგვესახება ისეთი, როგორიც პოეზიაშია აღბეჭდილი — რაფინირებული, სულიერად მდიდარი და მაღალი პიროვნება და შემოქმედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეტეხის ციხე— 1923—1924

ალექსანდრე სულხანიშვილი

ჩვენმა თაობამ კარგად იცის გაწითლებული რუსეთის შემოჭრა და განადგურება საქართველოს დამოუკიდებლობისა 1921 წ. იცის ისიც რაცა ხდებოდა იმ უბედურ დროს. მაგრამ მე მინდა გავაცნო ჩვენ მომავალ თაობას რომელნიც იმ დროს უსუსური ბავშვები იყვნენ, და რომელნიც შემდეგ დაიბადნენ. მათ უნდა იცოდნენ მათი მამები და პაპები რა დუხჭირში იყვნენ, რუსეთიდგან შემოტანილი საშინელი სენით (კომუნიზმით). მაგრამ მეტი სავალალო იყო რომ თვით ქართველებში აღმოჩნდა მცირე ჯგუფი ძმათა გამყიდველებისა. ამისთანა ქართველები არავისა ზოგავდნენ, თავიანთ ნათესავებს და მეგობრებსაც კი. მათ თუ უწინ ვისთანმე უსიამოვნება ჰქონდათ, ეხლა ჯავრს იყრიან დაბეზღებით, ჩეკის საშუალებით. ყალბი დაბეზღებებით ბევრი დაიხვრიტა ჩეკის მიერ, ან გადასახლებაში სიცივითა და შიმშილით დაიხოცნენ. რუსეთიდგან შემოტანილი სენის გამო სისხლიდგან იწკრიტებოდა ჩვენი სამშობლო, რუსეთი მეტი ღონიერი და დაუნდობელი მტერი გამოდგა საქართველოსი, ვიდრე სხვა მტრები. რუსეთი ყოველივე ხერხით ცდილობს ჩვენ გარუსებას და განადგურებას. ასეთივე იყო ხელმწიფის რუსეთის პოლიტიკაც, მხოლოდ მაშინ ფრთხილად და რუსული სიყალბით ვრცელდებოდა ქართველი ერის გარუსება. წითლების შემოსვლისთანავე მეტის სიმკაცრით ვრცელდება ჩვენი ქვეყნის განადგურების პოლიტიკა. თუმცა რუსებმა დაპყრობილი ერებისაგან შექმნეს რესპუბლიკები: როგორც საქართველოსი, სომხეთისა, უკრაინისა, ბელორუსიისა, ადებეიჟანისა, და სხვანი, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი არის ნამდვილი რუსული სიყალბით, და როდესაც საჭიროდ დაინახავენ გამოაცხადებენ: ნიკაკიხ რესპუბლიკ ნე დელიმაია რასია. ორი-სამი წლის განმავლობაში კომუნისტებმა ორჯერ აკრძალეს ქართული ენის სწავლა, სკოლებში და უნივერსიტეტებში. ამაზე საქართველო აღელდა, მთელი თბილისი ქუჩაში გამოვიდა პროტესტით. საბედნიეროდ კომუნისტებმა დასთმეს, თუმცა არავის ახსოვს, კომუნისტებს ვისთვინმე რამე დაეთმოთ. ამდაგვარი მოხდა ნიკოლოზის დროსაც. დღევანდელი უნივერსიტეტის შენობა როდესაც დამთავრებული იყო, ცხვედაძის ხელმძღვანელობით, მაშინდელ ეროვნულ ხელმძღვანელებს უნდოდათ უნივერსიტეტი გაეხსნათ, რუსეთის მთავრობამ არ ინება, რომ საქართველოს უნივერსიტეტი ჰქონოდა. რომ ცარიელი არ დამრჩალიყო ეს უშველებელი შენობა, ერო. ხელმძღვანელმა ქართველებმა გადაწყვიტეს, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების გადაყვანა. მაშინ ვაჟთა გიმნაზიები ორი იყო საქართველოში თბილისისა და ქუთაისისა. თბილისის ქართული გიმნაზია უწინ მოთავსებული იყო დღევანდელ ჩეკის შენობაში, სადაც მეცა ვსწავლობდი. ამ წერილით მინდა გავაცნო ჩვენ მომავალ თაობას, დაწყობილი ილია ჭავჭავაძის მოკვლიდან, რამოდენი ზიანი მიაყენეს საქართველოს ჩვენმა სოც. დემოკრატებმა. ჩემ მოგონებაში დაახლოებით აღვწერე რაცა ხდებოდა ჩვენ დამოუკიდებლობის დროს, რა მოხდა ხევსურეთის ამბოხების დროს. ხევსურეთის გამოსვლები 1922 წ. იმდენად მარჯვედ იყო მოწყობილი, ჩვენი გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო, მერე რა მოხდებოდა, ამის თქმა არავის შეეძლო, მაგრამ მსოფლიო დაინახავდა რომ ათი ათასი რუსის ჯარი, დაფანტული მთელ საქართველოში დამარცხებული იქნებოდა. სოც. დემოკრატებმა ჩვეულებრივი დემაგოგიური პროპაგანდით: ჩოლოყაშვილმა თუ გაიმარჯვა მამულებს დაუბრუნებს მემამულეებსაო, და ბურჟუაზიის გამარჯვება იქნებაო... აი, ასე ამბოხებისათვის დაგროვილი მრავალი ქართველობა დაშალეს და წაახდინეს ყველაფერი. ეს ხომ უტყუარი სიმართლეა! ისიც ხომ ცნობილია იმ დროს კომუნისტები კარგა სუსტნი იყვნენ. ორი ამბოხების შემდეგ 1922-1924 წლებში ბევრი ქართველობა გადაიხვეწა ევროპაში, განსაკუთრებით საფრანგეთში, მეტიწილი სოც. დემოკრატები. 1924 წ. დამლევს შეფიცულთა რაზმიც დაემატა. სოც. დემოკრატები ბევრს ეცადნენ რომ შეფიცულები არ შევეშვით საფრანგეთში, მაგრამ (კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ) და ჩვენ მაინც შევედით საფრანგეთში. ამის შესახებ ვრცლად აღვწერე ჩემ მოგონებაში რა მიზეზი იყო რომ სოც. დემოკრატებს სხვის ქვეყანაშიაც კი არ უნდოდათ ჩვენი შეშვება? ხომ სრულიად ნორმალური იქნებოდა, ამბოხების დამარცხების შემდეგ, გადმოხვეწილნი უცხოეთში ერთად შევკუმშულიყავით და ერთი ძალებით გვებრძოლა, ჩვენი ქვეყნის აღსადგენად? მაგრამ მარქსიზმით ტვინ დაზიანებული სოც. დემოკრატები ასე არ ფიქრობდნენ. ესენი დღესაც იმასვე იმეორებენ და ამბობენ, თუ ჩვენი პარტია არ ედგება სათავეში საქართველოს მართვას ის რა საქართველო იქნებაო! სოც. დემოკრატები სამი წელიწადი მართავდნენ ჩვენ ქვეყანას. რიგიანად დალუპეს, და თუ კიდე მოერყოთ მათ მართვა ჩვენი ქვეყნისა, მაშინ მთლად დაასამარებენ. ესენი ისეთი ნიჭის პატრონები გამოდგნენ. კარგი იქნებოდა რომ თავს დაგვანებებდნენ: ქარისა არც შემოტანილი უნდა საქართველოს და არც გატანილი. საქართველოს უმარქსისტებოდ უცხოვრია და იცხოვრებს შემდეგშიაც. საქართველოს არა სჭირდება: სოც. დემოკრატია, არც ფაშიზმი, არც. მანარხიზმი, და არც კომუნიზმი, სოციალ-დემოკრატია რომელ ქვეყანასაც კი ჩაუდგა სათავეში ყველგან დალუპეს. აი, თუნდაც დღევანდელ საფრანგეთს ხომ ღუპავენ, სოც. დემოკრატები! ხელსაყრელია ჩვენი მარქსისტებისათვის თავიანთ პარტიის სახელი, სოციალ-დემოკრატია: რადგან როდის და სად დასჭირდებათ იქით გადახტებიან. აკი დიდმა ქართველმა ილია ჭავჭავაძემ სთქვა: ჟორდანია რომ საქართველოს აშენებს მე ნუ გამიყოფსო. როგორ აცხადდა დიდი ქართველის სიტყვები! აშენებისა კი რა მოგახსენოთ მაგრამ გადააშენეს კი ჩვენი ქვეყანა, ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა. ეს ხომ ყველაფერი ჩვენის თვალითა ვნახეთ ჩემმა თაობამ. საქმე იმაშია, რომ არცა სცხვენიათ, აქ ემიგრაციაში ვითომ დიდი ნაციონალისტები გახდნენ, იქ კი თბილისში, მთავრობის სასახლეზე წითელი დროშა ფრიალებდა. თუ მართლა ქართულ პატრიოტებად გადაიქმნენ, ჩვენთვის ხომ გასახარი იქნება! მაშ აღიარონ ოფიციალურად რომ ჰგმობენ მარქსიზმს დაწერონ და გამოაქვეყნონ, მაშინ დავინახავთ რა გზას დაადგებიან. მაგრამ მეეჭვება რომ ასე ადვილად დაგმონ მარქსიზმი ჩვენმა სოც. დემოკრატებმა, იმდენათა აქვთ დაზიანებული გონება საშინელი ავადმყოფობით მარქსიზმით. ზემოთა მაქვს ნათქვამი: სოც. დემოკრატები იქით გადახტებიან საითაც ხელსაყრელი იქნება პარტიისათვის, მაგრამ საქართველოსათვის სასარგებლო იქნება თუ არა, სრულებით არ ედარდებათ. აი, მაგალითად ვინა მართავს დღევანდელ საქართველოს! ყოფილი სოც. დემოკრატი შევარდნაძე; ყურმოჭრილი ყმა რუსებისა (კომუნისტებისა) შევარდნაძემ ხომ გააკეთა კარგი ნახტომი? მენდლებითაც კი დააჯილდოვეს. ჩვენ კარგად ვიცით კომუნისტები ასე ადვილად არ აჯილდოვებენ ვისმე, თუ ის ასი პროცენტით კომუნისტი არ არის. სამზღვარგარეთ თუ გამოიქცნენ ჩვენი სოც. დემოკრატები მხოლოდ იმისთვის, ეგონათ ცოტა ხნის შემდეგ მიბრუნდებოდნენ საქართველოში და ისევ ისე იპარპაშებდნენ როგორც დამოუკიდებლობის დროს, და თუ ქართველი ინტელიგენციის და საუკეთესო მხედრობის მოსპობა ვერ მოასწრეს დაბრუნებისას დაამთავრებდნენ. რას გამორბოდნენ სამზღვარგარეთ კომუნისტების შემოსვლაზე საქართველოში? ეგენი ხომ ერთი ოჯახიდან არიან! მენშევიკი თუ ბოლშევიკი, რა განსხვავებაა მათ შორის? კომუნისტები მაინც ახდილად ავრცელებენ სოციალიზმს, ჩვენი მარქსისტები გვარწმუნებენ ნაციონალისტებიც არიან, განა შეიძლება ერთ და იმავე დროს, ერთიც იყო და მეორეც, ეს ხომ საშინელი სიყალბეა! კარგად ახსოვს ემიგრაციას ნოე რამიშვილის წერილი გაგზავნილი საქართველოში, თავიანთ პარტიულ ამხანაგებთან სადაც სწერდა: ახლოა არ გაიკაროთ მემარჯვენე ქართველებიო. ეს წერილი კომუნისტებმა დაიჭირეს და გამოაქვეყნეს. კომუნისტებმა კი არ დაიჭირეს რამიშვილის წერილი, არამედ მათმა პარტიულმა ამხანაგებმა მიართვეს კომუნისტებს რამიშვილის წერილი, რომლებიც უკვე მუშაობდნენ წითლებთან. აი, ეს არის სრული სიმართლე. მეტეხში ტუსალთა შორის რაცა ხდებოდა 1928 წ. ჩვენ მუდამ მოგვდიოდა ამბავი რაზმში, მაგრამ დეტალურად როგორც თვით ტუსალები ხედავდნენ და განიცდიდნენ ჩვენ როგორ გვეცოდინებოდა! ეს დეტალები ბევრი გავიგეთ მაშინდელი ტუსალებისგან, განსაკუთრებით ელიზბარ მაყაშვილისაგან. ჩვენ თაობაზე დატუსალებულნი (ქაქუცას ზურგი) რომ მიიყვანეს მეტეხში, იქ უფრო ადრე დატუსალებული სოც. დემოკრატები ძალიან ცივათ შეხვდნენ მათ. რამდენიმე დღის შემდეგ მათ შეიტანეს განცხადება ციხის ადმინისტრაციასთან, რაშიც თხოულობდნენ, რომ ჩვენი რაზმის თაობაზე დატუსალებული ქართველები, საბჭოთა მთავრობას არ ჩაეთვალოთ, პოლიტიკურ პატიმრებად, არამედ ბანდიტებად. მაშინ პოლიტიკურ პატიმრებს ჯერ არა ხვრეტდნენ და ქაქუცას მომხრე ქართველებს ე. ი. ბანდიტებს, ხვრეტდნენ გაუსამართლებლად. ეს განცხადება თურმე იყო შედგენილი, საშინელი დემაგოგიური ფრაზებით: თავად-აზნაურები, მემამულეები, ბურჟუაზია და სხვა. ეს განცხადება თურმე წაუკითხა ტუსალებს ციხის უფროსმა ხატიშვილმა, რომელმაც შესცვალა ჯალათი შულმანი ე. ი. მოითხოვდნენ ჩვენ თაობაზე დატუსალებულ ქართველების სიკვდილით დასჯას. თურმე ერთად ერთი სოც. დემოკრატი გაბრო ცისკარიშვილი (თუში) წავიდა წინააღმდეგი. ცისკარიშვილი მაშინ ყოფილა ტუსალთა მამასახლისი. ესე იგი ჩვენ თაობაზე დაჭერილი ტუსალები მონათლეს ბანდიტებად და მათი მეოხებით ციხის ადმინისტრაცია, მათ უწოდებდა „ჩელოკევკსაია" ბანდას. მაშინ ერ. დემოკრატებიც ბევრნი იყვნენ ტუსალები. მაგალითად ალ. აბაშიძე, ბიჭიკო აზვლედიანი, ჟ. ინჯია, ვ. შალამაბერიძე, და სხვანი. სოც. დემოკრატების ვერაგული განცხადების გამო, ჩვენი მომხრე ქართველები საშინლათ აღელვებული შეუცვივდნენ საკანში სოც. დემოკრატებს, დაერივნენ და დაუწყეს ცემა. აი, მათი გვარები: ი. მელვინეთუხუცესი (ქაქუცას სიმამრი), ნ. მაღრაძე (ბიძა ჩემი), ე. მაყაშვილი, ბატიაშვილი, კიდე ერთი მელვინეთუხუცესი ვანო თუ შაქრო (ორივე დახვრეტილნი არიან) და კიდე სხვანი. კ. მაღრაძემ თურმე შემოჰკრა მათ საკნის მამასახლისს და თურმე გაშხლართა იატაკზე. ამათ თურმე დაეშველნენ ერო. დემოკრატებიც და რიგიანათ მიტყიპეს მარქსისტები. ამ ჩხუბის გამო, შეცვივდა ციხის ადმინისტრაცია და ყველანი ჩაკეტეს თავ-თავიანთ საკნებში. ორი ამბოხების დამარცხების შემდეგ მეტეხის ციხე გავსებული იყო გამოსვლების მონაწილე ქართველებით. 24 წ. ერთ დღეს ხმა გავარდა მეტეხში რომ, ქალების კორპუსიდან გამოჰყავთ ქალები, მაგრამ სად მიჰყავთ არავინ არაფერი იცოდა. ტუსალი ქალები უნდა გაეტარებინათ მამაკაცთა კორპუსის ეზოზე, ამისათვის ე. მაყაშვილმა და ჩემმა ბიძაშვილმა მოახერხეს პატიმართა მამასახლისის საშუალებით სანოვაგის დამრიგებელ მორიგეებათ ჩასვლა ეზოში, სადაც უნდა გაატარონ ქალები. მალე გაიღო ქალთა კორპუსის კარები და დაიწყეს გამოსვლა: პირველ რიგში ნინო ჩოლოყაშვილისა თავის დედით, ჩემი და ბაბალე, ვანო სულხანიშვილის მეუღლე უმცროსი ქალიშვილით, ელო სულხანიშვილი, ნ. დადიანი და ბევრი სხვანი რომლების სახელები და გვარები არ მახსოვს. მიუხედავად ჩეკისტებისა, რომლებსაც მოჰყავდათ ტუსალი ქალები, ელიზბარ მაყაშვილმა და ჩემმა ბიძაშვილმა მოასწრეს მათი ყველას გულში ჩაკვრა და გადაკოცნა. იმ ხანად უმრავლესობა ტუსალებისა მემარჯვენე ქართველები ყოფილან. იმ დღისით მომხდარა ნამდვილი ისტორიული განცდა. მესამე სართულის მოაჯირს თურმე მოაწყდა მთელი ტუსალობა, მეგრელები ლამაზად ყაბალახით თავ წაკრულები და სხვანი. გაისმა აღფრთოვანებული ყიჟინა და ძახილი, გაუმარჯოს ჩვენს დედოფალს, (რასაკვირველია ეს ყოფილა ქაქუცას მეუღლის მიმართ), გაუმარჯოს ქართველ დედებს, გაუმარჯოს ქართველ ქალებს და სხვა. გადმოუგდიათ რამდენიმე ყაბალახი მეგრელებს, და ხალიჩასავით გაფენილა ქალთა ფეხქვეშ. იმერლებმა თურმე დასძახეს ჩვენი ჰიმნი (დიდება) აუწერელი სურათი ყოფილა. მუხლებზე დაცემულა გიგია ხევსური, ლაშარის ჯვარს და კოპალეს ავედრებდა ხევსურულად. ამ სურათის ამბავმა ჩვენს ყურამდის მოაღწია. მაგრამ ისე დეტალურად როგორ გადმოგვცემდნენ! როგორც იქ მყოფი ტუსალები რასაც ხედავდნენ და განიცდიდნენ: მაგალითად ელიზბარ მაყაშვილი, მრავალი ერო. დემოკრატები და მრავალი უპარტიონიც ამ ჭირ-ვარამის დროს, დალაჩრებული და სამშობლოს გამყიდველი პატარა ნაწილი ქართველებისა, თავიანთ საკეთილდღეოთ რუსების ყურ-მოჭრილ ყმებად გადაიქცნენ, და თავიანთ მეგობრებს და ნათესავებსაც კი არა ზოგავდნენ, აბეზღებდნენ და ხვრეტდნენ.

ზევითა მაქვს ნათქვამი 24 წ. გამოსვლების შემდეგ ბევრი ქართველი ახალგაზრდობა ჯგუფ-ჯგუფად გადმოდიოდნენ თურქეთში რომ რუსებს არ ჩავარდნოდათ ხელში. ასეთნი ერთხანს ფრიალებდნენ თურქეთში, ვიზების მოლოდინში საფრანგეთში შესასვლელად, რომლებიც მოზდიოდათ ჯერით. ერთი ასეთი ჯერი მოერგოთ ელიზბარ მაყაშვილს, შალიკო მაყაშვილს და ხარისჭირაშვილს. დღე-დღეზე უნდა გამგზავრებულიყვნენ სტამბოლში. წასვლის წინათ ე. მაყაშვილი გაიხმეს მანცკავამ, მუჯირმა და პაპავამ, (სამივემ სოც. დემოკრატებმა) გადასცეს წერილი და უთხრეს. ჩვენ ვიცით რომ ჩვენი მანდატით ხარ გადმოსული და ამიტომ გენდობითო, ეს წერილი პირადათ გადაეცი ჩვენ წარმომადგენელს სტამბოლში კახმაძესო. მაყაშვილი რა თქმა უნდა, დაყაბულდა. ე. მაყაშვილს რაღაცად საეჭვოდ ეჩვენა ეს წერილი, ამისათვის ხარისჭირაშვილს გაუზიარა, მან უთხრა მართლა ეგ წერილი საეჭვოა და უნდა გავხსნათ და წავიკითხოთო. თუმცა სხვისი წერილის გახსნა და წაკითხვა ლამაზი არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში, გვეპატიებაო. გახსნეს ეს წერილი და წაიკითხეს, აი რასა სწერდნენ ეს სამი ურწმუნო ქართველები. ჩვენზე წინ თურქეთში გადმოვიდა ფა-

---

* დაცულია ავტორის სტილი და მართლწერა.

შისტების ჯგუფი: აბაშიძე, აჩი. ჩიქოვანი, ბიჭიკო ახვლედიანი, ვ. ახათიანი და ბონდო ელიავა, საჭიროა მათი უკან დაბრუნება საქართველოშიო. თუ ეს შეუძლებელი შეიქმნა, მაშინ ყოველის მხრივ უნდა ხელი შეუშალოთ რომ ესენი საფრანგეთში არ შეუშვან. ეს წერილი დახურეს და სტამბოლში როდესაც მივიდნენ მაშინვე ინახულეს ქართველთა წარმომადგენელი კაჭახმაძე და მაყაშვილმა გადასცა ეს წერილი. კაჭახმაძემ მათ წინ გახსნა წერილი წაიკითხა და საშინლად გაწყრა, რასა მწერენ, ეს როგორ შეიძლებაო დავაბრუნო ქართველები რომ კომუნისტებმა დახვრიტონ! თვით კომუნისტები რომ გამოიქცნენ იმათაც კი არ დავაბრუნებდიო. წერილის ბოლოში ხწერდნენ გაუფრთხილდი წერილის მომტანსაცაო. უნდა ვსთქვა რომ ძალიან გამაკვირვა კაჭახმაძის საქციელმა, დათანაც გამახარა რადგან ასე გულთბილად დაიცვა ერო. დემოკრატების პატარა ჯგუფი.

გამახსენდა სტამბოლის ნავსადგური, შეფიცულთა რაზმი ისევ გემზე ვიხხედით და ხმელეთზე არ გვიშვებდნენ. მაშინ სტამბოლში მყოფი ქართველების სათვისტომოს თავმჯდომარე იყო გვარჯალაძე და თანაშემწე კაჭახმაძე. ამათ ყოველი ღონისძიება იხმარეს რომ მთელი რაზმი გემიდანვე გავეგზავნეთ პარაგვაიში თუ ურუგვაიში არხების სათხრელად თუ რალაც მძიმე სამუშაოზე, რომ იქ ჩავხოცილიყავით. ძალიან უნდოდათ. ქაქუცას მარტო წაყვანა პარიჟში ეგონათ უფრო ადვილად დაიმორჩილებდნენ მას. ასეთი გეგმის შემდგელნი ბრძანდებოდნენ პარიჟში ერთი ნაწილი ყოფილი ჩვენი მთავრობისა. ეს მე უფრო ვრცლადა მაქვს აწერილი ჩემ მოგონებაში. გავიდა დრო და მთელი ქართველობა თურქეთიდან მოვიდნენ პარიჟში. ერთ დღეს ელიზბარ მაყაშვილი შეხვდა ამ სამ ყალბ ქართ. პატრიოტებს ჟ. დუმბაძის სასადილოში, მიადგა და კარგად შეაჩვენა: შევარცხვინე თქვენი ქართველობა, თქვე წამხდრებო, თქვენი დამღუპველი ქცევით ხომ კარგს არაფერს უკეთებთ საქართველოს! თქვენი სულმდაბლობით! რა მისწერეთ კაჭახმაძეს? ხომ წაგვიკითხა თქვენი წერილი. თქვენ სამივეს ხელმოწერილი კაჭახმაძემ. თურმე ილრიჭებოდნენ ეს სამი ვაჟკაცი და პასუხის მიცემას ვერა ბედავდნენ. ე. მაყაშვილმა გაუზიარა იმ წერილის შინაარსი, ერო. დემოკრატების ჯგუფს, რომლებიც მონათლეს ფაშისტებად მანცკავამ, მუჯირიმ და პაპავამ. ერთ მშვენიერ დღეს დაიჭირეს მანცკავა და მუჯირი და რიგიანად მიეჟეჟს აჩიკო ჩიქოვანმა და ბონდო ელიავამ, მათი ფაშისტებად მონათვლის გამო. მომპელიეში დიდი ხნის მაცხოვრებელი ვახო ციცქიშვილი უაღრესი ქართველი პატრიოტი იყო. ე. მაყაშვილმაც იქ დაიწყო ცხოვრება და ხშირათ იყო ციცქიშვილის ოჯახში, როგორც მაყაშვილის მამის მეგობართან. ერთელ მაყაშვილმა უამბო მეტეხის ციხეში მომხდარი ამბები, საშინლათ აღელდა ვ. ციცქიშვილი და ბევრი ბაასის შემდეგ გადაწყვიტეს ფრანგულ პრესაში გამოქვეყნება. იმ დღეებში პარიჟიდან ჩასულა სოლიკო ზალდასტანიშვილი, მისთვისაც უამბიათ მეტეხის ამბავი. სოც. დემოკრატების ვერაგული ქცევა ჩოლოყაშვილის მომხრე ქართველების წინააღმდეგ. სოლიკოს უთქვამს მეტეხის ამბავი კარგად ვიცით, მაგრამ პრესაში რომ გამოგაქვეყნოთ კარგი იქნება თუ არაო. ოდინკურში სამი ქართველი მოკვდა, ა. სულხანიშვილი სასიკვდილოდ არის დაჭრილი. ამის გამოქვეყნება უფრო გაამწვავებს საქმეს, აქ ემიგრაციაში სამოქალაქო ომად გადაიქცევა ქართველებშორისაო. ამას უნდა ვერიდოთო რადგან ეს იქნება რუსი ბოლშევიკების გასახარი საქმეო. ს. ზალდასტანიშვილი უაღრესი ქართველი პატრიოტი კაცი იყო, ჩემი დიდი მეგობარი საქართველოდან და აქ ემიგრაციაშიც, იმანაც მიამბო მეტეხში მომხდარი ამბები მაგრამ ძლიერ შეზღუდულად. ქართველ პატრიოტთა მტრობას, სოც. დემოკრატების მხრით, ნამეტნავად ჩვენ დამოუკიდებლობის დროს დიდი მანძილი აქვს. რომელიც პერიოდულად ვრცელდებოდა საქართველოში და ემიგრაციაშიც, ზუსტად სოც. დემოკრატების სისტემით. განა ქართველმა ერმა არ განიცადა ეს ყველაფერი!

ბუმბერაზი ი. ჭავჭავაძის მოკვლიდან დაიწყო უაღრესი მტრობა ქართველ პატრიოტთა მიმართ. რად მოჰკლეს უდიდესი ქართველი რა იყო მიზეზი? მიზეზი იყო შემდეგი: დაოჩნებულს და შელახულ საქართველოს პატრიოტული სული შთაბერა, ფეხზე წამოაყენა ქართველი ერი. ილიას გაჰყვა მთელი ინტელიგენცია, თავად-აზნაურობა, გლეხკაცობა და სამღვდელოება. ილიას შრომა საქართველოს საკეთილდღეოდ ფასდაუდებელია. ამ გარემოებამ თავზარი დასცა დაუნდობელ ქართველ მარქსისტებს, რომლებსაც ფეხქვეშ ეცლებოდათ ნიადაგი. აი, ამისათვის გადაწყვიტეს ილიას მოშორება, სოც. დემოკრატების პარტიის საკეთილდღეოდ, ახეთნივე დარჩნენ დღესაც ქართველი მარქსისტები საუბედუროდ. ვინ მოჰკლა დიდი ქართველი, რომ დღევანდლამდე ჩაჩქმალულია! რატომ არ უნდა ხცოდეს ქართველმა საზოგადოებამ ვინ გამოუტანა ილიას სიკვდილის განაჩენი! ვინ არიან დამნაშავენი რომ სიმართლე არ იცის დღევანდლამდე ქართველმა საზოგადოებამ ილიას მოკვლის შესახებ? დამნაშავენი არიან მაშინდელი მემარჯვენე ლიდერები, რომ მაშინვე არ გამოაქვეყნეს ილიას მოკვლის, განაჩენის გამომტანის გვარები. თუმცა იყო შედგენილი სპეციალური კომისია მემარჯვენე ლიდერებისაგან. ამის გამოსაკვლევად: გამოიკვლიეს კიდეც, მაგრამ არ გამოაქვეყნეს იმის მოსაზრებით, რომ სამოქალაქო შეხლაში ქართველთა სისხლი არ დაღვრილიყო. ერთის მხრივ მათი მოსაზრება შეიძლება სწორი იყო, მაგრამ განა ამან უშველა ქართულ საქმეს? სოც. დემოკრატებმა მის შემდეგ ბევრ საუკეთესო ქართველ პატრიოტს მოუსპეს სიცოცხლე. ილიას მოკვლის შემდეგ რომ გამოექვეყნებინათ გვარები ვინც გადაწყვიტეს სიკვდილი ილიას, ამით სოც. დემოკრატების პარტია, ძლიერ ალაგმული იქნებოდა და ისე ადვილად ვეღარ მოუსპობდნენ სიცოცხლეს მრავალ ქარ. პატრიოტებს. ეს დიდი შეცდომაა იმ კომისიისა რომ მაშინვე არ გამოაქვეყნეს.

ჩემი ღრმა რწმენით: თავისდროზე რომ გამოქვეყნებულიყო, მათი გვარები ვინც სიკვდილი გადაუწყვიტეს ილიას, როდესაც რუსეთის იმპერია დაინგრა და საქართველოს მიეცა საშუალება დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა, და თავის მთავრობა ჰყოლოდა, მაშინ მარქსისტების მთავრობას ცხვირსაც არავინ შეაყოფინებდა მთავრობის სასახლეში. თბილისში სულ სხვა მთავრობა ჩამოყალიბდებოდა, და სულ სხვანაირად წავიდოდა ჩვენი ქვეყნის საქმე. მარქსისტულმა მთავრობამ ახლოს არავინ გაიკარა, მარქსისტების მეტი. ქართველი საუკეთესო პატრიოტები, განათლებულები, პოლიტიკურად მომზადებულნი, და რაც უფრო საჭირო იყო მაშინ, ჩვენი საუკეთესო მხედრობა არაფერში არ გამოიყენეს, იმისათვის რომ მარქსისტები არ იყვნენ. ნ. ჟორდანია ხწერს თავის მოგონებაში, კაცი რომ დამჭირდებოდა საქმისთვისო კაცს მივარბენინებდი გურიაშიო. საკვირველია თურმე მათი მოსაწონი კაცი გურიის მეტგან არ მოიძებნებოდა მთელ საქართველოში, ჟორდანია გზავნიდა კაცს ვისმე ჩამოსაყვანათ გურიიდან იმისთვის რომ იქ იყო ბუდე მარქსიზმისა, ჟორდანიას კი მარქსისტის გარდა სხვა არავინ აკმაყოფილებდა. სწორეთ ამისთვისა სთქვა დიდმა ილიამ: ჟორდანია რომ საქართველოს აშენებს მე ნუ გამიყობსო. საბედნიეროდ მარქსისტებმა ვერ მოასწრეს ამ მშვენიერი საქართველოს კუთხის გურიის მოწამვლა მარქსიზმით. გურიაში სხვა პარტიებიც იყვნენ, თუმცა სიმცირეში მაგრამ იყვნენ, მაგალითად ერო. დემოკრატები, ფედერალისტები როგორც განსხვავებული შალია კალანდაძე.

შ. კალანდაძე იყო ნამდვილი მებრძოლი ერო. დემოკრატი და პატიოსანი ქართველი კაცი. ზ. ავალიშვილს ღრმად განათლებულს და აგრეთვე ბევრი ენების მცოდნეს მხოლოდ თარჯიმანად იყენებდნენ ჩვენი მარქსისტული მთავრობა ან თუ რამე რთული ჰქონდათ დასაწერი. რუსეთში კი წარმომადგენლად გაგზავნეს სოფლის ანბანის მასწავლებელი, რალაც რთულ საქმეზე მოსალაპარაკებლათ კომუნისტებმა მოუსმინეს ერთი საათი უფეშქაშეს და გამაისტუმრეს გურიაში. მე ეს ერთი მაგალითი მოვიყვანე, ამისთანები მრავალი იყო, ჩვენ დამოუკიდებლობის დროს. ვიმეორებ დიდი შეცდომა იყო იმ კომისიისა, რომ მაშინვე არ გამოაქვეყნეს სიმართლე. და აი ამ სიმართლის მალვით დავიწყებას მიეცა ეს საშინელი ამბავი: ილიას მკვლელობისა ქართველების მიერ. მაგრამ მახათი ტომარაში დამალული როდისმე თავს გამოჰყოფს და აი, დადგა დრო თუმცა გვიან, მაგრამ ეხლა მაინც უნდა გაიგოს ქართველმა ერმა და ნამეტნავად მომავალმა თაობამ.

(გაგრძელება იქნება)

# თუნდაც მცირე თანხა

90 წელს მიღწეულმა, სპეციალობით სამთო-ინჟინერმა, გეოლოგმა, ვიარსებე და ვიმოღვაწევე მრავალნაირი ხელისუფლების დროს და დავრწმუნდი, რომ მისაღები და ყველაზე კარგი ფორმა ქვეყნის მართვისა არის პარლამენტული მონარქიზმი, რომლის დამკვიდრებაც საქართველოსათვის იდეალურ ფორმად მიმაჩნია.

რუსეთის მონარქისტული იმპერია, ლენინურ-სტალინურ იმპერიასთან შედარებით ედემად გამოიყურება.

გიმნაზიაში სამეფო ხელისუფლების დროს, ჩაგვრას ვგრძნობდი, როგორც დამონებული ერის შვილი, მაგრამ, როგორც მოქალაქეს, მონად თავი არ მიგრძნია.

ეკონომიკური წყობა მონარქისტული იმპერიისა იყო იდეალური თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მოწესრიგებული მაინც.

დღევანდელ საქართველოს სათავეში უდგას ღირსეული ხელისუფლება ბატონ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით. მათი ყოველი ნაბიჯი საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს ემსახურება და გარანტიას იძლევა, რომ საქართველო დამოუკიდებლობას მიაღწევს.

მიმაჩნია, რომ სახელმწიფო, არმიის გარეშე უპატრონო, კარებმოღიავებულ სახლს წააგავს, სადაც ყველა დაუსჯელად შედის და გამოდის.

ჩემი ყველა თანამოაზრის სახელით, რომელნიც დაიღუპნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, შემომაქვს არმიის შექმნის ფონდში 200 მანეთი, ამავე დროს ვთხოვ ჩემს ახლობლებს, ჩემს მეგობრებს და განსაკუთრებით საქართველოში მოქმედ გეოლოგიური სამსახურის თანამშრომლებს, გაიღონ თუნდაც მცირე თანხა ასე საჭირო ქართული საქმისათვის.

**გრიგოლ ვაშაძე**

**ჩოლოქის, ვაჩნარის ბრძოლების და ოცდაოთხი წლის აჯანყების მონაწილე.**

# პოეტის გახსენება

როგორც იქნა გამოჩნდა ადამ ბობლიაშვილის სახელიც.

იგი ნახევარი საუკუნის წინათ მოკლეს მუხანათურად, მაგრამ გადარჩა მისი ტრაგიკული ბიოგრაფია, მისი სიტყვა, მისი პოეზია, როგორც ნიშანი ნამდვილ სულიერ ფასეულობათა გამძლეობისა.

მკითხველი უკვე გაეცნო „ლიტერატურული საქართველოსა“ და „მნათობში“ გამოქვეყნებულ ადამ ბობლიაშვილის ანუ ალვანელის ლექსებსა და მოთხრობას „სიკვდილი კაკლიანში“; დაიბეჭდა ილო ბეროშვილისა და როსტომ ჩხეიძის წერილები, სადაც შეფასებულია ტრაგიკული ხვედრის შემოქმედის მოღვაწეობის მნიშვნელობა.

ეს სახელი ჩემთვის ბავშვობიდანვე მახლობელია.

მეხუთე კლასში ვიქნებოდი, როცა პირველად ვნახე ადამ ბობლიაშვილის დედა.

მახსოვს, გაზაფხული იყო...

მანამდე, სასაფლაოზე რომ ვყოფილვარ, უკან მობრუნებულს ხშირად მინახავს პაწია, ფიცრული სახლი, გამორჩეული ეზოთი. კიბის საფეხურზე იჯდა ხოლმე მოღუღული, პატარა, შაოსანი ქალი. სასაფლაოდან გამობრუნებული ჭირისუფლების საუბარზე ვხვდებოდი, რომ სახელიანი შვილის დედა იყო...

რუსულის მასწავლებელი გვყავდა, თინა თურქოშვილი, ჩემი კლასის დამრიგებელი. ერთხელ გვითხრა: წავიდეთ და ადამის დედას ეზო-კარი დავულაგოთო. მივედით... წყნარად გამოგვეგება. შეგვაქუჩა, შინ შეგვიყვანა. თინა მასწავლებელს უთხრა, ხანამ დალაგებაში მომეხმარებიან, ჩემი შვილის ოთახს ვაჩვენებო... შეგვიძლვა. პატარა ოთახში ბალღების დასაჯდომი ადგილი არ იყო და ფეხზე ვიდექით. პირველად ვნახე მაშინ ძაძაში ჩაცმული ოთახი... ამ ოთახმა შემაშინა. ფანჯრებსაც კი შავი მიტკლის ნაჭრები ჰქონდა ჩამოფარებული... სუფთა, კამკამა დიაცი ჩანდა. ლონე დალეოდა, ძალიან ულონო იყო. ოთახში იდგა ხის გასაოცარი სუნი... ერთ-ერთ ფანჯარაზე ფარდის კუთხე იყო აკეცილი. სიშავეში მძიმედ შემოდიოდა და ქრებოდა მზის სინათლე. — ეს არის ადამის ოთახი, აქ ეძინაო, — გვითხრა... ქართულად ლაპარაკი უჭირდა. თინა მასწავლებელთან საუბრობდა წოვა-თუშურად...

რალაცნაირად დაზაფრული ვიდექი. აულებელი ფლასი ეღაგა, შავად გაშლილი. თინა მასწავლებელმა უთხრა: — ადამეს ნანო (ეს იგი, დედაო), იქნებ ადამეს ლექსების ხელნაწერები ვაჩვენოთ ბავშვებსო...

წავიდა ქალი მზის ამოსახედის მხარეს და საიდან — უჯრიდან თუ მაგიდიდან — აღარ მახსოვს, ერთმანეთში ჩაწყობილი, თორმეტფურცლიანი, ყდებგაყვითლებული რვეულები მოიტანა.

ისეთი ლამაზი ხელნაწერი იშვიათად მინახავს...

რვეულების შეკვრა მომცა თინა მასწავლებელმა და მითხრა, რამდენიმე ლექსი, რომელიც შენ გინდა, წაუკითხე ბალღებსო..

სამუდამოდ დამამახსოვრდა ორი სტრიქონი:

მზეს ნისკარტით მოიტანს და
ხეობას გასცურავს
საქართველოს მკერდიდან
აფრენილი არწივი...

ბელურახავით იჯდა, მისმენდა და მიყურებდა ადამის დედა... თავი გადააგორა და წოვურად თქვა: „ვისოხ ნანა“ (ვაიმე დედაო!).

გამოვედით. ნაკვეთში მოჭრილი სიმინდის ღეროები იყო დარჩენილი. მოვუჯაჯღრეთ, მოვუფოცხეთ ყურე-მარე... საქმეს რომ მოვრჩით, ვაშლი და მშრალი ხილი გამოგვიტანა ხის გრძელი ტაბაკით...

მას მერე კიდევ კიდევ რამდენჯერმე ვიყავით ადამის დედის დასახმარებლად. ყოველ მისვლაზე რატომღაც მე მაკითხებდა თინა მასწავლებელი ადამის ლექსებს. ისე მოკვდა ის ქალი, შვილის ოთახისათვის შავები არ გაუხდია.

როცა გონში ჩავვარდი და ინტერესი გამიჩნდა, დედაჩემმა მიამბო: სოფელ ქუმულაურთაში მასწავლიდა ადამის მეგობარი არჩილ კიტოშვილი. მერე იყო, ტყეში რომ გავიდნენ... ერთ ზამთარს დგანდგარი დადგა, დაუჭერიათ და მოჰყავთ კიტოშვილიო. მთელი სოფელი გარეთ გამოეფინა. დიდი და პატარა ცოკალთისკენ გამოვიდა... ჩამოაჩინეს წვერმოშვებული, ულამაზესი ბიჭები. ჩვენ არჩილს ვიცნობდით.., ადამ ბობლიაშვილი მანამდე მოეკლათ და მისი მოჭრილი თავი ამათთვის, მისი მეგობრებისთვის წამოელებინებინათ... დიდი თოვლი იდო, მოჭიდილი, მოყინული... ფეხშიშველები იყვნენ ეს ბიჭები, დამზრალ-დახეთქილი ფეხებიდან სისხლი სდიოდათ და თოვლზე სისხლის კვალი რჩებოდა. იხტიბარი არ ჰქონდათ გატეხილი, ამაყები მოდიოდნენ. ცოტა ხნით შეაჩერეს. რამდენიმე ქალი წავიდა. დანაყილი ნიორი გამოიტანეს სოფლიდან და სთხოვეს, დამზრალი ფეხები შეეხვიათ... ისეთი კერპები იყვნენ, უარი თქვეს. წავიდნენ და წაიყოლეს სისხლის ნაკვალევი. ტირილით დარჩა ქუმულაურთა...

ადამის დედის ეს ნატირალიც ადრე მაქვს გაგონილი და ჩაწერილი. და თუმცა როსტომ ჩხეიძემ უკვე გამოიყენა თავის წერილში, გარკვეული სისრულისათვის, აქაც კიდევ ერთხელ გავიხსენებ:

ავაიმე, წვერაიძეო,
შვილ რად მომიკალივ,
შვილ თუ მომიკალივ,
თავ რად მომიჭერივ,
თავ თუ მომიჭერივ,
მე რად არ მომკალივ...

**ეთერ თათარაიძე**





**სურათებზე:** ორი პეიზაჟი თორლვაის ხეობიდან, სადაც მოკლეს ადამ ბობლიაშვილი.

**ფოტოები ამირან არაბულისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲣᲚᲘᲡ

## ᲗᲔᲗᲠᲘ, ᲛᲐᲜᲔᲗᲘ...

ადრე თუ გვიან, საქართველომ უნდა მოჭრას საკუთარი ფული. ეს აუცილებელია ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისათვის. მაგრამ რა უნდა დავარქვათ ქართული ფულის ძირითად ერთეულს? აი, ის კითხვა, რომელიც უკვე დღეს აღელვებს ქართულ საზოგადოებრიობას. მომავალი ქართული ფულის სახელწოდების შესახებ რამდენიმე წერილი დაიბეჭდა ჩვენს პრესაში. გამოითქვა მოსაზრებები ტერმინ „თეთრისა“ და „მარჩილის“ სასარგებლოდ. მოსალოდნელი იყო, რომ ქართველ ნუმიზმატთა მძლავრი რაზმი თავის კომპეტენტურ სიტყვას იტყოდა აღნიშნულ საკითხზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ამასობაში, 1 თებერვალს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა რევაზ შენგელიას წერილი — „მარჩილი — ქართული ფული“, რომელიც არა მარტო უპირატესობას აძლევს ᲛᲐᲠᲩᲘᲚᲡ, არამედ ცდილობს დაასაბუთოს ამ ტერმინის ქართული წარმომავლობაც. ამ გარემოებამ გვაიძულა აგველო ხელში კალამი. მით უმეტეს, რომ აღნიშნული წერილის ავტორი დაინტერესებულია გამოხმაურებებით.

ბატონი რევაზ შენგელია სვამს კითხვას: „საიდან მოვიდა სიტყვა „მარჩილი“? და ამ კითხვას ასე უპასუხებს: „გადაწყვეტილად რაიმეს თქმა შეუძლებელია, მაგრამ ქართულენოვან სამყაროში გამოუცდელი თვალის გადავლებითაც შეიმჩნევა საყურადღებო მომენტები. ეს უპირველესად ეხება „არჩ“ — ძირიანი სიტყვების სემანტიკურ შესწავლასა და მის მითოლოგიურ ასპექტებს“.

ერთი პრინციპული ხასიათის შენიშვნა აქვე უნდა გავაკეთოთ: სიტყვის ეტიმოლოგია ენათმეცნიერების უძნელესი სფეროა და „საყურადღებო მომენტების“ შემჩნევა გამოუცდელი თვალის გადავლებით“ ყოველთვის (ან თითქმის ყოველთვის) არასწორ დასკვნებს გაგვაკეთებინებს. ეს რომ ასეა, ადვილად დავრწმუნდებით.

იმისგან, რომ ᲛᲐᲠᲩᲘᲚᲘ გამოხატავდა ვერცხლის ფულს, ხოლო „ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ“ ქართულ მითოლოგიაში, ზეპირსიტყვიერებასა თუ ლიტერატურაში ყოველთვის თეთრის სინონიმად (ანდა პირიქით) იხმარებოდა. აქედან იყო ქართული (კოლხური) ᲗᲔᲗᲠᲘᲪ“, ავტორი ცდილობს გააკეთოს შორსმიმავალი დასკვნები.

რ. შენგელიას აზრით, ᲛᲐᲠᲩᲘᲚ სიტყვა შეიცავს ᲐᲠᲩ — ძირს, რომელიც თავდაპირველად ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲡ აღნიშნავდა. მ — „წარმომავლობის, წარმოშობის მაჩვენებელია და სიტყვა „მარჩილი“, აქედან გამომდინარე, შეიძლება „ვერცხლისა“-დ გაიშიფროს“.

რას ემყარება ავტორის ამგვარი მტკიცება? რ. შენგელია აღნიშნავს, რომ „ვერცხლი“ მეგრულ-ჭანურად „ვარჩხია“. Ვ-ᲐᲠᲩ-ᲮᲘ. უეჭველია, აქ ვერცხლის აღმნიშვნელი „ᲐᲠᲩ“ არის“.

ამ მსჯელობისას, ავტორმა, ჩვენი აზრით, რამდენიმე არსებითი ხასიათის უზუსტობა დაუშვა. ჯერ-ერთი, ქართულ ᲕᲔᲠᲪᲮᲚ ფორმას მეგრულში შეესატყვისება ᲕᲐᲠᲩᲮᲘᲚᲘ, და არა ᲕᲐᲠᲩᲮᲘ; მეორე, ჭანურში (ლაზურში) შესატყვისი არაა დადასტურებული; მესამე, ჩვენთვის უცნობია, რას ემყარება ავტორისეული სეგმენტაცია: Ვ-ᲐᲠᲩ-ᲮᲘ. რის საფუძველზე უნდა გამოვყოთ ვ- პრეფიქსი? რას გამოხატავდა იგი? რატომ გამოიყოფა -ᲮᲘ სუფიქსი? არის კი ამგვარი მაწარმოებელი მეგრულში? უნდა აღინიშნოს, რომ 1849 წლიდან, მას შემდეგ, რაც მ. ბროსემ ქართული და მეგრული ფორმები შეაპირისპირა, მათი ამგვარი დაშლა არავის მოფიქრებია. ამიტომ ჩვენთვის სრულიად მიუღებელია ავტორის დასკვნა: „აქ ვერცხლის აღმნიშვნელი „არჩ“ არის“.

ქართ. ᲕᲔᲠᲪᲮᲚ — ფორმა შეიცავს ᲕᲔᲠᲪᲮ- ძირსა და -Ლ სუფიქსს. ამ ფუძის შესატყვის მეგრულ ფუძეში გამოიყოფა ᲕᲐᲠᲩᲮ- ფუძე და -ᲘᲚ სუფიქსი. ამდენად, აქ „არჩ“ ძირის გამოყოფა შეუძლებელია (რადგანაც, ქართულში არ გვაქვს -ხლ, ხოლო მეგრულში -ᲮᲘᲚ სუფიქსი).

რ. შენგელია თვლის, რომ ეგევე ᲐᲠᲩ გვაქვს მეგრულ ᲛᲐᲠᲩᲘᲐ ფორმაში (მუს ᲛᲐᲠᲩᲘᲐ, მუს ᲛᲐᲡᲥᲕᲐᲛᲐ). იგი წერს: „მეგრულ-ჭანურში თეთრის („ჩე“) ერთ-ერთი აბლაუტია „მარჩია“. აქაც რამდენიმე უზუსტობაა: მეგრულ ᲛᲐ-ᲠᲩᲘ-Ა, ᲛᲐ-ᲡᲥᲕ-ᲐᲛ-Ა, ᲛᲐ-ᲓᲘᲓ-Ა, და მისთანა ფორმებში მა- -ა ცირკუმფიქსი აწარმოებს ე. წ. თანაბრობით ხარისხს. ამდენად, აქ ᲐᲠᲩ კი არ გამოიყოფა, არამედ რჩ- ძირი და სიტყვაც ასე უნდა დავშალოთ: ᲛᲐ-ᲠᲩᲘ-Ა (და არა Მ-ᲐᲠᲩ-ᲘᲐ, როგორც ბატონი რ. შენგელია ფიქრობს). იგი აღნიშნავს, რომ ᲩᲔ („თეთრის“) ერთ-ერთი აბლაუტია (ტერმინი არასწორად არის ნახმარი. ალბათ, უნდა ყოფილიყო — დერივატია) ᲛᲐᲠᲩᲘᲐ. ᲩᲔ და ᲛᲐᲠᲩᲘᲐ მართლაც ერთი და იმავე ძირის სიტყვებია. ჩვენს ენათმეცნიერებაში დიდი ხანია, ცნობილია, რომ მეგრული ᲠᲩᲔ‖ᲩᲔ და ლაზური ᲥᲩᲔ‖ᲮᲩᲔ უკავშირდება ქართულ ᲛᲙᲪᲔ, ᲛᲙᲪᲝᲕᲐᲜ (ახ. ქართ. ᲛᲮᲪᲔ, ᲛᲮᲪᲝᲕᲐᲜᲘ) ფორმებს. ამ კავშირზე მიუთითებდნენ ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, გ. თოფურია, გ. კლიმოვი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, გ. როგავა, ს. ჟღენტი, და სხვ. ამდენად, ᲐᲠᲩ- „ძირთან“ მეგრული და ლაზური ფორმების დაკავშირება შეუძლებელია.

რ. შენგელია განაგრძობს: „აქვეა, მთელი რიგი „არჩ“- ძირიანი სიტყვებისა: არჩევანი, არჩევი, სახელი არჩილი, გვარი არჩაია და სხვ. ისინი, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, უკავშირდებიან შუმერულ-კოლხურ მთვარის (მთოვარე) ღვთაებას და უკვე თავისთავად არიან გაიგივებული თეთრთან, ვერცხლისფერთან“. ასეთი რთული საკითხები ასე იოლად ვერ გადაწყდება. გაუგებარია, როგორ უნდა გამოვყოთ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜ სიტყვაში „არჩ“. სულხან-საბა ორბელიანი წერდა: „ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ ვინ ვინ ირჩიოს“. აქედან, ნათლად ჩანს, რომ ეს სიტყვა Ა-ᲠᲩᲔᲕ-Ა, ᲠᲩᲔᲕ-Ა, ᲠᲩᲔ-ᲣᲚ და მისთანა ფუძეებს უკავშირდება, რომ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜ სიტყვაში Ა ზმნისწინია (ა-ირჩია) და, ამდენად, მასში, „არჩ“- ძირის გამოყოფა სრულიად შეუძლებელია და იგი ვერ დაუკავშირდება ვერც ᲕᲐᲠᲩᲮᲘᲚ, ვერც ᲠᲩᲔ‖ᲩᲔ ფორმებს.

სრულიად გამორიცხულია ᲐᲠᲩᲕ-ფორმაში „არჩ“- ძირის გამოყოფა. ან, კი რატომ უნდა იყოს ᲐᲠᲩᲕᲘ მაინცდამაინც თეთრი? თუ ავტორს დავუჯერებთ „არჩ“- ძირი, რომელიც აქ გამოიყოფა, მეგრულია. მაშინ როგორღა ავხსნათ ის, რომ მეგრულში წარმოდგენილია ქართული ᲐᲠᲩᲕ ძირის ზუსტი ფონემური შესატყვისი ᲔᲠᲪᲥ-ემ (ერსქ-ემ? ეს ფორმები ნ. მარმა შეაპირისპირა და მისმა აზრი გაზიარებულია მრავალი მეცნიერის მიერ (თ. გამყრელიძე, ე. მაჭავარიანი, კ. ჰ. შმიდტი, გ. კლიმოვი და სხვ.).

ასევე სრულიად გაუგებარია „არჩ“ ძირის გამოყოფა სახელში ᲐᲠᲩᲘᲚ. როგორც მ. ანდრონიკაშვილი ფიქრობს, ეს სიტყვა ირანული წარმოშობისაა („არიელთა ნათესავი“). რაც შეეხება იმას, რომ თითქოს ზემოთგანხილული სახელები უკავშირდება შუმერულ-კოლხურ სამყაროს (საიდან ვიცით „შუმერულ-კოლხური სამყაროს“ არსებობა?), კერძოდ, შუმერულ-კოლხურ (?!) ᲛᲗᲝᲕᲐᲠᲘᲡ ღვთაებას და თავისთავად არიან გაიგივებული თეთრთან, ვერცხლისფერთან, ეს არის ერთი უცნობის საშუალებით მეორე უცნობის ახსნის კლასიკური მაგალითი. ავტორმა არ ასახელებს იმ მკვლევრებს, ვინც ასეთი დასკვნის გაკეთებისაკენ უბიძგა (სხვათაშორის, ზოგი მისი წინამორბედის ამგვარი მოსაზრებების შესახებ იხ. „ცისკარი“, 1982, №4, გვ. 143-148).

რ. შენგელია ცდილობს დაამტკიცოს ᲛᲐᲠᲩᲮ სიტყვისა და ᲛᲐᲠᲚᲘᲡ ერთიანობა. იგი წერს: „საინტერესოა სიტყვა „ᲛᲐᲠᲩᲮᲘ“. იგი არნ. ჩიქობავას ლექსიკონში ახსნილია, როგორც „ჭროლა, ჭრელი თვალები“ (შდრ. სულხან საბა: ᲛᲐᲠᲩᲮᲘ: „თვალჭრელი“; დავით ჩუბინაშვილი: ᲛᲐᲠᲩᲮᲘ- „თვალ-ჭროლა“, თვალჭრელი“ — ავტ.), ხოლო სულხან-საბას ლექსიკონში მისი ფონეტიკური სახეცვლილება — „მარლი“ „თვალთეთრია“. აქაც ᲛᲐᲠᲩᲮ თეთრთან იგივდება“. ქართული ენის კანონებით, სრულიად გამოირიცხება ᲛᲐᲠᲩᲮᲘᲡ ვარიანტად ᲛᲐᲠᲚᲘᲡ მიჩნევა. ᲐᲠᲩᲮ ქართულში არ იძლევა ᲐᲠᲚ-ს. ვერავინ დაასახელებს თუნდაც ერთ მაგალითს, როცა რჩხ რლ კომპლექსს გვაძლევდეს. ამდენად, „ᲭᲠᲝᲚᲐ“, „ᲭᲠᲔᲚᲘ“, თეთრს ვერ დაუკავშირდება და ვერც ᲛᲐᲠᲩᲮ ფორმაში გამოვყოფთ ᲐᲠᲩ-ს.

კიდევ უფრო აშკარაა, რომ „არჩ“ არ გვაქვს ᲛᲐᲠᲩᲘᲔᲚᲨᲘ. ᲛᲐ-ᲠᲩᲘ-ᲔᲚ უკავშირდება ᲠᲩᲔᲕ- ძირს (Ა-ᲠᲩᲔᲕ-Ა, Ა-Ი-ᲠᲩᲘ-Ა, ᲠᲩᲔ-ᲣᲚ-Ი...). ამდენად, ᲛᲐᲠᲩᲘᲔᲚᲘ არ არის „ვერცხლის ფულზე მკითხავი, ანდა ვერცხლით გასამრჯელოს მიმღები მჩხიბავი“. ასევე, არ შეიცავს „არჩ“ ძირს ᲛᲐᲠᲩᲔᲜᲐᲚᲘ. იგი ასე უნდა დავშალოთ: ᲛᲐ-ᲠᲩ-ᲔᲜ-ᲐᲚ-Ი. ძირია რჩ- („ბრძენი სიტყვითა დარჩების“), რომელიც ძველი ქართული ᲨᲔᲗ-/ᲨᲗ- პროტოტიპისაგან მოდის ქართული ენის ისტორიიდან ცნობილი ფონეტიკური ცვლილებების შედეგად. ამრიგად, ᲛᲐᲠᲩᲔᲜᲐᲚᲘ არ, არის „სახლში თეთრის (ვერცხლის) მომტანი პირი“, — როგორც რ. შენგელია ფიქრობს.

საზოგადოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ რ. შენგელია სიტყვათა ერთმანეთთან დაკავშირებისას უპირატესობას ანიჭებს არა ფონეტიკურ კანონებს, სიტყვათა მორფოლოგიური ანალიზის წესებს, არამედ სემანტიკას, რის შედეგადაც აკავშირებს სხვადასხვა წარმოშობის სიტყვებს, გვაძლევს ფორმათა სრულიად მიუღებელ სეგმენტაციას.

ჩანს, ტერმინი „ᲛᲐᲠᲩᲘᲚᲘ“ უცხოური წარმოშობისაა. ნუმიზმატი რ. ქებულაძე მას უკავშირებს ვენეციურ ვერცხლის ნომინალს— ᲛᲐᲠᲩᲔᲚᲝᲡ (ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბ. 1971, გვ. 108), რომელიც იჭრებოდა XV ს. ბოლო მეოთხედსა და XVI ს. შუა ხანებში. იმავე აზრისაა ი. ჯალაღანიაც (ქსე, ტ. 6, გვ. 478). ამ ერთეულის გავრცელება საქართველოში შავი ზღვის სანაპიროებზე იტალიელთა სავაჭრო საქმიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. 1611-12 წლებში იტალიაში ᲛᲐᲠᲩᲘᲚᲡ იხსენიებს სომეხი მოგზაური ᲡᲘᲛᲔᲝᲜ ᲚᲔᲮᲐᲪᲘ, რომელიც საერთოდ არ ყოფილა საქართველოში.

ᲛᲐᲠᲩᲘᲚᲘ ქართულ წყაროებში XVI ს. დასაწყისიდან ჩანს (ვეყრდნობით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებს), ჯერ დასავლეთ, მერე კი აღმოსავლეთ საქართველოშიც. XVII ს-ში ის შეესაბამებოდა საქართველოში ევროპიდან შემოტანილ ᲢᲐᲚᲔᲠᲣᲚ ვერცხლის მონეტებს, რომელთა წონაც იყო 28-29 გრამი. ტალერულ მონეტებს ოსმალები ᲧᲣᲠᲣᲨᲡ უწოდებდნენ. 1687 წლიდან თურქებმა საკუთარი ყურუშის მოჭრაც კი დაიწყეს, რომლის წონაც ევროპულ ტალერზე მცირე იყო. ტალერ-მარჩილისა და ყურუშის იდენტურობაც თავის დროზე კარგად იყო ცნობილი. 1650 წლის ერთ ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთის ქართულ ტექსტში გვაქვს ᲛᲐᲠᲩᲘᲚᲘ, სპარსულში კი — ᲧᲣᲠᲣᲨᲘ.

ტალერული მონეტები ირანსა და საქართველოში XVII ს-ში 8 ᲐᲑᲐᲖᲐᲓ ფასობდა. იგივე ითქმის ᲛᲐᲠᲩᲘᲚᲖᲔᲪ. XVIII ს. დასაწყისიდან ტალერების მიმოქცევა საქართველოში შეწყდა (რ. ქებულაძე). შემცირდა აბაზის წონაც, რომელიც 7.25 გრამიდან XVIII ს. მიწურულისთვის დაახლოებით 3 გრამამდე დაეცა. მაგრამ ამ დროსაც, ისევე, როგორც წინა საუკუნეში, 8 აბაზი ერთ ᲛᲐᲠᲩᲘᲚᲐᲓ იანგარიშებოდა. ცდება ის, ვინც ფიქრობს (მაგ. ნ. ქოიავა), რომ ᲛᲐᲠᲩᲘᲚᲘ იჭრებოდა XVII ან XVIII ს.ს. საქართველოში. ნუმიზმატიკური მასალებით ეს არ დასტურდება. ასეთივე ინფორმაცია ახლახან მოგვაწოდა ნუმიზმატმა თ. ქუთელიამ. ᲛᲐᲠᲩᲘᲚᲘ, ფაქტობრივად, ევროპული ტალერული მონეტების მიმოქცევიდან გასვლის შემდეგ, ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲡ წარმოადგენდა.

ამრიგად, ᲛᲐᲠᲩᲘᲚᲘ უცხოური ტერმინია. თავდაპირველად, ის გამოიყენებოდა უცხოეთიდან შემოსული ფულის აღსანიშნავად და ჩვენში არ იჭრებოდა. ტერმინი დღეს მივიწყებულია და, ჩვენი აზრით, მისი გაცოცხლება (როგორც ეს სურდა, საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას 1921 წ.), მიზანშეწონილად არ გვეჩვენება.

მაგრამ როგორია ჩვენი წინადადებები?

თუ მომავალი ქართული ფულის სახელწოდებად მაინცდამაინც უცხოური ტერმინი გვინდა, ასეთი უკვე გვაქვს — ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ორნახევარი საუკუნის წინათ, ქართველებმა და ზოგიერთმა სხვა ჩვენმა მეზობელმა ხალხმაც, რუსულ ვერცხლის ფულზე აღნიშნული „монета рубль“ გაიაზრეს როგორც ფულის ერთეულის სახელწოდება — ᲛᲝᲜᲔᲗᲐ, ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ᲛᲐᲜᲐᲗᲘ. თუ არა ვცდებით, პირველად, ტერმინი ᲛᲐᲜᲔᲗᲘ დადასტურებულია 1754 წელს, ჯულაბაშვილების დავთარში. გვხვდება ის XVIII ს. II ნახევრის სხვა ქართულ დოკუმენტებშიც. მტკიცედ კი მანეთი დამკვიდრდა XIX ს-იდან რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ.

ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს რომ ქართულმა შეითვისა არა ტერმინი „рубль“, არამედ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. თანაც, ეს მოხდა არა რუსული მმართველობის დიქტატით, არამედ, ბუნებრივი და ნორმალური სავაჭრო ურთიერთობების გზით. აღსანიშნავია ისიც, რომ „მონეტა“, საიდანაც წარმოდგა მანეთი, არ არის რუსული სიტყვა. მკითხველებს შევახსენებთ, რომ ამ სახელს ატარებდა რომაელთა ქალღმერთი ᲘᲣᲜᲝᲜᲐ (იგივე ჰერა). რომში, კაპიტოლიუმის ბორცვზე, ქალღმერთ ᲘᲣᲜᲝᲜᲐ-ᲛᲝᲜᲔᲢᲐᲡ ტაძართან იყო ზარაფხანა. აქ მოჭრილ ლითონის ფულს ეწოდა სწორედ ᲛᲝᲜᲔᲢᲐ. ამრიგად, ტერმინ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ „გენეტური ფესვები“ საუკუნეების სიღრმეში მიდის. ის მიღებული და დამკვიდრებულია ხალხში და მისი ხმარებიდან ამოღება ისევე ძნელი საქმე იქნება, როგორც შაურის და აბაზისა. ეს ორი უკანასკნელი ტერმინი სეფიანთა ირანის პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსიის შედეგად დამკვიდრდა ჩვენში. პირველი შაჰიდან მოდის, მეორე—ავადსახსენებელი შაჰ-აბასიდან, მაგრამ ამ სახელწოდებებმა თავიანთი პირვანდელი შინაარსი დაკარგეს და მათ დღესაც ვიყენებთ.

საერთოდ, საქართველოში გავრცელებულ ნუმიზმატიკურ ტერმინთა უმრავლესობა უცხოურია. არაქართული სიტყვაა „ᲤᲣᲚᲘ“, (ბერძნ. ᲤᲝᲚᲘᲡ, სპარს. ᲤᲝᲚᲘ) და მისი ძველი ქართული შესატყვისის „ᲡᲐᲤᲐᲡᲔᲡ“ ფუძე — „ᲤᲐᲡᲘ“. მაგრამ ასეა სხვა ქვეყნებშიც. რუსული არაა, მაგალითად, ДЕНЬГИ, ფულის ერთეულის სახელი „ᲚᲘᲠᲐ“ გავრცელებულია იტალიაში, თურქეთში, სირიაში, და სხვა ქვეყნებში. ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲢᲐᲚᲔᲠᲘᲓᲐᲜ მოდის და სხვ. ამა თუ იმ ფულის ერთეულის ქართული სახელწოდებები ცოტაა. მათ შორის, კი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული იყო ᲗᲔᲗᲠᲘ.

როგორც საქართველოში, ისე უცხოეთის არაერთ ქვეყანაში, ვერცხლისგან მოჭრილ მონეტას ფერის გამო ᲗᲔᲗᲠᲘ ეწოდებოდა. ასეთებია, მაგალითად, ᲐᲡᲞᲠᲘ ტრაპიზონის იმპერიაში და ᲐᲮᲩᲔ ოსმალეთში. საქართველოში ᲗᲔᲗᲠᲘ იყო ჯერ გარკვეული ტიპის ვერცხლის ნომინალი, მერე კი ვერცხლის ფული საერთოდ. ივ. ჯავახიშვილმა უჩვენა, და შეიძლება სხვა დამატებითი მასალების მოხმობაც, რომ ᲗᲔᲗᲠᲨᲘ იგულისხმებოდა ᲝᲥᲠᲝᲡ ᲤᲣᲚᲘᲪ (რომელიც საქართველოში არ იჭრებოდა). ᲗᲔᲗᲠᲘᲡᲒᲐᲜ განსხვავებით, სპილენძის ხურდა ფულის აღსანიშნავად გამოიყენებოდა „ᲤᲣᲚᲘ“, რომელსაც დღეს უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს.

თუ ჩვენ გვინდა, ქართული ფულის ძირითად ერთეულს ქართული და ამასთან პოპულარული, ტრადიციული სახელი დავარქვათ, თეთრზე უკეთესი ᲡᲐᲮᲔᲚᲘ არ ᲒᲕᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ. ის გარემოება, რომ ᲗᲔᲗᲠᲘ ერთ დროს იყო ვერცხლის ფულის აღმნიშვნელი სახელი, რაიმე დაბრკოლებას არ ქმნის. ჩვენ ვიცით, რომ ძველად მახლობელ აღმოსავლეთში ᲓᲘᲜᲐᲠᲘ ოქროს მონეტა იყო, ᲓᲠᲐᲰᲛᲐ კი — ვერცხლისა. ერთიც და მეორეც, დღეს ქაღალდის ფულია: დინარი ერაყში, იორდანიასა და იუგოსლავიაში, დრაჰმა კი — საბერძნეთში.

ტერმინ ᲗᲔᲗᲠᲘᲡ გაცოცხლება ქართული ფულის ძირითადი ერთეულის სახელწოდებად ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ და ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘᲐ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ის დიდი ხნის მანძილზე ვერ შეძლებს მეტყველებიდან ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ გაძევებას.

უფრო ძნელია: ფულის უკნინესი ერთეულის სახელის გამოძებნა. ძველ ტერმინთა უდიდესი უმრავლესობა ასევე უცხოურია. მათ შორის ᲙᲔᲠᲛᲐᲪ, რომელიც ბერძნულიდან მოდის. ერთადერთი ქართული ტერმინაა ᲛᲬᲣᲚᲘᲚᲘ, რომელიც დადასტურებულია ოთხთავის უძველეს ხელნაწერებში (მარკოზი $12_{42}$, ლუკა $12_{59}$, $21_{2}$). ის ბერძნულ ᲚᲔᲞᲢᲝᲜᲡ, ებრაულ ᲞᲠᲣᲢᲐᲡ, ლათინურ ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲜᲡ შეესაბამებოდა და ხურდა ფულს ნიშნავდა. თუ ვინმეს ᲛᲬᲣᲚᲘᲚᲘ ძნელად გამოსათქმელად ეჩვენება, შეიძლება ახალი ტერმინის შექმნა. იქნებ გამოდგეს ᲠᲕᲐᲚᲘ, რომელიც ფულის რაიმე ერთეული არ ყოფილა, მაგრამ, ოქროსა და ვერცხლთან ერთად ანგარიშგასწორების საშუალებას წარმოადგენდა. ეს სიტყვა, მართალია, სპარსული ძირისაა, მაგრამ დღეს ის სავსებით ქართულად ჟღერს. ერთი რამ უეჭველია. ტერმინი ᲙᲐᲞᲘᲙᲘ — копейка (რომელიც რუსულ ფულზე გამოსახული შუბოსანი მხედრიდან მომდინარეობს) უნდა შეიცვალოს.

ამრიგად, ᲗᲔᲗᲠᲘ და ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ᲛᲬᲣᲚᲘᲚᲘ და ᲠᲕᲐᲚᲘ — აი, ის ტერმინები, რომლებიც, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოვიყენოთ ქართული ფულის ძირითადი და უკნინესი ერთეულების აღსანიშნავად. მომავალი ალბათ, გვიჩვენებს, თუ რომელს მიანიჭებს ხალხი უპირატესობას. მაგრამ მთავარია, რომ ქართული ფული ფულობდეს, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში, მაღალი პრესტიჟით სარგებლობდეს და ჯანსაღ ეკონომიკას ემყარებოდეს. საქართველოში ეროვნული ფულის მოჭრა სწორედ ამ მიზნებს უნდა ისახავდეს.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲐᲠᲯᲕᲔᲚᲐᲫᲔ,
ᲒᲝᲩᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელწოდებისათვის

## ქართი, მარჩილი, თუ?..



გაზეთ „სახალხო განათლების" 1990 წლის 22 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ნ. ჯავახიშვილის წერილი „რა დავარქვათ ქართულ ფულს?" მასში საქმიანი მსჯელობაა მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს ქართული ფულის სავარაუდო სახელწოდებებზე. ცხადია, დამოუკიდებელ საქართველოს საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა ექნება და რადგან იმედიანად დავადექით სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზას, ნაჩქარევი სრულებით არ არის იმაზე ფიქრი, თუ რა დაერქმევა ფულის ძირითად სახეებს (ბანკნოტს, მონეტას) ქართულად. ეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხია და სერიოზულად, კვალიფიციურად, მეცნიერულად სამსჯელოა. კარგია, რომ პრესაში დაიწყო აზრთა გამოთქმა ამის თაობაზე. რაც მეტი სპეციალისტი (თუ მოყვარული) გამოთქვამს თავის შეხედულებას ამ საკითხზე, მით უფრო მეტი შესაძლებლობა იქნება უკეთესი ვარიანტის შერჩევისა.

სწორია ნ. ჯავახიშვილი, როცა წერს, რომ ჩვენი მძიმე და ტრაგიკული ხვედრის გამო ქართული ფულის 2500-წლიან ისტორიაში იშვიათად მოგვეპოვება ფულის ნამდვილი ეროვნული სახელწოდებები. საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ფულადი სისტემა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენი უშუალო მეზობლების ფულად სისტემებთან. „საქართველოს ყოველი დამპყრობელი — არაბი, თურქი, ირანელი, რუსი და სხვა — ყოველთვის საკუთარ ფინანსურ კაბალაში აქცევდა, იძულებით ცვლიდა ეროვნული ფულის გარეგან სახეს, ზედწარწერებს, სახელწოდებებს". ასე იყო. მაგრამ დავამატებდით: სანამ არაბები და თურქები გამოჩნდებოდნენ საქართველოს ისტორიის ჰორიზონტზე, **ბიზანტიურმა და რომაულმა** სამყარომ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში თავისი კვალი აღბეჭდა და, ამდენად, არსებითად ამ სამყაროდან შემოსული ფულის სახელწოდებებია რეალიზებული **უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში.** უთუოდ საყურადღებოა ნ. ჯავახიშვილის წინადადებანი, რომ შეიძლება ქართულ ბანკნოტს ეწოდოს არა „ქართული თეთრი", არამედ მოგვიანო ხანის **მარჩილი** ან სახელდახელოდ შექმნილი **ქართი** (ვთქვათ, ფრანგული „ფრანკის" ანალოგიით), ხოლო ქართულ მონეტას, ხურდა ფულს კი — ძველი ხმარების **კერმა**. წერილის ზომიერი პათოსი ის არის, რომ ეროვნულ ქართულ ფულს ქართული სახელი ერქვას. ეს სავსებით ბუნებრივი სურვილია. მაგრამ რამდენად არის შესაძლებელი ამისი რეალიზაცია? რადგან ფაქტიურად კარგა ხანია არა გვაქვს ასათვლელად საყრდენი ფულის ძირითადი სახეების (ბანკნოტის, მონეტის) ქართული სახელწოდებანი, ქართული ლექსიკის ამ ხარვეზის შესავსებად უპირველესად გასარკვევია, რა პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რას ვესწრაფვით: ტერმინი იყოს **უთუოდ ქართული,** თუ იყოს მოხდენილი, ე. ი. აღსანიშნისა (ცნება-შინაარსისა) და აღმნიშვნელის (სიტყვა-ტერმინის) შორის **შესაფერისობა** იქნეს მიღწეული. (ცხადია, იდეალური იქნებოდა, თუ ტერმინი ორივე მოთხოვნას დააკმაყოფილებდა. მაგრამ თუ ამის შესაძლებლობა არ არის, უპირატესობა უნდა მიეცეს სახელწოდების შესაფერისობა-მოხდენილობას. ბ-ნი ბ. ბერაია კი ქართული ფულის სახელწოდებად გვთავაზობს მოგვიანო ხმარების „ქართულ თეთრს" („საბჭოთა მანეთი თუ ქართული თეთრი?" გაზ. „საქმე", 26. X. 1990), რაც გარკვეულ შეუსაბამობას შეიცავს: ორსიტყვიანია, აღმნიშვნელი და აღსანიშნავი შეუსაბამობაშია: ვერცხლის ფულის **ფერის** პრიმატობის სახელდებული „თეთრი" შეუსაბამოა ბანკნოტის გამოსახატავად. ამიტომ ვერ მოიკიდა ფეხი ქართულში ფულის სახეობათ სახელწოდებებმა: **წითელმა** (ოქროსი), **თეთრმა** (ვერცხლისა) და **შავმა** (სპილენძისა). ქართული ფულის სახელწოდება რომ ქართული იყოს, ამის სურვილითაა შემოთავაზებული, როგორც აღვნიშნეთ, ახალი **„ქართი"**. მართალია, ტერმინები არსებითად ხელოვნურად იქმნება გარკვეული ტერმინოლოგიური პრინციპებისა და დერივაციული მოდელების გათვალისწინებით, და ამდენად, სახელ „ქართისაც" აქვს უფლება მონაწილეობდეს ქართული ფულის სახელწოდებათა შერჩევის კონკურსში. მაგრამ მაინც საჩოთიროა ამ შემთხვევაში სახელდების ორიენტირება ეთნიკური შინაარსის ფუძეზე (ბალტიისპირელთა ფულების სახელწოდებაში „ლიტის", „ლატის" ეროვნული სახელმწიფოს არსებობის მანიფესტაციის მძლავრი სურვილია გამჟღავნებული), რადგან ეთნიკურ ფუძეზე დამყარებული ფულის სახელწოდება გარკვეულ კონტექსტში ერთგვარ უხერხულობას შექმნის.

ასეთ ვითარებაში ყველაზე რაციონალური ჩანს **ძველ** ქართულში არსებული ფულის უცხო სახელწოდებათაგან ისეთების შერჩევა, რომლებიც ყველაზე **ხშირად** და **ხანგრძლივ** იხმარებოდნენ და ამდენად, ყველაზე მეტად იყვნენ **ადაპტირებული ქართული ფონეტიკური სისტემის კვალობაზე.** მაგრამ სანამ ამაზე კონკრეტულად ვიმსჯელებდეთ, შევჩერდებით **მარჩილ** სახელზე, რომლის ქართული ფულის სახელწოდებად მობრუნებას ჯერჯერობით სხვაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს. ოღონდ ახლავე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს სიტყვა ძველმა ქართულმა არ იცის. ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ამ გარემოებას ფულადი სახელწოდების ნაკლად ვთვლიდეთ, გვიან შემოსულ ამ სიტყვას არსებითად დიდმა საბამ დაულოცა გზა სამწერლობო ქართულში თავისი შთამბეჭდავი შემოქმედებით, ხოლო ვახტანგ მეექვსემ სახელმწიფოებრივად დააკანონა თავის სამართლის წიგნში, სადაც მე-15 თავში ნახსენებია ფულის როგორც ძველი ერთეულები (თეთრი გიორგაული, კირმანაული), ასევე ღირებულებანი მისდროინდელი ფულადი (მანეთის წონადი) ერთეულებისა: თეთრი, დანგი, მისხალი, ყირათი, შაური, უზალთუნი, მინალთუნი, აბაზი, თუმანი, ფლური, მარჩილი. უკანასკნელზე ნათქვამია: „ხუთი აბაზი, ერთი მინალთუნი არის და სამი აბაზი — ერთი მარჩილი" (ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის გამოც. 1963, გვ. 486). ცხადია, საბას განმარტება მარჩილისა, როგორც „სამი აბაზისა", ეთანხმება 1710-იან წლებში შედგენილ ვახტანგისეული კოდექსის განმარტებას. მაგრამ დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ნ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ ლექსიკონში უფრო ვრცელ ცნობას ვპოულობთ: „**მარჩილი**" ძველი ქართული ფული, ხშირად მოხსენებული ვახტანგ მეფის სამართლის წიგნსა შინა, აწინდელი სამი აბაზის ვერცხლის ფულის ფასისა. ხოლო იმერეთსა შინა აწცა ხმარობენ თეთრის თვლაში და ჰნიშნავენ 6 შაურს, ან რუსულს ერთ რუბლს შავს ფულსა, რამეთუ მარჩილს სთვლიან ასს ფარად და **ფარად** უხმობენ კაპეიკს" (ქართ. ლექსიკ. ალ. ღლონტის გამოც., 1961, გვ. 269). საინტერესოა, რომ ოსმალური **ფარა** („კაპიკი") საბამ არ იცის. მაგრამ ამ ბოლო ხანს გაჩნდა ჭარბი სურვილი „მარჩილი" **ქართულ** სიტყვად იქნეს მიჩნეული და ამდენად რეკომენდირებულიც დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ფულის სახელწოდებად. ნ. ჯავახიშვილს მოჰყავს ცნობა, რომ **მარჩილი** ეწოდებოდა ვერცხლის მონეტას, რომელიც იჭრებოდა მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოში. მარჩილი უდრიდა სამ აბაზს ანუ თორმეტ შაურს და გავრცელებული იყო ევროპული მანეთის — ტალერის აღსანიშნავად (არსებობს ვარაუდი, რომ სიტყვა მარჩილი იტალიური წარმოშობისაა და მომდინარეობს ვენეციური ვერცხლის მონეტის — **„მარჩელოს"** სახელწოდებიდან). ვფიქრობთ, ბოლო წინადადება ფრჩხილებში ჩასასმელი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ „მარჩილი" ქართული წარმოშობისა არ არის, მისი აღდგენა მკრეხელობა როდი იქნება, მით უმეტეს, რომ 20-იანი წლების დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ჰნდომებია მისი აღდგენა და რისი მსურველებიც არიან ნ. ჯავახიშვილი და რ. შენგელია. პირველი ავტორი გულმართლად წერს: „თუ ჩვენ გავითვალისწინებთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა ღვაწლს და მომავალ ქართულ ფულს „მარჩილს" ვუწოდებთ, ამით ხორცს შევასხამთ პატრიოტულ ჩანაფიქრს, რაც ისტორიული ბედუკუღმართობის გამო დღემდე განუხორციელებელია". მეორე ავტორი ცდილობს ამ აზრს დაუჭიროს მხარი, ოღონდ იმ დამატებითი არგუმენტით, რომ თითქოს „მარჩილი" სხვა ნუმიზმატიკურ ერთეულთა შორის **ყველაზე ქართული** და კეთილხმოვანია. ბ.-ნ რ. შენგელიას მთელი წერილის იდეა ის არის, რომ უარყოს „მარჩილის" იტალიური წარმომავლობა, დაამტკიცოს მისი ქართულობა და მომავალში აღდგენის მიზანშეწონილობა. უკანასკნელ სურვილზე ჩვენც არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ რაც შეეხება „მარჩილის" ქართულობის დასამტკიცებლად მოხმობილ არგუმენტებს, ისინი მცდარია და მეცნიერულად მიუღებელი. მივჰყვეთ ამ არგუმენტებს აბზაც-აბზაც.

1. ავტორის აზრით, „ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველმა კაცმა საქართველოში მოჭრილ ფულს გერმანული შესაბამისი ერთეულის აღსანიშნავად იტალიური სახელი უწოდა! მარტვილის რაიონში არის სოფელი ტალერი და ამ სიტყვის ხმარება სრულიად არ უჭირთ არც ადგილობრივებს და არც ჩამოსულებს". გვაპატიოს მკითხველმა, მაგრამ ამ არგუმენტზე სერიოზული მსჯელობა უხერხულია. რა შუაშია გერმანული მონეტის სახელი „ტალერ" და მარტვილის რ-ს სოფ. ტალერი? ან ვის ვუმტკიცოთ, რომ „ტალერის" გამოთქმა არ უჭირთ, „არც ადგილობრივებსა და არც ჩამოსულებს? ან არსებობს კი საერთოდ ენა, რომელზეც „ტალერის" გამოთქმა შეუძლებელი იყოს? და თუ გერმანული „ტალერ" ადვილი გამოსათქმელი იყო, მაინცდამაინც ქართული ფულის აღსანიშნავად ის უნდა შემოეღოთ და არა იტალიური „მარჩილი"? განა „მარჩილი" უფრო ძნელი გამოსათქმელია, რომ გავიკვირვოთ, რატომ ამჯობინა ქართულმა ის გერმანულ „ტალერსო"? არა. ავტორს უნდა თქვას, თუ სესხებაზე იყო საქმე, გერმანული „ტალერ" უფრო უნდა ესესხა ქართულს, ვინემ იტალიური „მარჩილი". მაგრამ საქმე ისაა, რომ „მარჩილი" არც იტალიური არ ყოფილა. რატომ? ამის პასუხად ავტორს მოჰყავს თეზა მეორე და მესამე;

2. საქართველო ყოველთვის განიცდიდა მეზობელთა ეკონომიკურ-პოლიტიკურ ექსპანსიას, მაგრამ მის შიდა ბაზარზე ძირითად ნუმიზმატიკურ ერთეულად არასოდეს გამოჩენილა **არამოსაზღვრე** მეზობლის ფულადი ერთეული, არც მისი სახელწოდება.

3. მე-17 საუკუნეში საქართველოს ისეთი გაჭირვება ადგა მეზობელი მუსლიმანური იმპერიებისაგან, რომ იტალიასთან მსგავსი ეკონომიკური, თუნდაც ნომინალური დაახლოება წარმოუდგენლად მეჩვენება". ასეა კი? ერთი ქვეყნის ფულის სახელწოდების გავრცელებას სხვა ქვეყანაში არსებითად ის კი არ განსაზღვრავს, ეს ქვეყნები ტერიტორიულად ერთმანეთს **უშუალოდ** ესაზღვრებიან თუ არა, არამედ **ისტორიული** (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული...) **კავშირის** ცხოველმყოფელობა. ამიტომაა, რომ ბერძნულ-რომაული სიტყვები და ტერმინები (მათ შორის ფულადი ერთეულების ნომინაციები) შევიდა ბევრ არამოსაზღვრე ქვეყანაში. ამიტომვეა, რომ გრიგოლ ხანძთელის დროინდელ დას. საქართველოში შეიძლებოდა ფულის სახელწოდებად ბერძნული წარმოშობის **დრამა** ეხმარათ: დემეტრე მეფემ უბისის მონასტრის აშენებისათვის გრიგოლს და მის სულიერ ძმებს მიანიჭა **„დრამა** ათი ათასი და ყოვლითა კეთილითა აღავსნა".

4. ავტორის აზრით, „მარჩილი" რომ ქართული წარმოშობისაა, ამას ასეთი ფაქტი ცხადყოფს: „სწორედ მე-17 საუკუნის მოღვაწეა დიდი სულხან-საბა. მის ლექსიკონში კი არაფერია თქმული ამ „ახლადმოჭრილი" ფულის იტალიური წარმოშობის შესახებ. მით უმეტეს, რომ იტალიურ სამყაროსთან მისი სიახლოვე სრულ საფუძველს იძლეოდა იმისა, რომ ეს შესაძლო ფაქტი ფართოდ და გამოკვეთილად დაფიქსირებულიყო". ასეა? საბას ლექსიკონში უცხო წარმოშობის სიტყვათა დიდ ნაწილს არ ახლავს **წარმომავლობაზე** მითითება, რადგან ეს ლექსიკონი **განმარტებითია** და არა ეტიმოლოგიური (სხვათა შორის, ქართულ სიტყვათა უცხო — იტალიური, თურქული, სომხური — შესატყვისობანი, ასევე უცხო საკუთარ სახელთა ეტიმოლოგიური თარგმანი ლექსიკონში გვიანაა შეტანილი ქართულის „შესრულებულად" შესწავლისათვის). ასე რომ არ იყოს, განა საბამ არ იცოდა, რომ ქართულში ბერძნულიდან იყო შემოსული, ვთქვათ, **ეპისკოპოსი, ეკლესია, ანგელოზი...** ან თუნდაც თვით ფულის ერთეულთა სახელწოდებანი: **დრაქმა, კერმა, ხატირი** (სტატირი), **დიდრაქმა, მნა, ტალანტი** და სხვა. მაგრამ, რატომ არ უთითებს მათ ბერძნულ წარმომავლობაზე? უბრალოდ იმიტომ, რომ ამას არ თვლის საჭიროდ **განმარტებით** ლექსიკონში. მაგრამ თუ საბა უცხო წარმომავლობის სიტყვასთან ზოგჯერ მაინც მიუთითებს მათ „სხვათა ენობას", ეს ერთიანი პრინციპის არათანმიმდევრულად გატარებას მიანიშნებს, რაზეც, ცხადია, ვერ ვუსაყვედურებთ დიდ საბას, ქართულ ლექსიკოგრაფიაში ყამირის გამტეხს.

5. ავტორის ვარაუდით, „მარჩილის" ქართულობის ამოსაცნობად ყურადღება უნდა მიექცეს **არჩ** ძირიანი სიტყვების სემანტიკურ შესწავლასა და მის მითოლოგიურ ასპექტებს". კეთილი. მაგრამ რომელია ასეთი სიტყვები? — კოლხური **ვარჩხია**", „**მარჩია**", ან კიდევ: **არჩევანი, არჩვი,** სახელი **არჩილი,** გვარი **არჩია, მარჩხი, მარჩენალი, მარჩიელი.** მკითხველმა იქნებ არც დაიჯეროს, რომ ცა და დედამიწასავით დაშორებული ეს სიტყვები ავტორს მართლაც სითეთრის მნიშვნელობის ერთი **არჩ** ძირისად მიაჩნია. არ მინდა პროფესიული სიმკაცრით გული ვატკინო ქართულ ეროვნულ საქმეში გულწრფელად მონაწილეობის მსურველ ავტორს, მაგრამ ასე მიამიტურად წერა არ შეიძლება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ **არც ერთ ზემოდასახელებულ სიტყვას კავშირი არა აქვს „მარჩილთან"**. შეიძლება სპეციალისტებს ამაზე განმარტება ერთობ ზედმეტადაც მოეჩვენოთ, მაგრამ, რადგან რ. შენგელიას წერილს თუ მილიონობით არა, ათასობით არასპეციალისტი მაინც წაიკითხავდა, ამიტომ საჭიროდ ვთვლით, მოკლე შენიშვნები გავაკეთოთ ავტორის მიერ მოხმობილ მასალაზე.

ავტორს ჰგონია, რომ რადგან **„მარჩილი"** ვერცხლის ფულია და ვერცხლს მეგრულად ჰქვია **ვარჩხია** (უნდა იყოს: ვარჩხილ-ი), მათ საერთო **არჩ** ფუძე აქვს (შდრ. მ.-**არჩ**-ილ, ვ.-**არჩ**-ხი), იმას კი არად დაგიდევთ, რომ ამ სიტყვების ასე დაშლა თვითნებურად, და რომ მეგრ. **ვარჩხილ** კანონზომიერი შესატყვისია ქართ. **ვერცხლ**-ისა. ასევე მცდარია ავტორის მიერ **არჩ** ძირის გამოყოფა მეგრ. **მარჩია** („სითეთრის") სიტყვაში, რადგან აქ ძირეულია **რჩ**-ე, რომელიც მიღებულია **ხჩ**-ე-ისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი კანონზომიერი შესატყვისია ქართ. **ხც**-ე-სი (შდრ. მხცე, მხცოვანი), ხოლო თავსართი **მა** და ბოლოსართი **ა.** თანაბრობითი ხარისხის მაწარმოებელია (შდრ. მა — მაღალ-ა „სიმაღლის").

ასევე არაფერია ნათქვამი, რატომაა **არჩ** ძირისა **მარჩხი** „ჭროლა", როცა ამ უკანასკნელის მცდარად დაშლით ფუძის ბოლოკიდური **ხ** უგულებელყოფილია. ან როგორ უნდა დაამტკიცოს ავტორმა, რომ თითქოს „ვერცხლის" შინაარსის **არჩ** ძირისა იყო **არჩვი?** განა ამ უკანასკნელის კანონზომიერი მეგრული შესატყვისი **ერცქ**-ემ-ი არ ადასტურებს, რომ ფუძე **არჩვ** დაუშლელია? ან როგორ შეიძლება კაცმა **არჩ** ძირი დაინახოს საშუალო სპარსულიდან შემოსულ **არჩილ** პირის სახელსა, ან გვარ-სახელ **არჩაია-**ში? არას ვამბობთ, რომ ვერცხლის **სითეთრის** გამომხატველი და ავტორის მიერ მოგონილი **არჩ** ძირის შემცველი არასგზით არ შეიძლება იყოს **არჩევანი, მარჩენალი, მარჩიელი,** რომლებიც **რჩ**-ევ, **რჩ**-ენ ძირებს ეფუძნებიან. ვშიშობ, მკითხველმა არ იფიქროს, რომ მე ავტორის აზრებს განგებ ვცვლიდე და იუმორისტულ ელფერს ვაძლევდე, როცა ზემოდდასახელებულ გულუბრყვილო „ეტიმოლო-

(დასასრული მე-16 გვ.)

ძვირფასო მკითხველო!
არასოდეს მიფიქრია ამ ლექსების გამოქვეყნება. ისინი მაშინ დაიწერა, როცა 19 წლის ჭაბუკი ვიყავი და ის იყო ფეხს ვიდგამდი პოეზიაში. ამით აიხსნება მათი გულუბრყვილო ხალეხო ფორმა და გაუმართავი სტრიქონები, ალაგ-ალაგ რომ გვხვდება, სუსტი რითმები. მაგრამ მე მაშინ 19 წლისა ვიყავი, მათი დაწერიდან არც მეტი, არც ნაკლები, ნახევარმა საუკუნემ, მთელმა 50 წელიწადმა გაიარა!
ამას წინათ არქივს ვალაგებდი, იხევ შემომეყარნენ და შემებრალნენ, როგორც ყვავილები, ყინვამ რომ მოუხწრო და შეუბრალებლად დააზრო ყველა — დღის სინათლე არ აჩვენა.
მე არ ვკვებავ თავს ილუზიით, თითქოს საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების მკითხველს ამ რამდენიმე ლექსის გამოქვეყნებით უზადო პოეტურ სიტყვას ვთავაზობდე. სამაგიეროდ, მე მას ვთავაზობ მაშინდელი შეძლების კვალობაზე პოეტურად გამოხატულ ფიქრებს და გრძნობებს, რითაც მაშინ, 50 წლის წინათ ვცხოვრობდი და რის ხორცშესხმასაც მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრება შევწირე.

ავტორი
26 თებერვალი, 1991 წ.

# რევაზ ჯაფარიძე

### ჭაბუკის სიკვდილი

ვაჟი ლაშქრად მიდიოდა, სიკვდილის
შორი ლანდი ტყის გალმიდან ზვერავდა,
სიჭაბუკე, შეუმჩნევლად გავლილი,
კვლავ სდგებოდა უნეტარეს ფერადა.
ვაჟი ტყვიამ დასცა. მიწამ გაშალა,
ცამ დაჰკრიფა მკვდარ სულების ვენახი,
სიკვდილის წინ ის ფიქრობდა,
განვლილი
სიჭაბუკე ჯობდა სულ არ ენახა.

### მოგზაური

ეს გათენება რარიგ ძვირფასი,
მშვენიერია ჩემს დღეთა შორის.
აქ არ მაწუხებს მე ღრიანცელი
და დამსხვრეული კასრების შმორი.
ცამდე აღმართულ მაღალ სართულებს
აღარ უცქერის აქ შიშით თვალი,
არც სულს აწვება აქ მძიმე ტვირთად,
გზა მომავალი, ძნელად სავალი.
აქ მოედნები და პროსპექტები
ღამით სიზმარშიც არ მელანდება,
იდილიურად ამოდის მზე და
იდილიურად ისევ ღამდება.
უკვე დავშორდი ქვეყანას ნაცნობს
და ახლა ვფიქრობ, კარგად თუ ავად,
რომ ყველაფერი შორიდან ქვეყნად
მშვენიერია დასანახავად:
მეურმე როგორ ჩუმის ღიღინით
ჩაივლის დაღმართს და შეისვენებს,
ანდა უცნობი ვინმე მეეტლე
ჩვეულ ალერსით დასჭყივლებს ცხენებს.
მე მხოლოდ ახლა ვგრძნობ სიმაღლეებს,
რა შორს წავსულვარ სტეპთა არიდან!
ბუზისოდენა ჩანს აქლემები,
ბამბა რომ მოაქვთ ლენქორანიდან.
დაუძლეველი ამქვეყნად კაცის,
არ განმიცდია ამგვარად ვნება.
წუთით მე გავხდი მეუფე მთათა,
ქვეშევრდომთა კი არ მამკობს წყება.
ამოვარდება სადღაც ქუხილი,
ბნელ ხეობებით წამოვა ქარი,
ნუთუ შეწყდება ამქვეყნიური
მთებში ნახული უცხო სიზმარი.
კვლავ ვნატრობ დავრჩე ამ მყინვარებთან
და ვიძმო მათი სეტყვა და დარი,
რომ ჯურღმულებში გადაკარგული
ისევ წარმტაცი მეჩვენოს ბარი.

●

ჩამოწვა ბნელი და ღამის ჩქამში
ვბორგავ დილეგში მე, ცოცხალ-
მკვდარი,
კარის გუშაგის ხიშტის ელვაზე
კვლავ ვვარაუდობ ამოსვლას მთვარის.
შევთხოვ ღვთაებას, გამჩენო ჩემო,
ჭაბუკურ სევდამ განმიკრთო გული,
ღამეა ისევ, თუ ქვეყანაზე
დილაა, ღვთიურ ცრემლით ნამული.
მამცნე, დიადო, დაზამთრდა უკვე,
თუ კვლავ ზაფხულის გვატკბობს
მშვენება,
ადამიანებს თუ აკრთობთ ისევ
თავისუფლების ნაზი ხსენება.
მიცდიან გარეთ, გავლიან დრონი,
ჩავქრები, ალბათ, როგორც მაშხალა,
ცეცხლს ეძლვნებიან თქვენი ურდონი,
წამოდგომა თუ ღმერთმა მაცალა!
თავისუფლების ჩაუქრობ წყურვილს,
ცხელი შანთითაც ვერ გაჰყრით ჩემს
გულს,
თქვენ კი, ჯალათნო, ელოდეთ შიშით
ხალხის სისხლისგან მოვარდნილ ენგურს.
წამერთვა ღონე, თქვენს საუფლოში,
ეს არის ჩემი გუნდრუკის კმევა,
მე არ მომიწევს იქ, ნოეს კოშკში,
ღმერთებთან ახლოს ღამის გათევა.
კარის გუშაგო, დაახშე მალე
სარკმელიც, შორი სინათლის მფენი,
რომ არ ვიხილო ცა უნაზესი
და შებილწული სამშობლოს მთები.
დაახშე მალე, ჯერ კიდევ ვცოცხლობ,
ჩემს სულს კვლავ უქმად ელიან ცაში,
დაახშე მალე, ნაწყალობევი
იმ შენს ბატონებს ახეთქე თავში!
ვბორგავ დილეგში, სანამ ნათელი
ყრუ კარის სარკმელს ეწვევა ჩუმად,
სანამ ლამაზი სამშობლოს მთები
ჩემს წინაპართა ძვლებივით სდუმან.

### პოეტი-პატიმარი

ჰინკათა კონცერტს მოვისმენ შორით,
სიკვდილის თავადს მე ვწერ ბარათებს,
მათრობს დილეგის მწუხარე შმორი
და ისევ ვნატრობ რაჭის ამაყ მთებს.
შქერის და ცაცხვის ტოტები ხრილი
მე მენატრება პატიმარს ობოლს,
ო, სადღა არის მზის ქუფრი ჩრდილი,
ნიავი ვეღარ შეარხევს ფოთოლს.
მე დავრჩი, როგორც მისანი მინდი,
გიგონებ, რუის მშვიდო წკანწკარო,
როცა სილურჯეს დაარბევს ბინდი,
მე მენატრება შორი მთის წყარო.
რიონში იწვის მზე გარდასული,
მე მწუხარებით გული მევსება
და ტყვე პოეტის მწუხარე სული
მეწამულ დაისს ეალერსება.
დავხუჭავ თვალებს, მრისხანე
ღმერთებს
ვუგზავნი წყევლას მგზავრი გვიანი,
ანთებულ მზერით ვიგონებ ეთერს
მე, საიქიოს ადამიანი.
როს ავი სული მაწვება გულზე,
მე სიჭაბუკის ნახევარს ვუმზერ.
ჰე, მეგობარნო, სად ხართ, რა მხარეს,
მარქვით, სად არის სამშობლო ჩემი,
ო, ამაცილეთ ამ ბოროტ ხარხარს
და ცეცხლზე დაწვით ეს განაჩენი!
ჰინკათა კონცერტს მოვისმენ შორით,
სიკვდილის თავადს მე ვწერ ბარათებს,
მათრობს დილეგის მწუხარე შმორი
და ისევ ვნატრობ რაჭის ამაყ მთებს.

### მთაო, მაღალო

მთაო, მაღალო, მოდგმისთვის კაცთა
მიუწვდომელო ვარსკვლავთ
მხილველად,
მაგ შენს სიმაღლეს და ბნელ სანახებს
ვხედავ, დიადო, ახლა პირველად.
ზაფხულის სიომ თუ ქართა ენამ
გიამბო ალბათ ამბავი ჩემი,
თუ რაოდენი ვიხილე წყენა,
რაოდენ მკაცრი ის განაჩენი
იყო, რომელმაც უნაზეს მამულს
გამყარა შლეგი და უცნაური,
ჩუ, სადღაც მწყემსი უკრავს
სალამურს,
შევდგები მცირედ აქ მოგზაური.
და მერე, როცა მთვარის ნათელი
დიად კაეშანს ეწვევა შენსას,
მთვარის ნათელთა ათინათებით
მსურს გამცნო ბედკრულ პოეტის
კვნესა:
თუ ვით ძნელია, როცა ამ ცის ქვეშ
თავისუფლება ქვეყნის გერია
იმ დღეს უმღერო მას, როცა შენი
მოძმენი ბორკილთ მძლედ უმღერიან.
მთაო დიადო, დავტოვე ყველა,
სამშობლოც ღვთიურ ცრემლით
ნამული,
ზღაპარს მიამბობს დღეს
ცისარტყელა,
როს კვლავ შემაკრთობს სევდა
მამულის.
ახლა ღამეა და რომ ვინდომო,
რა ახლო არის სიმშვიდე წყნარი,
მთაო, დიადო, გთხოვ შემივრდომო,
გთხოვ, დამილოცო ობოლი ქნარი!

### რაჭის მთებიდან

ალექსანდრე (შურა) ჯაფარიძეს

მე იმერეთით მოვედი შორით,
ცხრა მთაგრეხილზე და ცხრა
მდინარეს,
გადმოვიარე ველიც და გორიც
და ბილიკებიც გადმოვიარე.
მოდინახესთან, ოდეს დაისი
მოჰგავს მეწამულ მონღოლთა ურდოს,
ნათელას ჰიმნი დღესაც რომ ისმის,
მე მიპოვნია მშვიდობა მყუდრო.
სადაც ყვირილა ღაღადებს ქუფრი,
აკაკის ლანდი, მთას რომ ედრება,
ქართულ სალამით თავს მდაბლად
უხრის
თქვენი ლუხუნის ამაყ ყვედრებას.
მინახავს თერგი, გიჟი არაგვი,
ო, მე მათი ხმა მარად მესმოდეს!
მაგრამ ამ ჩემს გულს ისე არავინ
არ შეაშფოთებს, არა, ესოდენ,
როგორც ეს თქვენი მთები ჭალარა,
ჩვენს მამა-პაპათ ცრემლით ბანილი,
ოდეს ცას ხევდა გმირთა ნაღარა
და მზე ხრამიდან ამოყვანილი.
მე აკაკისთან ვსაუბრობ წყნარი,
როს მოდინახე თვლემს გარინდებით
და მახსოვს, როგორ დუდუნებს
მტკვარი,
ფარ-შუბიანი გმირ რაინდებით.
სალამი, ძმაო, მიიღე კაცის —
მთებში გაჭრილი ობოლ ყარიბის,
ცხრა მთას იქიდან რომ მოიტანა,
სიყვარული და ლექსი ღარიბი.
აქ ჩვენს წინაპრებს დაუდგამთ ფეხი,
ვის ახსოვს საქმე საარაკონი,
ო, ამ ციხეებს ზარავდა მეხი
და ქვითინებდა ყრუდ ბარაკონი.
დღეს მომავლისა მესმის ქაოსი,
იქ, სადაც მწუხრის ფარდა ხუნდება,
რომ მწუხარება სასაფლაოსი
გამარჯვების ხმად აგუგუნდება.

### გზებო დიდებისავ

დიდების გზებო, მოსილნო ვარდით
მთვარის სიცილის მკრთალ
სილურჯეში,
თქვენს სიდიადეს იმ ლამაზს ვადრი,
რომელმაც სამსონ, ვით მწყრის
ბუდეში,
შეიპყრო, როგორ გვემული ვნებით
ქმნილება რამე, უმწეო, მრუში,
შორი სიტურფის ნაზი ხსენებით
დღეს მისთვის ვკრთები და ვწყევლი
გულში,
ვინც სილამაზე ამქვეყნად მისთვის
მიწაზე ბედკრულ ხალხს მოუვლინა,
რომ სატანური საქმის და ფიქრის
შეექმნა მყუდრო და მშვიდი ბინა!
დიდების გზებო! როგორც სიზმარი,
შორს, ოცნებაში მეწვევით ღამით,
ლივლივებთ, როგორც ტბის სარკე
წყნარი,
ჩამავალ ვარსკვლავთ ჩუმ სიელვარით.
თქვენს ოქრომკედზე მეფურ ქოშებით
მე სარონინოდ მიწვევენ ისევ,
რომ ქვეყნის მტრობით დანაოსები
ცის ტატნობამდე განვდიდდე მყისვე.
გზებო დიდების! თქვენ ჭაბუკ პოეტს,
ვინაც ცხოვრების იხილა დილა,
გსურთ მოატყუოთ, რომ კვალს ის
სტოვებს,
სისხლიან ხელით ვინც ცად აწვდილა.
გსურთ მოატყუოთ, რომ მუდამ ასე
სხლტებოდნენ ტანჯვის წყეულ
ბადიდან,
რომ სიხარულით ის გახდა სავსე,
ქვეყნის უფალი ვინაც ადიდა.
გზებო დიდების! იყავით წყეულ,
ვერაგ დალილას სიტურფის დარად,
დე, მიწოდებდნენ შლეგს,
გზადაბნეულს,
ოღონდ, მხმობლებო, დადუმდით,
კმარა!
მოვკვდები, სანამ სიცრუეს ქვეყნად
მე ვუმღერებდე ჭაბუკურ გრძნობით,
მოვისპო, დაე, რომ ჩემზე შემდეგ
აღარვინ დარჩეს ამბავის მთხრობიც!
რომ თქვას: ამქვეყნად დევნილს და
ეულს
ერგოვო მიწა და არა სხვა რამ,
გზებო დიდების, იყავით წყეულ,
შორო მხმობელნო, დადუმდით,
კმარა!

# ჯულიეტა მილდიანი

### თეთნულდი

ხარ პატარძალი მარადიული
და კდემა შენი თოვლისფერია;
თუ მზე არ არის შენი საფერი,
შენი ტოლფერი, თქვი, რომელია?!

როს თავს გევლება სხივებზარხალა,
ელვარებ შუქით, თითქოს იცინი...
მაგრამ თოვლის გულს ვერარა
გილხობს,
ვერცა მზის ცრემლი, ვერცა ფიცილი.

ხარ ისე ხშირად ნისლით მოსილი,
რომ თეთრი რიდეც ნისლი მგონია,
ვგრძნობ, რომ — მზეჭაბუკს თავს
არ დაუთმობ,
მზის სიყვარულსაც ვერ ასწონიან.

მარადიული ხარ პატარძალი,
კეკლუცს სითეთრე კდემად გფენია.
ეს სიყვარული, თაყვანისცემაც,
ეს სიამაყეც, მხოლოდ შენია!

### იმედი

მერაბ კოსტავას ხსოვნას

ჩემი საფლავის ჩუმო ბალახო,
მინდა, ერთხელაც ცა დაგანახო;
რა აუტანლად დიდი ხანია,
ცხელ მკერდზე ღამე რომ
დაბალახობს.

ჩემო კუთხევ და ჩემო სანახო,
რაც უნდა მტერმა ასჯერ დაგლახროს,
აგიცხადდება გულით ნანატრი,
შენ, წმინდანების წმინდა სამარხო.

თუნდა ცა თავზე რისხვით დაგამხონ,
და დაგკინონ თუნდა სახალხოდ,
მაინც აღსდგები, მაინც აღსდგები,
ათიათასჯერ თუნდაც დაგმარხონ!

ჩემი საფლავის ჩუმო ბალახო,
მინდა მზიანი დღე დაგანახო:
აქ, შორიახლოს,
აქ, შორიახლოს...
იმედის თეთრი ცხენი ბალახობს.

### ძაინც არ ვტირი

მე აღარ ვტირი, კრიჭაშეკრული
ჩემით ვიშუშებ ჩემივ იარებს.
მკერდზე რომ სისხლი ისევ ციალებს,
ეს, ვარსკვლავებმა გადმიიარეს.

ბრალს ნურვის დასდებთ, გული
გულია;
მე ამ ქალაქში აღვსდგები ისევ...
შემოდგომაც კი, ამ ჩემს თბილისში
ცხელ თვალებსა და ცხელ ჰორებს
მისევს...

მაინც არ ვტირი, ბედის მორჩილი,
ძალლივით ვლოკავ ჩემივ იარებს;
ჰოი, ვარსკვლავნო, რად იგვიანებთ,
მოდით, კვლავ გულზე გადმიარეთ!

### თეთრი კაბა

თითქოს ვივსები სივრცის სითეთრით,
რძისფერ აფრებმა მკერდი
ამივსეს...
მთვრალო რითმებო, ღამე მითეთრ,
ლექსის თრიაქით ვივსებ სასმისებს.

...რატომ ქვითინებ, უკუნს
შერწყმულო,
კაბავ, ქათქათავ და ერთადერთო?!
ახლა, შენც ჩემში სინათლედ თოვხარ,
ეს ფიფქთა თქორიც თრობაა,
ღმერთო!

### ცეცხლი ვარდების

რა უჩუმარად გაქარვისფრდა
ტყე საიდუმლო?!
როგორ უწყალოდ კვდება ცეცხლი
წითელ ვარდების.
სიოვ, გრძნეულო გაზაფხულის,
საითდა უფლობ
ან, ვინ წამგვარა ნიჭი,
გრძნობათ ახავერდების?!

ქარვისფერ ფოთლებს
აღარ ვუსმენ, არც ვედარდები;
რად გადმოდიან
ცრემლით სავსე ალავერდებით?!
ირგვლივ ლივლივებს
ზღვა ყვავილთა — ცხელი ვარდები,
აჰ! მაქეზებენ,
მე ამ ზღვაში გადავვარდები!..

### გრანელის გახსენება

ისევ მიმძიმს ცხოვრება,
ისევ მტკივა გული...
არ ედება ჩემს თვალებს
ღამეების რული.
მეც ხომ „ზეცა მწყურია“,
მეც ხომ უფალს ვნატრობ,
გულისმკვლელ მარტოობას
ისევ ცრემლით ვალტობ.
ირგვლივ ისევ ქარია
და ქაოსი სრული.
ბზარებს, ბზარებს, სულისას,
ვწყევლი ისევ კრულვით.
ისევ სასოწარკვეთით
ვიმეორებ, „რატომ?“
მიტოვებულ ჩემს საფლავს
დავქვითინებ მარტო.
მახსენდება გრანელი
მისი ჯვარცმა სულის..
და ჩემი ძმის წამებით
მიახლდება წყლული.
ალბათ, მჭვირვალ ოცნებას,
ჩემს ბავშვობას ვნატრობ.
წამებულთა სულები
შეფენიან ტატნობს.

### ბრალდება

9 აპრილს დაღუპულთ

ბრალი გედებათ
საქართველოს სიყვარულში,
ბრალი გედებათ.
ბრალი გედებათ,
თქვენი ცეცხლი
მილიონს რომ გადაედება;
...თქვენ, ვინც ანთიხართ
ჩვენს სანთლებში —
ლოცვა-ვედრებად,
ულურჯეს ცაში
გარჩენილნო ლამაზ გედებად,
დაბრუნებულნო
ჩვენს ცრემლებში
ქართვლის დედებად...
ნუ გაიოცებთ,
მტერმა აქეთ იწყოს ყვედრება...

...ბრალად გედებათ
საქართველოს სიყვარული,
ბრალად გედებათ...

### საქართველო

მშიერ მგლების ხროვაში
დგახარ, მართლა, მზისდარი:
ოქროს ტახტის მომსწრეც და
მძიმე ჯვარცმის მზიდავიც...

სისხლის ცრემლებს იწურავ,
აგერ, უკვე რა ხანი...
შენ ღვთიშობლის წილი ხარ,
ჯვარის გარდამსახავი.

ირგვლივ ისმის ყმუილი,
მგლების ხროვა გავლია;
ისევ შენ დაგვიფარე,
ღვთიშობელო, მარიამ!

კარგა ხანია, რაც საკავშირო პრესამ საინფორმაციო ომი გამოუცხადა საქართველოს, ქართველ ხალხს. ამ ომს ერთადერთი მიზანი გააჩნია: შექმნას კაცთმოძულე, სისხლისმსმელი ქართველი კაცის ხატი და შეამზადოს „დიადი საბჭოეთი“ იმ ჯვაროსნული ლაშქრობისათვის, რომელსაც საქართველოს წინააღმდეგ სულ მალე გამოაცხადებს „პერესტროიკის“ მესაძირკვლე პრეზიდენტი.
ამიტომაც საჭიროა, უპასუხოდ არ დარჩეს არცერთი მტრული, ღვარძლითა და ბალღამით სავსე გამოხდომა, ყველა პასკვილანტს უნდა გაეცეს საკადრისი პასუხი.
ყველა, ვინც კი თვალს ადევნებს ამ უთანასწორო ბრძოლას, დაგვეთანხმება, რომ გურამ ფანჯიკიძე ლიტერატორთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც ხმალამოღებული ებრძვის ჩვენს ხილულ თუ უხილავ მტრებს და ცდილობს მთელ ქვეყანას დაანახოს მტყუან-მართალი.
ამის შესანიშნავ დასტურს წარმოადგენს სულ ახლახან გამომცემლობა „მერანში“ დაბეჭდილი მისი პუბლიცისტური წიგნი „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!“
კრებულში მწერალს მხოლოდ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე დაწერილი სტატიები შეუტანია, რომლებიც, ფაქტიურად, ჩვენი მღელვარე, მშფოთვარე ცხოვრების ერთგვარ მატიანედაც კი შეგვიძლია ჩავთვალოთ, რადგანაც ისინი თვალნათლივ წარმოგვიდგენს წერილების შექმნის პერიოდში არსებულ სიტუაციებს, განვლილი დროის მანძილზე მიმდინარე პროცესებს, მათ ელვისებურ ცვალებადობას.
9 აპრილის ტრაგედია, აფხაზეთსა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ დატრიალებული მოვლენები, საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებული აღვირახსნილი ისტერიის კამპანია — აი, ის ძირითადი თემატიკა, რომელსაც გურამ ფანჯიკიძის პუბლიცისტიკა მოიცავს.
ამ მხრივ მეტად საყურადღებოა კრებულში შესული სტატია „ღია წერილი ვიტალი კოროტიჩს“, რომელშიც ავტორი დაუნდობლად ამხელს ჩვენს წინააღმდეგ მიმართული კამპანიის მიზეზებს, ნიღაბს ხდის „პერესტროიკის“ ისეთ „რაინდებს“, როგორიც ვ. კოროტიჩი, ვ. ცვეტოვი, ა. სუხარევი, ვ. ასტაფიევი, ა. დუდინცევი, ზეიმალი და „ძმანი მათნი“ არიან.
ცალკე აღნიშვნის ღირსია წერილები აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ შესახებ. ამ წერილების ადრესატებიც კონკრეტული პიროვნებანი გახლავან — ა. ვოზბა, ა. ჩოჩიევი, შ. ინალ-იფა, რ. ძაპთიათი, ვ. აბაევი...
ავტორი ცდილობს მაქსიმალურად დაიცვას ობიექტურობა, და ფაქტებით, მხოლოდ ფაქტებით ეკამათოს ოპონენტებს, გამოააშკარავოს მათი „მეცნიერული“ ნააზრევის სიყალბე და უმეცრება, მათი არაკეთილსინდისიერება.
მაგრამ თუ აფხაზი და ოსი ავტორების „ნაშრომები“ მხოლოდ იმ მიზანს ემსახურებიან, რომ, რაც შეიძლება მეტი შუღლი და მტრობა დათესონ ხალხებს შორის, გურამ ფანჯიკიძე ყოველთვის ცდილობს არ გაცდეს კორექტულობის ზღვარს და სიკეთის თესლი ჩააგდოს იქ, სადაც ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია. ეს სულაც არ არის გასაკვირი, ეს ხომ ქართველი კაცის ტოლერანტული ბუნების ერთი უპირველესი ნიშანი გახლავთ, ის ნიშანი, რამაც საუკუნეების ქარცეცხლში გამოგვატარა და დღევანდლამდე მოგვიყვანა.
გურამ ფანჯიკიძე ამ იდეების ერთგულია. მან იცის, რომ ღვარძლს, შურს სხვათა სიკეთეთა მიმართ, ბოროტებას არასოდეს სიკეთე არ მოუტანია კაცობრიობისათვის. და თუ იგი ებრძვის ჩვენი ერის მტრებს, ებრძვის სიყვარულით გულანთებული, მშობელი ქვეყნის სიყვარულით დამუხტული და მტკიცედ სწამს, რომ საბოლოოდ სიმართლე, მხოლოდ სიმართლე გაიმარჯვებს და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს.
სწორედ ამ სიყვარულით, სწორედ ამ რწმენითაა დამუხტული ამ კრებულის თითოეული სტრიქონი, კრებულისა, რომელიც მკითხველი საზოგადოების ცხოველ ინტერესს გამოიწვევს.




ზაალ გოტკოველი

# ლექსებით მომიგონებენ...

გავიგეთ, სოფელ შუაფხოში მცხოვრებ ცნობილ, მოკაფიავესა და სახალხო მთქმელს ვახტანგ თვარელაშვილს იუბილეს უხდიან ფშაველებიო. სწორედ ამიტომ ვესტუმრეთ ფშავს.
სკოლა-ინტერნატის შენობასთან გავჩერდით. ათიოდე წუთში იუბილარიც მოიყვანეს მსუბუქი ავტომანქანით.
— როგორ ბრძანდებით, ძია ვახტანგ? — მივესალმეთ ფეხზე წამოდგომით.
— რა ვი, აბა, დავყევარ აქეთ-იქითა, — თავისთვის ჩაიცინა და ეშმაკურად შემოგვანათა ჭროღა თვალები.
— გილოცავთ იუბილეს, ძია ვახტანგ! — სათითაოდ ჩამოვართვით ხელი და გადავკოცნეთ.
— გმადლობთ, — ისევ ვერ დამალა ღიმილი მან,— ისე კი ე იუბილეს ერთი კვირაა, რაც მიხდიან. გუშინ დუშეთიდან იყვნენ, დღეს ქალაქელებს მუელი, მითხრეს, კოტეტიშვილი და ჭინჭარაული აპირებენ ამოსვლასაო...
კარგახანს ვიცადეთ. ხალხმაც მოიყარა თავი, ახლო-მახლო სოფლებიდანაც მოსულიყვნენ მისი ნიჭის თაყვანისმცემლები.
საღამო გახსნა და გამოჩენილ სახალხო მთქმელს მიესალმა შუაფხოს საშუალო სკოლის მასწავლებელი თინა მგელიაშვილი. ფშაურ ტანსაცმელში გამოწყობილი ციხფერთვალება გოგო-ბიჭები ერთმანეთს ეცილებოდნენ ვახტანგ თვარელაშვილის კაფიების ზეპირად თქმაში. ცეკვავდნენ, მღეროდნენ და ყოველივე ეს მოწმობდა, რომ ბავშვებისთვის აქ არაფერი იყო ნაძალადევი, საგანგებოდ შესწავლილ-გაზეპირებული, რომ მათ თავისსავე ოჯახებში, ახლობლებში გაეგოთ ეს ნიჭიერად ნათქვამი სტრიქონები და გაეთავისებინათ.
საღამოს დამთავრების შემდეგ ვახტანგ თვარელაშვილს გავესაუბრეთ:
— თქვენი საყვარელი მოკაფიავეები დაგვისახელეთ.
— ჩემი საყვარელი მოკაფიავეები იყვნენ შეთე საბონიშვილი და მათე ხუციშვილი...
— ვინ არის დღეს ყველაზე დიდი მოკაფიავე ფშავში?
— პავლე ლომნიაშვილი, სოფელ გოგოლაურთიდან. ჩემი მძახალია. მუქოდან — პავლე მგელიაშვილი.
— ეკაფიავებით ხშირად?
— კი. რო შევიყრებით, ისე ვერ მოვისვენებთ.
— რაღა მაინცდამაინც ეს „ლომები“ და „მგლები“ შეარჩიეთ?
— ეგენი უფრო მესეოდნენ.
— იქნებ გაიხსენოთ ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი კაფია, რაც ხალხში გახმაურდა?
— მათე ხუციშვილი ვანხევიდან იყო, გინება უყვარდა, მოხუცებთან ვერ დახვამდი... ერთხელ ვესტუმრე. ხინკალი მოხარშეს, ვჭეიფობთ. მე მალაპარაკებენ, თვითონ ხინკალსა სჭამენ. უცბად მათემ შამიმღერნა:

— რატო არა სჭამ ხინკალსა,
ვახტანგ, დაგიწვი გამზრდელი.
— ცხელია, როგორა ვჭამო,
ამას შაურცხვეს მამზელი!

მეორე კაფიაც ისევ ხინკალს უკავშირდება. ცოლის სათხოვნელად ვიყავი. იქ შამიმღერნეს:

— რამდენ ხინკალი შასჭამე,
ვიანგარიშოთ ვახტანგი.
— განა სუ ხინკლებსა ვჭამდი,
ანტრიეებსაც ვატანდი.

ხინკალი ცოტა იყო და მასპინძლები იძულებულნი გახდნენ „ანტრიეებიც“ (გათხელებული ცომის ნაჭრები) ჩაეყარათ ადუღებულ წყალში და მოეხარშათ.
— შეთე საბონიშვილი როგორი კაცი იყო?
— შეთე იყო მჭევრმეტყველი. მაგარი იყო. მაგას ბევრი ვერ აჯობებდა. ერთხელ შეთეს შაუმღერნე:

— ისეთ ბიჭი ვარ, ბერიძევ
(მისი სახელია),
მუშტით გავანგრევ კედელსა.
— შენ სო ჯეილი კაცი ხარ,
ფეხსაც ვერ მამჭამ ბებერსა.

შეთესთან კიდევ მომიხდა შელექსება. კოლმეურნეობაში ვმუშაობდი ფერმის გამგედ. ერთხელ ვეტფერშალმა ოცდაექვსი ძროხა აცრა. ყველა დაიხოცა. გარეთ რომ გამოვდიოდით, ყორნებით იყო დაფარული იქაურობა. ისე შავად იყვნენ დაცემულნი, შალშავი გეგონებოდა. ამის გამო შეთემ შამიმღერნა:

— შენ და შენ სიძემ შასჭამეთ
ე კოლექტივის საქონი.
— როგორც შენ ამბობ
მართალსა,
მამა გიცხონდეს ხახონი.
— ლექსობაში ვინ გაგტეხათ? ვინ დაგამახსოვრდათ ყველაზე უფრო მწარედ?
— იმედა ხოშურაულმა, რომელიც ხოშარაში ცხოვრობდა. ერთ ზაფხულს ხოშარა დასეტყვა. მე შაუმღერნე:

— ეხლა რას იქამ, იმედავ,
რო დაგისეტყვავთ ქერია?
— იქავ შაგაძვრენ ვახტანგი,
საითაც გამასძვერია.

ბევრი ისეთი კაფია მაქვს ნათქვამი, რომელიც უცენზურობის გამო არ დაბეჭდილა და ალბათ არც დაბეჭდავენ.
— გაგვიგია, რომ თქვენი კაფიებით ხშირად „უფროსებსაც“ არ ერიდებოდით. რა რეაქცია ჰქონდათ მათ თქვენს მიმართ?
— ერთხელ რაიკომისა და აღმასკომის წარმომადგენლები ვალექსე. ძალიან გამინაწყენდნენ...
— თქვენ სახალხო მთქმელი ბრძანდებით. საინტერესოა, რა დამოკიდებულება გაქვთ ჩვენს კლასიკურ მწერლობასთან?
— ბევრს ვკითხულობ, კიდეც მამახსოვრდება. ქართველი მწერლებიდან განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველა მიყვარს. მის ნაწერებში მე ვგებულობ, რასაც ის ჩივის, რაც სტკივა. მთის კაცის სატკივარი ჩემთვის ახლობელია.
— რაკი სიტყვამ მთა მოიტანა, იქნებ გვითხრათ, როგორ უყურებთ სოფლების დაცარიელებას?
— „თუ მთის ნიავი არა მცემს, გული ქალებურ ტირისა“ — ამ დევიზით ვიყავი მუდამ გამსჭვალული. ბარში რომ ჩავალ და იქიდან ვბრუნდები, თითქოს ხელახლა ვიბადები. აქაურობას რომ დავუახლოვდები, გული თავისით მღერის. მე ბარში ვერ გავძლებდი...
— ფოლკლორისტებთან რა დამოკიდებულება გაქვთ, რატომ უწოდეთ მათ „ყროლ-ყროლისტები?“
— ყროლ-ყროლისტები ფოლკლორისტებს გავუჩითმე. ისე კი მათთან არა მაქვს ცუდი ურთიერთობა. მთავარია მთქმელმა კარგად გადასცეს მათ სათქმელი, შეცდომით არაფერი ჩააწერინოს, ტყუილი არ უთხრას. თუ მთქმელი სწორად ჩააწერინებს, ფოლკლორისტიც აღარ დაუშვებს შეცდომას.
დინჯი, ხმაამოუღებელი კაცია ძია ვახტანგი. ერთი შეხედვით ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ვერცკი იფიქრებ, თუ ნამდვილად ის არის ავტორი იმ სიცოცხლითა და იუმორით სავსე ლექსებისა, რომელთა პოპულარობაც კარგა ხანია, რაც გასცილებია ფშავის ხეობის საზღვრებს. გაუბზარავი სინდისისა და რწმენის კაცია. პატიოსნად იცხოვრა სამოცდახუთი წელიწადი. ხალხში მოპოვებული სიყვარულისა და ავტორიტეტის შედეგი იყო ის საღამოც და ის გულთბილი სიტყვებიც, გიორგობა დღეს რომ ისმოდა მისი მისამართით და მაშინაც ისევე ჩვეულებრივ, ყოველგვარი ქედმაღლობისა და ამპარტავნების გარეშე იჯდა სის ხმელ სკამზე და მის თვალთა



მეტყველებაში დაკვირვებული მხილველი უთუოდ ამოიკითხავდა იმ სულიერი ძაფების არსებობას, რომელნიც ასე მჭიდროდ აკავშირებენ ვახტანგ თვარელაშვილს პოეზიასთან, ზეცასთან, სიყვარულსა და სიცოცხლესთან.
წამოსვლისას, ერთი ახალი ლექსიც შემოგვთავაზა ვახტანგ თვარელაშვილმა. სწორედ ამ ლექსიდან ავიღეთ ჩვენი პატარა წერილის სათაური.

დავთვრები, მხიარული ვარ,
არა და, ვზივარ მუნჯადა.
სხვა რა ვაქნიო ენასა,
არ გამოდგება ფუნჯადა.
ლექსი არა ვთქვა? — მაშ, რა
ვქნა, —
სხვა რა დამრჩება უნჯადა.
მკვდარს ლექსით მომიგონებენ
ცოცხალსა მთელიან ყუნჭადა...
ხანდახან მიყვარს კაფია
მეტოქის მოსაკუნჭადა.

ტრისტან მახაური
მიხეილ ლანიზაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხოვრება ჩემი შანგარეს ღვინის ფერია...



ნოდარ ტაბიძე

ასე ამბობს გალაკტიონი.
ასე ვფიქრობთ მისი მკითხველები.
ასე სწამს მთელ ერს.

მაგრამ ეს არ სჯერა იური კროტკოვს — დრამატურგსა და სუკის ყოფილ აგენტს. გაზეთ „სო-ვერშენნო სეკრეტნოს" 1990 წლის მერვე ნომერში დაიბეჭდა მისი ვრცელი სტატია „საბჭოთა მწერლების თვითმკვლელობა", რომელმაც ჩვენი საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. საქმე ისაა, რომ კროტკოვი წერილის ერთ ქვეთავს გალაკტიონ ტაბიძეს უთმობს და ლაფსაც ბლომად ასხამს.

ავტორის მიერ მოხმობილი ფაქტებისა თუ დეტალების უკუგდება ძნელი როდია. მაგრამ მათმა სკრუპულოზურმა აღნუსხვა-უკუგდებამ მთავარის მიჩქმალვა-გაფერმკრთალება არ უნდა გამოიწვიოს. მთავარი კი ისაა, რომ კონკრეტული მოღვაწის შეურაცხყოფით გაბიაბურებულია მთელი ჩვენი მწერლობა, XX საუკუნის ქართული პოეზია.

კეისარს კეისრისა. ვერ ვიტყვით, რომ სტატიის ლაიტმოტივი ხელწამოსაკრავი იყოს. ი. კროტკოვის მტკიცებით, კომუნიზმის იდეამ იმსხვერპლა თვით კომუნისტები. კომუნისტურმა სისტემამ მოსპო ისინიც კი, ვინც გულწრფელად და პატიოსნად ემსახურებოდა მას. დასკვნა ნათელია: ბოლშევიზმი თავისი ბუნებით სატანური მოვლენაა და ამოძირკვას იმსახურებს.

სიტყვას არ გავაგრძელებ ხსენებული კონცეფციის მიღება-არმიღების საკითხზე. მოცემულ შემთხვევაში არსებითია, თუ რამდენად საბუთდება თეზისი.

პუბლიცისტი ა. ფადეევის, გ. ტაბიძის, ვ. ოვეჩკინის მოღვაწეობისა და თვითმკვლელობის ფაქტებს იხსენებს. ჩემს მიზანს არ შეადგენს, ვარკვიო, რამდენად გამოდგება ა. ფადეევის უკანასკნელი გასროლა კროტკოვის თვალსაზრისის დასამტკიცებლად. ის კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ გალაკტიონის მაგალითი სრულიად უადგილოა.

დასკვნა წინასწარ არის ნავარაუდევი. იგი ფაქტებიდან როდი გამოდის. ი. კროტკოვი ქსოვს პერანგს ვიღაც ლიტერატორის ალნაგობის მიხედვით. ძალზე მოსწონს იგი და ცდილობს გალაკტიონსაც მოარგოს, მაგრამ ეს შეუძლებელია.

სტატიის ავტორი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ გალაკტიონის თვითმკვლელობა გამოწვეული იყო პიროვნებასა და სახელმწიფოს, პოეტსა და ხელისუფლებას შორის არსებული კონფლიქტით. მსგავსი თვალსაზრისი ადრეც გამოთქმულა. მაშ რას ვსაყვედურობთ კროტკოვს? საქმე ისაა, რომ მან კონფლიქტის საფუძველი გააყალბა. თუ სხვებთან გალაკტიონისა და ხელისუფლების ურთიერთდაპირისპირება კვალიფიცირებულია როგორც ჰუმანისტისა და დემოკრატის გალაშქრება ძალადობისა და ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ, კროტკოვთან ტრაგედიის მიზეზად მიჩნეულია პოეტის გაორება, ბოროტების სამსახურში მისი დგომა და ეჭვი თავისი მოქმედების მართებულობაზე. დუალიზმი არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო და საბოლოო იდეურმა გამოფხიზლებამ გალაკტიონი თვითმკვლელობამდე მიიყვანაო.

«Возникает тот же самый вопрос: верил ли Галактион Табидзе в Сталина, служил ли он ему потому, что считал, что наступила «заря новой жизни», или же это был компромисс, сделка с совестью, приспособление? Ответ все тот же. На мой взгляд, в Галактионе было поразительное, никогда ранее не виданное смежение веры с неверием, то и другое жило в нем одновременно, но так как и то и другое не могло жить одновременно длительное время, то жизнь неизбежно приводила к взрыву».

ი. კროტკოვი უდიდეს და უფაქიზეს მგოსანს, ხალხის მიერ სამართლიანად აყვანილს უმაღლეს პიედესტალზე, ხელის ერთი დაკვრით წუმპეში აგდებს და ეს კეთდება მშვიდი მემატიანის პოზით.

ცინიზმი? არა! აქ სხვა მოტივი დომინირებს. მაგრამ საბაბ-მიზეზს რა თავში ვიხლით, მთავარია შედეგი, იგი კი ამაზრზენი, შეურაცხმყოფელი და დამთრგუნველია.

ი. კროტკოვმა გალაკტიონი სტალინის აბჯარმტვირთველად წარმოგვისახა და უმთავრეს საქმედ სტალინიზმის პროპაგანდა ჩაუთვალა (ისიც ხაზგასასმელია, რომ სტალინიზმსა და კომუნისტურ იდეოლოგიას შორის ტოლობის ნიშანი დასვა).

ი. კროტკოვის აზრთა დინებას თუ მივყვებით, გავოგნდებით: მომხდარა საოცარი და საზარელი გარიგება. გალაკტიონს ბოლშევიკების ყმობა უკისრია, ბოლშევიკებს კი 30 ვერცხლით დაუსაჩუქრებიათ იგი.

არ გჯერათ? აბა დაუგდეთ ყური დაუყოვნებლივ ვეწვიეთ ვიცეპრეზიდენტს. მან მეგობრულად მიგვიღო. მე ვბობოქრობდი. ბატონმა კონსტანტინემ კვერი დამიკრა: — მართალს ბრძანებს აკაკი, გალაკტიონის აურჩევლობა ერის სირცხვილი იქნებაო...

ბატონმა სიმონმა მთხოვა სათანადო დახასიათება-ატესტაცია მიმეწოდებინა. მეორე დღესვე მივართვი.

...გამოგიტყდებით, მეამაყება, რომ გალაკტიონის აკადემიკოსად არჩევაში მეც შევიტანე წვლილი.

გასაგებია, თუ რატომ მიმართავს. ი. კროტკოვი მანიპულაციას. აკი არც მალავს: აკადემიკოსად არჩევის შემდეგ

«...Он начал писать верноподданические поэмы». ე. ი. რი:» В 1933 году Галактиона Табидзе сделали действительным членом Академии Наук Грузии. Потом он начал писать верноподданические поэмы. И все больше и больше пил».

შეცდომათა მთელი კასკადი.

მიაქციეთ ყურადღება სიტყვას **сделали**. ხედავთ, თურმე გალაკტიონი არ იმსახურებდა აკადემიკოსობას და ძალით გაუაკადემიკოსებიათ, უსამართლოდ აღუზევებიათ.

ჯერ ერთი, 1933 წელს გალაკტიონი ვერ გახდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მაშინ აკადემია არ არსებობდა. იგი 1941 წელს შეიქმნა, ხოლო გალაკტიონი 1944 წელს აირჩიეს.

იქნებ კალმის ლაფსუსია? არამც და არამც! თარიღი შეგნებულად მახინჯდება, რათა მეტად გაესვას ხაზი გალაკტიონის „ცოდვას". პოეტი მთელი მეოთხედი საუკუნე უქმევდა გუნდრუკს სტალინს, კომუნისტების დაქირავებული მეხოტბე იყოო.

როგორია სინამდვილე? ქართველ მწერალთაგან გალაკტიონს ერთ-ერთ პირველს ხვდა წილად ეს პატივი, რაც ლოგიკურია. ჩვენს მეცნიერებს არასდროს შეპარვიათ ეჭვი, რომ იგი პოეტთა მეფე იყო, პირველთა შორის უპირველესი. — ილია, აკაკი, ვაჟა და მეოცე საუკუნე შენ გებარებოდეს, გალაკტიონ! — ეს სიტყვები ქართული ფილოლოგიის პატრიარქს, ეროვნული აკადემიის ერთ-ერთ დამფუძნებელს კორნელი კეკელიძეს ეკუთვნის.

ასეთი აზრისა იყო არა მხოლოდ ლიტერატურული ელიტა, არამედ ფართო საზოგადოებაც. ერთი სიტყვით, თავიდათავი გახლდათ არა მთავრობის მცდელობა-დაჟინება, არამედ პირადი დამსახურება.

სხვათა შორის, არსებობს ცნობა, რომ ხელისუფლება უარყოფითად იყო განწყობილი აკადემიკოსად გალაკტიონის არჩევისადმი. მოვუსმინოთ ბატონ აკაკი გაწერელიას: — როცა აკადემიკოსებად მწერლების არჩევის საკითხი დადგა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გალაკტიონს გვერდი აუარა და სხვა პოეტის კანდიდატურა წამოაყენა. შევშფოთდი და ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას ვეახელი. იგი ძალზე დაახლოებული იყო ვიცე-პრეზიდენტ სიმონ ჯანაშიასთან. ბატონმა კონსტანტინემაც გაიოცა — ვერ წარმომიდგენია ჩვენი აკადემია უგალაკტიონოდ.

მადლობის ნიშნად პარტიის ფერხთქვეშ განერთხოო.

რომელ „უკვდავყოფილ"... — რომელ „უქვეშევრდომეს" პოემებზეა საუბარი? ასეთებს ჩვენ არ ვიცნობთ. ვერც ავტორი ასახელებს, რაც ფრიად სიმპტომატურად გვეჩვენება. კროტკოვს აქცენტი გადააქვს ეპოსზე. პოემას თვლის გალაკტიონის შემოქმედების წამყვან ჟანრად. კი მაგრამ, გალაკტიონმა ხომ ლირიკული შედევრებით დაიმკვიდრა უკვდავება და არა პოემებით.

პირველხარისხოვანის დავიწყებას და მეორეხარისხოვანზე ყურადღების გადატანას მხოლოდ ლიტერატურულ ცულლუტობას ვერ ვუწოდებთ. ი. კროტკოვი არ იცნობს ან ყურმოკვრით იცნობს გალაკტიონის შემოქმედებას.

ი. კროტკოვის სტატია გამსჭვალულია ტენდენციით — დაამტკიცოს შეუძლებელი, რასაც ბუნებრივად მოსდევს გალაკტიონის დამცირება.

კაცი, რომელიც პრინციპულად დაუპირისპირდა ბერიას; კაცი, რომელმაც ურთულეს და უსასტიკეს წლებში სულიერი სისპეტაკე და უმაღლესი ზნეობა შეინარჩუნა, ბოლშევიკთა ლაქიად არის გამოყვანილი.

«В 1937 году арестовали Тициана Табидзе, Паоло Яшвили застрелился, Никола Мицишвили также был арестован, и романист Джавахишвили, и многие, многие другие. Галактиона не тронули. Галактион остался на свободе и продолжал сочинять Сталинские панегирики. И продолжал неуемно пить».

ხედავთ, თურმე გალაკტიონს იმიტომ არ ახლეს ხელი, რომ იგი სტალინის აპოლოგეტი ყოფილა. ამაზე შორს ძნელად თუ წავა უხამსობა და ცილისწამება.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მსგავსი შეტოქებით ძველი დაპირისპირების ღველფწაყრილი ნაკვერჩხლები ღვივდება.

ი. კროტკოვი ერთგულად მიუყვება არჩეულ გზას. ცხადია, თუ გალაკტიონსა და მთავრობას შორის „ხელშეკრულება" იყო დადებული, მის დამრღვევს მეორე მხარის რისხვა უნდა გამოეწვია. ასეც მოხდა თურმე. რადგანაც თვითმკვლელობით გალაკტიონმა ხელისუფლებას უღალატა, გარკვეულად ამხილა და დაადანაშაულა იგი, ამდენად ამ უკანასკნელმა შური იძია და სახალხო პოეტი მთაწმინდის მიწას კი არ მიაბარა, არამედ ვაკის სასაფლაოზე დაკრძალა.

ნუ გაოცდებით, მკითხველო, ერთადერთი შემთხვევა როდია, როცა ასე ღრმად ტოპავს პუბლიცისტი.

«Печатались некрологи, воспоминания о Галактионе, его поэмы. Словом, смерть народного поэта отмечалась соответственно. На панихиде присуствовали партийные и советские «боссы», даже представители Москвы и пр. Произносились, разумеется, пышные похоронные речи. И ни единого слова не было сказано о том, что Галактион Табидзе на 66-м году жизни покончил самоубийством. Ни единого слова не было сказано о том, что он выбросился из окна своего дома и лежал на улице до тех пор, пока не приехала «скорая помощь». Ни единого слова не было сказано о том, что сделал он это, будучи трезвым. И наконец, ни единого слова не было сказано, и это весьма симптоматично о том, что сразу за каретой «скорой помощи» нагрянули сотрудники КГБ, которые немедленно опечатали весь литературный архив Галактиона, как в свое время это было сделано с архивами Горького, Пильняка и многих других».

დავანებოთ თავი იმას, რომ გალაკტიონი საკუთარი ბინის კი არა, საავადმყოფოს ფანჯრიდან გადმოხტა. ცხადია, სასწრაფო დახმარების მანქანის გამოძახებაც ზედმეტი იყო და ა. შ. და ა. შ. მოტანილ ციტატაში ერთი დეტალის ხაზგასმაც იპყრობს ყურადღებას. — საბედისწერო ნაბიჯის გადადგმისას გალაკტიონი ფხიზელი იყოო. დიახ, იმ დღეს გალაკტიონს, მართლაც, ერთი წვეთიც არ დაულევია, მაგრამ წინა დღეების ნამთვრალევი საოცარ დეპრესიას განიცდიდა. ეს კი უთუოდ გასათვალისწინებელია ჭეშმარიტების დასადგენად.

რა თქმა უნდა, სუკის აგენტებს, რომელთა სინდისზეა უამრავი პატიოსანი ადამიანის ცოდვა, შეეძლოთ მეუხეულად აეჭედათ გალაკტიონის ბინის კარები, მაგრამ ასე არ მომხდარა. გალაკტიონის სამუშაო ოთახები თბილისსა და წყნეთში ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომლებმა დალუქეს, თანაც საკმაოდ მოგვიანებით.

ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ გალაკტიონის ლიტერატურული მემკვიდრეობის აღწერისას ცალკე შეკრეს ხელნაწერთა ერთი ნაწილი, რომლის გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის უმართლებლად ცნეს და საიდუმლო, ხელშეუხლებელ ფონდში მოათავსეს. წესით იგი ახლაც იქ უნდა იყოს. მისი შესწავლა აუცილებელია.

ერთიც, მთავრობისა და პარტიის წარმომადგენელთაგან ოჯახში არავინ მოსულა. ერთადერთი, ვინც თანაგრძნობით შეგვეხმიანა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მიხეილ გიორგაძე იყო. მაგრამ ეს ფაქტი არ შეიძლება აიხსნას იმ მოტივით, რომელსაც ი. კროტკოვი გვთავაზობს. მას გაცილებით ღრმა ფესვები აქვს.

ყოველივე ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სტალინი ტაბუირებულია გალაკტიონის შემოქმედებაში. ქართველთა სახალხო პოეტს ეკუთვნის „სტალინი", „მთელი ქართველი ხალხის სახელით" და სხვა. მის პოეზიაში არაერთგზის გაიელვებს „ძვირფასი ბელადის" სახელი. მაგრამ ეს არ იძლევა უფლებას გალაკტიონის შემოქმედების ძარღვად სტალინის პანეგირიკება მივიჩნიოთ. იგი სხვა რამით არის დიდი და მიუწვდომელი. აკი ნეკროლოგსა და წერილებში, რომელთაც ი. კროტკოვი იხსენებს, ნათლად არის ნათქვამი: „ნახევარი საუკუნის განმავლობაში გ. ტაბიძე დაუცხრომლად ეწეოდა შთამაგონებელ პოეტურ მოღვაწეობას, პოეზიის უჭკნობი შედევრებით ამდიდრებდა მშობლიური ლიტერატურის საგანძურს. გულის სიღრმემდე ჩამწვდომი პოეტური სახეებითა და ჰანგებით გამოხატავდა ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს, ასახავდა ხალხის სულიერი სამყაროს საუკეთესო თვისებებს, უმღეროდა სამშობლოს თავისუფლებასა და ბედნიერებას. იგი იყო ქართული კლასიკური პოეზიის კორიფეების ღირსეული მემკვიდრე, ახალი ქართული პოეზიის აღიარებული მეთაური და მედროშე".

„იგი იყო ურთულესი — პოეტური ხედვით, პოეტურ სახეთა აღურაცხველობით, პოეტური სამყაროს კოსმიურობით, მუსიკის მრავალფეროვნებით".

საერთოდ, რომელ საბჭოთა პოეტს არ დაუწერია სტალინზე ლექსი. „დიდება დიდ სტალინს", „ლექსები ბელადზე", „ლექსები და სიმღერები სტალინზე", „მშობლიურ სტალინს" და სხვა მსგავსი სახელწოდებებით წიგნი წიგნზე იბეჭდებოდა მოსკოვსა თუ ლენინგრადში, კიევსა თუ ტაშკენტში, ერევანსა თუ ბაქოში... გამონაკლისი არც ჩვენ ვიყავით. მაგალითისათვის დავასახელებ 1946 წელს გამოსულ კრებულს „სტალინს", რომელშიაც 45 ქართველი პოეტის ლექსია შესული.

ნუ დავივიწყებთ კონიუქტურას. „ბელადისადმი" გვერდის ავლა ყოფნა-არყოფნის ბაგირზე გასვლას უტოლდებოდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, უმეტესობისათვის ეს საკითხი არც დასმულა. კომუნისტურმა იდეოლოგიამ, გლობალურმა და უმძლავრესმა პროპაგანდამ პოეტების არა მხოლოდ შემეცნება, არამედ ფსიქიკაც ჩარჩოში მოაქცია.

აქ ერთ საგულისხმო ეპიზოდსაც გავიხსენებ.

1956 წელი.

ამღვრეული 9 მარტი.

რუსთაველის პროსპექტს პერანგი ასკდება. აზავთებული ხალხი მადათოვის კუნძულისაკენ მიისწრაფვის. იქ, სტალინის ძეგლთან ერთმანეთს ცვლიან ორატორები — ორთოდოქსალური მორწმუნენიც და გზააბნეულნიც. კერპის ჩამოგდება აშმაგებთ. პოეტებიც საკმაოდაა. სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებს კითხულობენ. კარგად მახსოვს, დილის 10 საათია. გალაკტიონი ზემელის აფთიაქთან დგას. ახალგაზრდების ტალღა მოიქოჩრება. გალაკტიონი შენიშნეს და ზეცის თავანი გაიბზარა:

— დი-დე-ბა სტა-ლინს!

— დი-დე-ბა სტა-ლინს!

— დი-დე-ბა სტა-ლინს!

— ხალხნო, გალაკტიონი ჩვენთანაა, გაუმარჯოს გალაკტიონს!

ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს დემონსტრანტთა მდინარეში შეეცურებინათ გალაკტიონი. რა დამავიწყებს პოეტის შეშინებულ გამოხედვას, თითქოს შველას მთხოვდა. ხელები გაასავსავა:

— არა, ცოტა შეუძლოთ ვარ... მე თვითონ წამოვალ...

ახალგაზრდები იძულებულები იყვნენ ჩამოგვშორებოდნენ.

გალაკტიონის შემდგომი რეაქცია?

— აბა, მოვკურცხლოთ შინისაკენ!

მთელი დღე ბინიდან არ გამოსულა.

როგორი კვალიფიკაცია მივცეთ გალაკტიონის მოქმედებას?

სიფრთხილე? არაკომუნიკაბელურობა? პროტესტი? წარსულის შემზარავი სურათების გაცოცხლება და შიში?...

არ ვიცი. ერთი კი ცხადია. ეს არ იყო სტალინელის, მით უფრო, გულწრფელი მლოცველის მოქმედება. მეტიც...

მოდი, სხვა მხრიდან შევხედოთ პრობლემას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარაუდოა, თუ არა, ისეთ დაფიქრებულ, მჩხრეკელ, ანალიტიკოს და ეჭვიან კაცს, როგორიც გალაკტიონი გახლდათ, ცერში ყოლოდა, თანაც მთელი მეოთხედი საუკუნე.

გამორიცხულია! გალაკტიონს თავისი ბუნებით, ხასიათით არ შეეძლო გაელმერთებინა არა თუ სტალინი, არამედ საერთოდ ვინმე.

ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ არსებულმა წყობამ შეიწირა მისი სულის ნაწილი — უსაყვარლესი მეუღლე ოლია ოკუჯავა.

ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ ოცდაოთხმა და ოცდაჩვიდმეტმა იმსხვერპლა მისი არაერთი მახლობელი.

ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ გამეფებული სისტემა წვეთ-წვეთად ახმევდა ხამხალას და უღრღნიდა ნერვებს.

გალაკტიონი არ აირჩიეს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველი ყრილობის დელეგატად. რატომ? განა პანეგირისტს ასე ექცევიან?

და ყველაფერი ეს აირეკლა კიდეც მის პოეზიაში.

სწორედ გალაკტიონმა აიმაღლა ხმა იმ ველური სისასტიკის წინააღმდეგ, რომლითაც ბოლშევიკები გაუსწორდნენ 1924 წლის აჯანყებულებს — საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთ.

გამარჯვებულნი სასტიკი ხელით
ალრჩობენ ტყვეებს.
ჰკაფავენ, ხვრეტენ, ხალხის
სახელით,
უსპობენ დღეებს.

. . . . . . . .

რბის ორი ძაღლი: მათ ისტორია
ვერ დააფეთებს,
პირიდან გლეჯენ ერთიმეორეს,
ხორცის ნაფლეთებს.
და მთელი კვირა სადგურის იქით
მატარებელი
იდგა. შიგ მკვდრები ეყარა
რიგით,
უფარებელი.

საზოგადოებას არ გასჭირვებია ამ ორ ძაღლში შუბლვიწრო ლორეშელიძა და მასავით სისხლისმსმელი ჩეკას უფროსის შეცნობა. იქნებ გალაკტიონის ჩანაწერებისთვისაც გადაგვევლო თვალი:

„ასე არ შეიძლება,
ამხანაგო სტალინ!“

თქვენ არ ვიცი. მე კი ამ სტრიქონებს შეგუბებული მრისხანების გადმოღვრად აღვიქვამ.

მეორე მაგალითი. 1946 წელს გამოვიდა სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები. გალაკტიონს იგი გულმოდგინედ წაუკითხავს და 114-ე გვერდზე, სადაც წერია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი მოგვცა, სიტყვები „Советская власть“ წაუშლია.

ქვემოთ მოტანილი ლექსიც ხომ გალაკტიონს ეკუთვნის:

„რაა ძასზე გულდამწყვეტი,
მეტეხო და დილმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე,
ეს არ არის საქართველო.
არის ხლართი რკინიგზების,
არის ავტო-მოტო-ველო,
არის ოჯახებიც, მაგრამ
ეს არ არის საქართველო“.

არა, გალაკტიონი კარგად ასხვავებდა მზეს და ქვიშას, რა ვუყოთ, რომ ხშირად მზეს ღრუბლები ფარავდა, ხოლო ანკარა ნაკადული ქვიშაში იკარგებოდა.

არაგვი თეთრს, არაგვი შავს,
უძახის ხევს, უძახის ფშავს:
არა გვიშავს, არა გვიშავს,
შევხვდებით მზეს, არა ქვიშას.

გალაკტიონის შემოქმედება უნაპიროა. ამიტომ, გამორიცხული არ არის, ცალკეული მაგალითების ამოგლეჯით ხაპირისპირო მოსაზრებათა დროებით გამაგრება. მაგრამ ეს გზა მოლიპულია. მთავარია არსისა და არაარსის გამიჯვნა, მაგალითთა აღქმა როგორც სისტემის ნაწილისა.

გალაკტიონის ფილოსოფია საგანგებო შესწავლას მოითხოვს. ერთი რამ კი ამთავითვე შეიძლება ითქვას. პოეტმა იცის, რომ კონკრეტული ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური გავლენა მარადიული არ არის. ამიტომ, ჭეშმარიტი შემოქმედის მაგისტრალური ხაზი მას ვერ შეეწყვილება. აქედან გამომდინარე, მის ლირიკაში წინ იწევს საყოველთაო ჰუმანიზმი და საუკუნეებით გაჯერებული ეროვნული ინტერესები. (მათი შერწყმა უნიკალურია). თავიდათავიც ამ პრინციპით აგებული მონუმენტია და არა მასზე შემორჩენილი შხეფები.

# გალაქტიონის ორი ნივთი

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში არსებულ ხელნაწერთა და იკონოგრაფიულ მასალებთან ერთად, მეტად საინტერესოა მემორიალურ ფონდში დაცული მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი ნივთები. თითქმის ყოველი მათგანი დიდ ადამიანთა ცხოვრების გარკვეულ მომენტთანაა დაკავშირებული და, ამდენად, რაც მეტი დრო გავა, მეტ მნიშვნელობასაც შეიძენს.

ჩვენთან დაცულია გალაკტიონ ტაბიძის 54 ნივთი, რომელთა შორის ამჟამად მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ორ მათგანზე — პარიზიდან ჩამოტანილ „პარიზის სუვენირზე“ და მაგიდის საწერ მოწყობილობაზე.

1935 წლის 21-26 ივნისს პარიზში ჩატარდა ანტიფაშისტური კონგრესი, მის მუშაობაში მონაწილე საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა გალაკტიონ ტაბიძეც. ეს იყო მსოფლიოს ინტელიგენციის ნაწილის პირველი ანტიფაშისტური კონგრესი, რომლის მოწვევა დაკავშირებული იყო ანრი ბარბიუსისა და რომენ როლანის სახელებთან. ამ პერიოდის ჩანაწერებიდან ჩანს, თუ რა დიდი შთაბეჭდილება დატოვა მოგზაურობამ გალაკტიონზე. მისთვის ეს იყო ფიზიკური შეხება გონებით მრავალჯერ წარმოდგენილთან. იგი ათვალიერებდა მუზეუმებსა და გამოფენებს; ნახულობდა პარიზის პანთეონებს, ეცნობოდა ვერსალსა და ლუვრს; „ლუვრში რამდენიმე დელეგატთან ერთად, მე ვათვალიერებდი მსოფლიო მნიშვნელობის კოლექციას“ — იხსენებს პოეტი.



სწორედ აქედან წამოუღია მას ეს პატარა ნივთი, „პარიზის სუვენირი“ თუჯისაა, ყვითელი ფერის, კედელზე ჩამოსაკიდი ზონრით. მისი ზომაა 14,5X10,5 სმ. ოვალური ფორმის; შემკულია ორნამენტებით; ცენტრში გამოხატულია პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი წარწერით „Notre-deme. და „Suvenire de Paris“. ამ ნივთს აქვს იარლიყი, რომელზედაც ფრანგულ ენაზე შემდეგი წარწერაა: „Paris au Luvre“. სუვენირის ქვედა ნაწილი ორ ადგილას ამოტეხილია.

იქნებ, სწორედ ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებმა დააწერინა პოეტს ეს სტრიქონები;

„დღეს ნოტრ-დამთან (სნებიან
ფანტაზიის ნახატი)
კალენკორის ფრთებიან
ანგელოზებს ნახავდი“...

მეორე ნივთი გალაკტიონის ნაქონი მაგიდის საწერი მოწყობილობაა. ლითონის მრგვალ წრეში,



რომლის დიამეტრია 21 სანტიმეტრი, ჩადგმული ლითონისვე ორი სამელნე სახურავით. სამელნეებს შორის მოთავსებულია ლითონის ჭიქა ფანქრებისა და კალმისტრებისათვის.

პოეტს საწერი მოწყობილობა ედგა სამუშაო მაგიდაზე ბოლო წლებში. ეს ნივთი გალაკტიონ ტაბიძეს მიუღია თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივისაგან 1957 წლის 15 ივნისს.

ვფიქრობთ, გალაკტიონ ტაბიძის ყოველი მემორიალური ნივთი საინტერესოა არა მარტო მკვლევარისათვის, არამედ ყოველი დამთვალიერებლისათვისაც, ვინაიდან, ისინი გვახსენებენ იმ გარემოს, რომელშიც ცხოვრობდა და ქმნიდა გალაკტიონი.

**ლამარა ჩელაძე**

# გადმოსცემს უცხოეთი

ამერიკელების აზრით, ომი სპარსეთის ყურეში ამ საუკუნის ომი არ იყო — იგი ოცდამეერთე საუკუნეს უფრო ეკუთვნის; შეიძლება უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ომმა მომავლის იმედი აღძრა ბევრში.

ომი დამთავრდა სახმელეთო ბრძოლების დაწყებიდან ზუსტად 100 საათის შემდეგ.

●

31 მარტს ოფიციალურად შეწყვეტს არსებობას ვარშავის პაქტი. 36 წლის მანძილზე ეს სამხედრო კავშირი საბჭოთა კავშირის ბატონობის იარაღად იქცა აღმოსავლეთ ევროპაში, ამ ბატონობის წინააღმდეგ გამოსვლას კი სისხლში ახშობდნენ, ასე იყო 1968 წელს, როცა მოწამლეს პრაღის გაზაფხული; 1981 წელს ინტერვენციით ემუქრებოდნენ პოლონეთს, უფრო ადრე — ტანკებით შეჭრა უნგრეთში... 31 მარტიდან საბოლოოდ გაქრება აღმოსავლეთ ევროპისთვის თავსმოხვეული მეგობრობის კვალი მოსკოვთან. ვარშავის პაქტზე ექვსი წლით უფროსია ნატო, მაგრამ მის გაუქმებას არავინ ფიქრობს. ვარშავის ხელშეკრულება მსოფლიო რევოლუციის პროცესს ითვალისწინებდა სსრკ-ს მხრივ, დასავლეთში კი ასეთი დოქტრინა არასოდეს ყოფილა. დასავლეთი არათუ პოლიტიკურ, ეკონომიკურ სისტემასაც კი არ ახვევდა თავს სხვა ქვეყნებს.

●

გამოვიდა ოსკარ პიტერსონის ახალი დისკი — „ლეგენდარული ტრიო ოსკარ პიტერსონისა — ბლუნოტ“ (ცისფერი ნოტი). ოსკარ პიტერსონმა მესამოცე წელს გადააბიჯა.

●

ამერიკა ცოტა ხნით ისევ პირისპირ აღმოჩნდა დაკარგულ თაობასთან. ახლა ბევრს კითხულობენ ამ თაობის წინასწარმეტყველ მწერლებს — რემარკს, ნორმან მეილერს... ამერიკელი ცოტა ხნით ისევ თითქოს დაკარგულ სამყაროში გრძნობდა თავს — სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან იგი პირდაპირი ტრანსლაციით უყურებდა ომს, ავტოკატასტროფაში, ტყვიით, სტიქიით დალუპულთა ამბის გაგება სხვაა, მაგრამ ტელეეკრანით ომის დანახვა...

●

რეიგანის ეპოქამ მოარჩინა აშშ ვიეტნამის სინდრომისგან და ახლა ამერიკელებს კარგი ცხოვრება სურთ. ახალგაზრდობა დაიღალა, კარგა ხანია, ჩაცმას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას აღარ უთმობენ, ახლა კი უნდათ მოხდენილად ჩაიცვან, შლაპები ატარონ... ერთი სიტყვით, — კარგად იცხოვრონ.

●

ტატიანა ტოლსტაია (ბალტიმორიდან): სსრკ მიეჩვია ომს. იქ ყოველთვის ომია. იბრძვის სტუდენტი, იბრძვის მუშა, იბრძვიან მშვიდობისთვისაც კი, და არა მარტო იბრძვიან, კვდებიან კიდეც. ამ დღეში ჩაავდეს საბჭოთა ადამიანი.

ამერიკელები საოცრად ჯანსაღი ხალხია, მათ ბუნებრივი ემოციები აქვთ. აი, მანქანამ გაიტანა ძაღლი. ჩემი რუსები იტყვიან: აი, სულელი, ვერ შემოუარა, ან გვერდზე ვერ გახტა. ამ დროს ამერიკელი გაივლის, დაინახავს და შეჰყვირებს: „არა! არა! არა!“.

●

ამერიკის ტელევიზიის ეკრანის სუპერვარსკვლავები არიან... ელცინი და გორბაჩოვი.

●

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს გაზეთ „სოვეტსკაია ესტონიაში“ იბეჭდება იმ რუს დემოკრატთა წერილები, რომლებიც ბალტიისპირეთში კი არ ცხოვრობენ, არამედ რუსეთში. ერთი ასეთი წერილის ავტორი მაქსიმოვი მიმართავს ბალტიისპირეთში მცხოვრებ რუსებს: „თქვენი თავისუფლება ჩვენი თავისუფლებაც არის, მხარში ამოუდექით ბალტიელებს; მეორე წერილის ავტორი იაკოვლევი: — რუსებო, ბედმა დაუკავშირა თქვენი ცხოვრება ეროვნულ რესპუბლიკებს, გასაკვირია, რომ არა ხართ ბალტიელებთან. რუსები 200 წელი ვიყავით სხვის ბატონობაში, ბევრი რამ შევითვისეთ დამპყრობლისაგან, მაგრამ მაინც გავთავისუფლდით. დაფიქრდით, ვინ თაოსნობს თქვენს ინტერფრონტელებს და ე. წ. ეროვნული ხსნის კომიტეტებს? — პარტიული ფუნქციონერები, ისინი, ვინც ძალაუფლებას ებღაუჭებიან. თქვენი მეგობარია ყველა ერი, რომელიც დამოუკიდებლობისთვის იბრძვის, მტრები კი ისინი არიან, ვინც ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობს, ვინც მოქმედებს იმპერიული პრინციპით — დაყავი და იბატონე.

●

აშშ-ში სპარსეთის ყურის კონფლიქტის ასეთი დასასრულის მიზეზს უმთავრესად აზროვნების კულტურაში ხედავენ. წარმოვიდგინოთ ერთი მხრივ ტოტალიტარული და მეორე მხრივ — დემოკრატიული რეჟიმი. პირველის მაგალითად ავლანეთს ასახელებენ.

საქმე ის არის, რომ თანამედროვე სამყაროში ძალა კი არა, მოქნილობა იმარჯვებს და ეს იქცევა ძალად. ტოტალიტარული აზროვნება ამას სისუსტედ მიიჩნევს, სადამ ჰუსეინმა სისუსტედ მიიღო მოქნილობა და წააგო ომი, მანამდე წააგო, ვიდრე ამერიკის პირველი თვითმფრინავი ავიდოდა ჰაერში.

●

ამბობენ, ომი გენერლებისა და ჟურნალისტების გარდა არავის უყვარსო. თუმცა, ამერიკელმა გენერალმა ნორმან შვარცკოპფმა არ თქვა ამასწინათ, არ მესმის იმ გენერლების, ვისაც ომი უყვარსო?..

ომის ამბების იმპრესიონისტული ჩანახატი ამერიკაში: სამოცდაათიან წლებში დაბნეული ამერიკა — ინფლაციის გამო. მერე — გამძვინვარებული ამერიკა — ავლანეთის ამბების გამო; მგლოვიარე — „ჩელინჯერის“ დაღუპვის გამო. შარშან კი — აფორიაქებული — მოსალოდნელი ცვლილებების გამო მსოფლიოში. ამ ომმა ამერიკაზე სხვაგვარად იმოქმედა — იგრძნობოდა სულიერი დაძაბულობა, ნიუ იორკში ცოტა ტურისტი დადიოდა, სკოლაში და ეკლესიაში ომზე ფიქრობდნენ და ლაპარაკობდნენ, კინოში გადიოდა ძველი ფილმები ომზე, მაგრამ მაინც არ იყო აპოკალიფსური წინათგრძნობა, არც მტრის სიძულვილი იგრძნობოდა. რა თქმა უნდა, ძლიერისთვის ადვილია კეთილი იყოს, თანაც ბომბები ერაყს ეცემოდა და არა ნიუ იორკს, მაგრამ მაინც...

●

აშშ-ის ბიბლიოთეკებში დიდი მოთხოვნილებაა რემარკის, მეილერის, ჯოზეფ ჰელერის წიგნებზე. კითხულობენ ჰემინგუეის წიგნებს — „მშვიდობით იარაღო“ და „ვის უხმობს ზარი“. საერთოდ, მკითხველი მიეძალა ომის თემაზე დაწერილ წიგნებს.

# ჯონჯი დადიანი

(ერთი მივიწყებული მამულიშვილი)

## აზული დადიანი

ბატონი ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის, ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონებებში ორი დადიანია ნახსენები — ჯუგუ (კონსტანტინე) და ჯონჯი (ლევანი). ისინი ძმები იყვნენ. პირველი მამაჩემი იყო, მეორე — ბიძა. მათი ცხოვრების გზები 1924 წელს გაიყარა. უმცროსი უცხოეთში გადაიხვეწა. აქ სიკვდილს გადარჩენილი ლამის საფრანგეთში (ოდინკური) სოციალურ-დემოკრატების თავდასხმის მსხვერპლი გახდა: ჩასაფრებულებმა მიპარვით თავი გაუტეხეს რკინით. აქაოდა, ქაქუცას რაზმელები ჩვენს პარტიაში არ შედიხართ, კრებებს არ ესწრებით და მარქსიზმს არ სწავლობთო.

მისი უფროსი ძმა ჯუგუ 1922-23 წლებში თვით ალექსანდრე სულხანიშვილის ტყვიამ იხსნა კახეთში, ქაქუცას რაზმში გაცოფებული ლეკის მოქნეულ ნაჯახიდან. თუმცა, თავის გატეხას მაინც ვერ გადაურჩა: 1938 წელს კოკანდის ციხეში პატიმრები ჩაუსაფრდნენ და რკინა ჩაარტყეს მოსაკლავად — მამა პურის ულუფებს ანაწილებდა, ზედმეტი არავის მისცა...

●

ორივე ბრწყინვალე ოფიცერი იქნებოდა, მაგრამ... ჯუგუმ პეტერბურგის მხოლოდ უმაღლესი არისტოკრატიის წილხვდომილ, პაჟთა კორპუსში ოთხი წელი დაჰყო, შემდეგ საოცარი ნოსტალგია დასჩემდა და შინ წამოვიდა. ჯონჯი, ვარშავის საკავალერიო კადეტთა კორპუსის კურსანტი, სწავლას ამთავრებდა, როდესაც პირველი იმპერიალისტური ომი დაიწყო და მოხალისედ ფრონტზე წავიდა («сбежал сукин сын»), იხსენებდა შემდეგ კორპუსის უფროსი: ძმები ერთმანეთს ველურ დივიზიაში შეხვდნენ, შემდეგ იყო სისხლში ჩახშობილი აჯანყება და ძმების სამუდამოდ განშორება.

ვინ იყვნენ ეს დადიანები, როგორ მოხვდნენ ეს დიდგვაროვანი ოფიცრები რიგითი მებრძოლებად ქაქუცას რაზმში?

აქვე ვიტყვი, რომ არცერთი მათგანი ჩინ-მედლებს არ დაგიდევდათ, რაინდი ოფიცრები იყვნენ, პრინციპული მოწინააღმდეგენი ყველა პარტიისა. მათი სალოცავი ხატი იყო თავისუფალი საქართველო და მისთვის თავდადებული სამსახური.

სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს დავით დადიანს ორი ძმა ჰყავდა: გრიგოლი, ლიტერატურაში კოლხიდელის ფსევდონიმით ცნობილი, და კონსტანტინე. სამივე გენერალი იყო და სამივეს ჰქონდა რუსეთის იმპერიის უმაღლესი წოდება — „უწარჩინებულესი თავადი“, და არა ბრწყინვალე, ან უბრწყინვალესი თავადი, როგორც ეს ხშირად შეცდომით აღინიშნება ხოლმე. დავით დადიანს ჰყავდა ორი ვაჟი: ნიკო — ბულგარეთის ტახტის პრეტენდენტი და ანდრია — სორბონის უნივერსიტეტის „ცივი და ცხელი იარაღის“ პროფესორი, თავისი დროის გამოჩენილი მოჭადრაკე. ანდრია უძეოდ გადავიდა, ნიკოს ვაჟი, ჭაბუკი ნიკო, პაჟთა კორპუსის მსმენელი იყო; მიუხედავად მცირეწლოვანობისა, დახვრიტეს სამოქალაქო ომის დღეებში პეტერბურგში. ასე რომ, ესენი უძეოდ გადავიდნენ. მესამე ძმას კონსტანტინეს ორი ვაჟიშვილი ჰყავდა: გრიგოლი და უჩა. უფროსი — გრიგოლი, მეტად კოლორიტული პიროვნება, დიდი მწიგნობარი, შაირობის (რუსთაველის გაგებით) მოყვარული, რუსების სასტიკი მოძულე და იმპერატორზე ფრიად განაწყენებული პიროვნება გახლდათ. მეფემ მას შესარიგებლად ზუგდიდის თავად-აზნაურთა მარშლობა და კაპიტნის ჩინი უბოძა. გრიგოლმა მარშლობა მიიღო, კაპიტნობაზე კი სასტიკი უარი განაცხადა და მაინც გამწყრალი დარჩა. გრიგოლი იყო ერთადერთი მარშალი, რომელსაც ჩინი არ ჰქონდა. მისი მომდევნო ძმა — უჩა მართლაც ორიგინალური პიროვნება იყო, მაგრამ არა სამეგრელოს ან საქართველოს, არამედ პეტერბურგისა და იმპერიის მასშტაბით, მეფის უახლოესი კაცი, ფავორიტი და მეგობარი. მას წილად ხვდა მიეღო „უგანათლებულესი“ თავადის წოდება. იგი უკანასკნელი ფლობდა ამ საიმპერიო ტიტულს და ის საფლავში ჩაიტანა. დაკრძალულია ნიუ-იორკში. ასე რომ, სხვა რომელიმე დიდ ცნობილ ფეოდალს — დადიანს ეს წოდება არ ჰქონია. უჩაც უძეო იყო.

რაც შეეხება მის უფროს ძმას — გრიგოლს ექვსი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი ჰყავდა. ახლა ჩვენს მოდგმას შვიდი მამაკაცი აგრძელებს: ამ სტრიქონების ავტორი, მისი ბიძაშვილის შვილი ჯერ, უცოლო ლევანი და კიდევ ხუთნი — ბიძია გელას (ემსხვერპლა 1987 წ.) შთამომავალნი. ასე რომ, მთავართ მოდგმას გადაშენება არ უწერია. და თუ ეს მაინც მოხდა... აი, მაშინ კი ექნება სრული უფლება ჩემს კოლეგას, ტელეკომენტატორს, ქალბატონ მანანა ნოდიას ჩვეული გულისტკივილით ამცნოს ჩვენი მოდგმის გადაშენება საქართველოს.

ჯონჯი დადიანი ჯერ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიაბარეს, როცა რუსულში კარგად გაიწაფა, იგი ჩაირიცხა ვარშავის საკავალერიო კადეტთა კორპუსში, რომლის შეფი იყო ბიძამისი, პოლკოვნიკი პეტრე დადიანი.

ოციან წლებში პეტრე დადიანისა და ჩვენი ოჯახი ერთად ვცხოვრობდით ლერმონტოვის ქუჩაზე (შემდეგ ჩვენ გადაგვასახლეს თათრის მოედანზე). ბიძია პეტრე ყოველთვის სიამოვნებით იგონებდა ახლო ნათესავს, უნიჭიერეს კურსანტს.

— დიახ, დიახ, — იტყოდა იგი რუსულად, — რუსეთის არმიამ ერთ-ერთი ბრწყინვალე ოფიცერი დაკარგა, — (იგი დარდობდა ოფიცრის დაკარგვას, იმდენად პროფესული და რუსი მხედარი იყო): Он был кррасавец мужчина. горррдость фамилий и моего корпуса, какой был наездник, прррocто чудо, даа, даа, сбежал сукин сын, сбежал! — იტყოდა იგი ღიმილით.

ისეთ ულაყებს ხედნიდა, მათი დანახვაც კი შიშს გვრიდა ხალხს. აღლუმებზე თუ სასწავლებლის დათვალიერებაზე მას ესკადრონის წინ ვაყენებდი, ან მარჯვენა ფლანგზე. რა ნიჭიერი ჭაბუკი იყო! კორპუსის დამთავრების შემდეგ უეჭველად სწავლას გავაგრძელებინებდი. შესანიშნავად ისწავლა რუსული, ფრანგულსაც კარგად დაეუფლა, — „ბეგლო“.

და როდესაც ჯონჯი წერილს მოიწერდა, იგი ყოველთვის მოიკითხავდა ბიძია პეტრეს, მის ცოლ-შვილს.

პირველი იმპერიალისტური ომი დაიწყო და ჯონჯი დადიანი სასწრაფოდ გამოეთხოვა თავის სასწავლებელს, ბიძია პეტრეს და ომში მოხალისედ წავიდა («сбежал сукин сын») და თავი ავსტრიის ფრონტზე ამოყო ველურ დივიზიაში. ეს დივიზია კავკასიელი მთიელი ხალხების მოხალისეთა ნაწილებისაგან შედგებოდა. აქ იყო ქართული პოლკიც, რომლის უფროსად, იმპერატორმა დანიშნა უგანათლებულესი თავადი, მისი ახლო მეგობარი უჩა დადიანი. ამ დივიზიაში მრავლად იყვნენ სხვადასხვა რანგის ოფიცრები, დადიანთა გვარის წარმომადგენლები. მცირე ხნის შემდეგ, ყველამ უჩას პოლკში მოიყარა თავი. მათი სურვილი იყო, ერთად ყოფილიყვნენ. უჩა საგონებელში ჩავარდა. — პოლკში ყველა რანგის ოფიცერთა თანამდებობები დაკავებული აღმოჩნდა. და მოხდა საკვირველი ამბავი! ათამდე დადიანმა მოითხოვა „საგვარეულო“ ნახევარესკადრონის შექმნა და მის მეთაურად მუშნი დადიანის დანიშვნა. ამის გამო, ყველა ოფიცერი რიგითი მხედარი გახდა. უეჭველია, ამის მიზეზი იყო ურთიერთი და უჩასადმი უსაზღვრო სიყვარული. ნახევარესკადრონის უფროსად, — უჩას ბიძაშვილი მუშნი დადიანის დამტკიცება. იგი განთქმული იყო ვაჟკაცობით, სიმართლის სიყვარულით და მაინც ერთ მეტად თავზეხელაღებულ ოფიცრად იყო ცნობილი. მცირე დეტალი მისი ცხოვრებიდან: იგი გემით გაემგზავრა ფოთიდან გაგრაში. გემი მისადგომთან გაჩერდა, მუშნი სიჩუმემ გააკვირვა. რატომ არ ყვირის გემი, იკითხა. მას განუმარტეს, აქ პრინცი ოლდენბურგი ცხოვრობს, საყვირის ხმა სიმყუდროვეს უშლის და აკრძალაო. როგორ თუ აკრძალაო, იყვირა მუშნიმ, შეუვარდა კაპიტანს კაიუტაში, ამოიღო ოფიცრის ნაგანი და მკერდზე მიაბჯინა გაოგნებულს... აყვირდა გემი, აყვირდა და მერე როგორ! მთელი გაგრა ფეხზე დადგა. პრინცმა კაცი აფრინა ნავსადგურში, რა უბედურება მოხდაო. მობრუნებულმა შიკრიკმა ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა. ოფიცრის გვარი რომ გაიგონა, სიცილი აუვარდა. მაგ შმაგის მეტი ამას იმპერიაში კაცი ვერ გაბედავდაო. უეჭველად მუშნიაო, თქვა. შემდეგ კაცი გაუგზავნა, ვახშამზე შინ მიიწვია... სიმამაცისათვის კი ჯვარზე წარადგინა.

ამ დივიზიასა და უჩას პოლკში, გარდა დადიანებისა, ფრიად ბრწყინვალე ოფიცრობა იყო თავმოყრილი, განათლებული და პროფესიონალი, თავიანთი საქმის ბრწყინვალე მცოდნენი. მათ შორის მამიდაჩემის მაცის მეუღლე კონსტანტინე შერვაშიძე, ჩიჩუაზის სიძე, დიდებული რაინდი ასტამურ ინალ-იფა, ალექსი ჩიჩუა, გვანჯი ჩიქოვანი.

აი, ბატონი ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი და ჯონჯი (ლევანი) დადიანი აქ გაეცნენ და დაუმეგობრდნენ ერთმანეთს.

1938 წელს, როცა მამა გადასახლებაში ვინახული ქალაქ ოშში, ხშირად მიამბობდა თავის წარსულზე და მის ნათესავ-მეგობრებზე, — „ჯონჯი, თითქმის პირტიტველა ჭაბუკი, ყველაზე უმცროსი იყო ჩვენში, ვანებივრებდით, — იტყოდა იგი, — ქაქუცას მოსწონდა მისი ზრდილობა, სიჩაუქე, რომანტიული ხასიათი, ვაჟკაცობა. ეს მეგობრობა, თუ არ ვცდები, უცხოეთშიც გაგრძელდა.

ერთხელ ჩვენმა დივიზიამ მიიღო უზენაესი ბრძანება: გადაელახა მდინარე დნესტრი და გაერღვიათ ფრონტი. ბრძანება ყველა ნაწილში წაიკითხეს. გადაწყდა დნესტრის შტურმი, მაგრამ ვისი ნაწილი წავიდოდა პირველი? ატყდა დავა. ბოლოს წილი ჰყარეს და უჩას პოლკს შეხვდა. აქ მუშნი დადიანი პირველობას ვის დაუთმობდა, დადიანების ნახევარესკადრონს წინ გაუძღვა და დნესტრს შეუტია. საოცარი სროლა ატყდა. თითქოს წვიმდა მდინარეზე. მუშნი და ოთარი წინ იყვნენ, მათ უკან ჩვენ მივყვებოდით ჯგუფად. ტყვიამ იმსხვერპლა ოთარის ცხენი, თითქმის შუა მდინარეში. მხედარი არ დაიბნა, ცხენს უნაგირი მოხადა, ილლიაში ამოიდო და ცურვა განაგრძო. (ქართული უნაგირის ბალიში წყალს არ ატარებს, ნამდვილი „მაშველი რგოლია“). ოთარმა გაღმა გასცურა, ნაპირზე უნაგირი წინ დაიდო, მიუწვა და თოფის სროლა დაიწყო... ავსტრიელებმა ეს გაბედული მხედარი ტაშით დააჯილდოვეს. ამ ტყვიის წვიმაში სხვა ნაწილებიც მოჰყვა და ფრონტიც გაირღვა. საოცარი ის იყო, რომ ჩვენგან არავინ გაკაწრულა. ჯონჯიმაც თავი ისახელა შეტევის დროს. როცა მას დივიზიის უფროსი გულზე ჯარისკაცის გიორგის ჯვარს ჰკიდებდა, სინანულით თქვა, — ძლიერ მწყინს, თავადო, რომ თქვენ ახლა რიგითი მხედარი ხართ. ეს ჯილდო თქვენთვის უფრო შესაფერი იქნებოდა, რომ ოფიცრის ჩინი გქონოდათ. ოფიცრისათვის ჯარისკაცის წმინდა გიორგის ჯვრის მიღება ეს დიდად საპატიო ჯილდო იყო.

ჩვენ წინ მივიწევდით და სრულიად მოულოდნელად ჩვენი პოლკის უფროსი, ბიძაჩემი უჩა დადიანი უზენაესი ბრძანებით სასწრაფოდ გაიწვიეს პეტერბურგში. რამდენიმე დღეში კი ჩვენი სიძის, ჩემი დის ჩაქურიას (ნინოს) მეუღლის, შესანიშნავი პიროვნებისა და ოფიცრის, კონსტანტინე (რალიკ) ყაზბეგის ტრაგიკული დაღუპვაც გავიგეთ. მეტად გვეწყინა. რეტდასხმულივით ვიყავით მე და ჯონჯი, მთელი სანათესაო. საშინლად შეგვეცოდა ეს მშვენიერი ვაჟკაცი და განსაკუთრებით კი ჩემი საყვარელი და, რომელსაც თოთო, რამდენიმე თვის ქალიშვილი შერჩა ხელში (ცოცხალია, ნიუ-იორკში ცხოვრობს).

მაშინ პეტერბურგის უმაღლეს სამხედრო წრეებში პოპულარული ხდებოდა ავტომობილი. რალიკამაც შეიძინა. გამოუცდელობით კედელს შეასკდა, ადგილზე გარდაიცვალა. ყაზბეგს დიდებული სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული და ბრწყინვალე შტაბს-კაპიტანი იყო. იგი იმ რკინიგზის ბატალიონის უფროსი იყო და იცავდა იმ მატარებლებს, რომლებიც პირადად მეფესა და მის ოჯახს ემსახურებოდა. იმავე დღეებში გამოქვეყნდა მეფის ედიქტი — უზენაესი ბრძანება. მასში ჩამოთვლილი იყო ცამეტი გვარი როგორც რუსი, ისე სხვა ეროვნების, ანუ აბორიგენ თავადთა გვარები, რომლებიც იმპერიის ქვეშევრდომნი იყვნენ. ამ გვარებში იყო მოხსენებული ყაზბეგიც. ყველა მათგანს, ამ გვარიშვილების შვილებს, სასტიკად ეკრძალებოდათ არათუ ავტომობილის საჭის მართვა, ჩაჯდომაც კი. ბრძანების დამრღვევთ ელოდათ მკაცრი სასჯელი, სამხედრო ღირსების აყრა და საკუთარ მამულში „გადასახლება“. სამწუხაროდ რალიკის ორი ძმაც ფრონტზე დაიღუპა. გვარი იმპერიის სიმდიდრეა, ისტორია და ღირსება — უბრძანებია მაშინ ნიკოლოზ იმპერატორს.

1960 წელს ბიძაჩემი ჯონჯი მწერდა, რომ გვანჯისთან ერთად წავიდნენ თბილისში, შემდეგ კი ისევ ფრონტზე. ისინი ერთად იყვნენ ჯერ რუმინეთის — კვლავ ავსტრიის ფრონტზე, შემდეგ პოლონეთში, ხედლიცესა და ლიუბლიანაში განაგრძობენ ლაშქრობას და კვლავ მის ბიძას, უკვე პოლკის მეთაურს პეტრე დადიანს შეხვდა. სწორედ აქ იგი იხსენებს მის ძმობილს, საარაკო ვაჟკაცს ჩერჩენ დოშაყ იზრაილოვს.

რევოლუციამ ყველაფერი ყალყზე დააყენა. დაირღვა ფრონტი. დაიწყო სამოქალაქო ომი. ჯონჯიმ სამშობლოს მოაშურა. გზაში გაიგო მისი უმცროსი ძმის ალექსანდრეს (ჯახუ) და მისი ბიძაშვილის პატარა ნიკოს დახვრეტა.

ყველა დადიანი ოჯახში დაბრუნდა, ზოგმა თბილისს მიაშურა, სადაც ქართული ნაწილები ყალიბდებოდა. ჯონჯიც იქ წავიდა. მცირე ხანში დაბრუნდა. ხორშში ძიძა და ორი ძიძიშვილი ჰყავდა. ამ ქალებს მოვლა უნდოდა, მიწების მოხვნა-დათესვა. წესრიგში მოიყვანა მეურნეობა, შემდეგ კოკის, უფროს ძმას, ამოუდგა მხარში.

დაპყრობილი საქართველო ცხოვრობდა, ილვწოდა, აჯანყებისათვის ემზადებოდა.

სამეგრელოში ჩამოვიდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მას ახალ ხიბულაში მამაჩემი მასპინძლობდა, ჯონჯიც იქ იყო და როდესაც ქაქუცა სამეგრელოდან წავიდა, ჯუგუ და ჯონჯი მას თან გაჰყვნენ, მისი რაზმეულის რიგითი წევრები გახდნენ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა დაიწყო თავისი რაზმის ჩამოყალიბება. ბატონმა ალექსანდრე სულხანიშვილმა თავისი მოგონებების პირველ ნაწილში ახსენა ჯუგუ დადიანი — როგორც ქაქუცას თანამებრძოლი. იგი აღწერს ერთ მომენტს, როდესაც ლეკი, რომელმაც რაზმელთა ორი მებრძოლი და ერთი ოფიცერი მოკლა, შეიპყრეს და დაკითხვისას ნაჯახს დაწვდა და შეუტია ჯუგუს, რომელიც ლეკს ვერ ხედავდა. ალექსანდრემ ლეკს თავისი „პარაბელუმის“ ტყვია დაასწრო და მეგობარი სიკვდილისაგან იხსნა. ჯუგუ დადიანი ქაქუცამ 192 წლის შემოდგომაზე სამეგრელოში მოავლინა, როგორც ცნობილი თავადი და ავტორიტეტიანი ოფიცერი. იგი უნდა დახმარებოდა 1924 წლის აჯანყების მომზადებაში ზუგდიდის მაზრის პატრიოტებს.

1924 წლის გაზაფხულზე კი ჯონჯი გამოამგზავრა სამეგრელოში, ზუგდიდის განაპირა რაიონში, სვანეთისკენ, სადაც მუშნი და





სურათებზე: ზემოთ — ჯონჯი (ლევან) დადიანი ნიუ-იორკში; ქვემოთ — პაუსია დგებუაძე-დადიანისა, მისი მული ფონიულიანა მარიამ დადიანისა, მისი ძმა კონსტანტინე (ჯუგუ) დადიანი; დგანან — მარცხნივ (პიროვნება დაუდგენელია), მარცხნივ ჯონჯი (ლევან) დადიანი.

ოთარ დადიანები და ნესტორ გარდაფხაძე თავკაცობდნენ აჯანყებას. შემდეგში ეს სამი განუყრელი მეგობარი ერთად დახვრიტეს.

მე თავს არ მოგაბეზრებთ 1924 წლის გამოსვლების აღწერით. ამაზე მრავალი დაიწერა, ვიტყვი მხოლოდ ჯონჯი დადიანზე. იგი აჯანყების დამარცხების შემდეგ, იმალებოდა მისი მშობლიური სოფლის ხორშის მიდამოებში თანამებრძოლ სარდიონ კუჭავასთან ერთად.

„ჩვენ ჯონჯის ხელში ჩაგდება გვინდოდა; მისი უფროსი ძმა იმიტომ მოვკალით", იტყვის 1927 წელს მისი მკვლელი მილიციელი დაკითხვაზე, როდესაც ირჩეოდა კოკი დადიანის ვერაგული მკვლელობის საქმე. მრავალი დამნაშავე და რევკომის წარმომადგენელი მაშინ მკაცრად დაისაჯა. ვერაგულად მოკლული კოკის ცხედარი კი ორი დღე და ღამე კარის ეკლესიაში ესვენა, ჯონჯი მოვა და დაიტირებსო. ჯონჯი მოვიდა სარდიონთან ერთად, იქაურობა ბომბის ქუხილმა გააყრუა, ჩასაფრებულები გულისხეთქვით გაიქცნენ. ჯონჯიმ ძმა დაიტირა, შემდეგ კი თმის კულული მოაჭრა, თან წაიღო და მთელი სიცოცხლე ატარა „გულის ხატში" ჩაკერებული.

საჭირო იყო რაღაც სახსრები ჯონჯის საზღვარგარეთ გასამგზავრებლად. დედას ჰქონდა მაია დადიანის ნაჩუქარი უძვირფასესი ბეჭედი, იგი თითის მთელ მალას ჰფარავდა, ბრილიანტით იყო მოოჭვილი. დედას აგრეთვე ჰქონდა მამაჩემის ოქროს საგვარეულო პორტსიგარი, ფაბერჟეს ნახელავი. მისი საკეტი იყო ქამარივით გარს შემორტყმული პლატინის ორი გველი; მათ თვალებში დიდი ზურმუხტი იყო ჩასმული. გარედან პორტსიგარი მოჭედილი იყო მეგობარ-ნათესავთა მონოგრამებით, ზოგი მათგანი ბრილიანტის, ზურმუხტის თუ ლალის თვლებით იყო შემკული. ორთავე მეტად ძვირფასი საგვარეულო ნივთი იყო. დედამ არ დაიშურა არცერთი. საყვარელ მაზლს და მის თანამებრძოლს სარდიონ კუჭავას ძმებივით გამოეთხოვა, გზა დაულოცა. მათ ქობულეთში გაყვა დეიდაჩემი ფუცუ დგებუაძე-ფულარია, შემდეგში მწერალი. მაშინ მე ფოთში ვიყავი გახიზნული დედაჩემის ძმასთან. „ჯოგოია ბიძიას", როგორც მისი ძმისწულები ვეძახოდით მხოლოდ ჩემი დის, გუგულის ბავშვური უმანკო ცრემლები გაჰყვა. (გთხოვთ, ეს სანტიმენტალობად არ ჩამითვალოთ) და ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ გუგული აქ იტირებს ბიძამისის წერილზე, ამერიკაში კი — მისი საყვარელი ბიძა.

ქობულეთიდან დეიდამ კარგი ამბავი ჩამოიტანა: — ჯონჯი და სარდიონი მშვიდობით გადავიდნენ თურქეთის საზღვარზეო. დიდი ხნის შემდეგ ჯონჯის წერილი მოვიდა პარიზიდან. დიდ მადლობას უხდიდა იმ ლაზს, მამაჩემის მოკეთეს, რომელმაც არავითარი გასამრჯელო არ აიღო. ჭუგუს სახელს, ჩვენს ძმობას არ ეკადრებაო. სტამბოლში გამოგადგებათო.

რამდენიმე ხანს სტამბოლში იყვნენ, შემდეგ ბატონ ქაქუცას შემწეობით ვიზებიც მიიღეს და თანამებრძოლები პარიზში გაემგზავრნენ. ბატონი ალექსანდრე სულხანიშვილიც ადასტურებს, რომ გადახვეწილ რაზმელებს ეს ორი შეფიცული გვიან შეუერთდა. ხოლო ქაქუცას შესახებ დაწერილ წიგნში მოყვანილ სიაში კი ისინი თითქოს ყველა ერთად გადავიდა.

ბიძაჩემი ჯონჯი სისტემატურად წერდა წერილებს ჩემს მშობლებს, დეიდაჩემს, უფროს რძალს, კოკის ქვრივს, ფუცუ დგებუაძე-ფულარიას. სხვათაშორის ფუცუს მეუღლე დავით ფულარია ბაბუაჩემის კარის აზნაურიც იყო და კარის მეზობელიც.

ბატონი ალექსანდრე სულხანიშვილი თავის მოგონებებში წერს, თუ როგორ დაესხნენ მათ სოციალ-დემოკრატები და ჯონჯის მიპარვით რკინა ჩაარტყეს თავში. ამ თავდასხმის მიზეზი იყო ის, რომ რაზმელები სოციალ-დემოკრატებმა ვერ გადაიბირეს და მარქსიზმის შესწავლაზე და მათ პარტიაში შესვლაზე უარი თქვეს. „ჩხუბი მომივიდაო", — იწერებოდა შემდეგ ჯონჯი, — მოვკვდებოდი, ქუდმა მიხსნა. ალბათ, იმ ინციდენტზე იყო საუბარი. ფუცუს აინტერესებდა იმიგრანტების ამბები, ეკითხებოდა, ვის შესახებ რა იცით, — მაგრამ ახლაც მახსოვს ჯონჯის გაბრაზებული პასუხი „მაგნები არ არიან კაი ხალხი". თუ რატომ, ა. სულხანიშვილის მემუარებში კარგად ჩანს. დავსძენ მამაჩემის სიტყვებს: „ჯონჯის და მე არავითარი პარტია არ გვწამდა, გარდა თავისუფალი საქართველოსი" — ნაღდი ქაქუცას მოწაფის მრწამსია.

„მე და სარდიონი ვმუშაობთ პეჟოს ავტომობილის ქარხანაში, — იწერებოდა ჯონჯი, — ძალიან შევუყვარდით პატრონს. ჩვენ ყველაზე კარგად ვმუშაობთ, ფულსაც მეტს გვაძლევს. ერთხელ გამომელაპარაკა. ვუთხარი ვინც ვიყავი. საოცრად გაუკვირდა. მეორე კვირას სადილად დაგვპატიჟა და მივედით. კაი პატივი გვცა, — „არაფერს გაგიჭირვებთო".

შემდეგ წერილში იგი გვწერდა, რომ ამ ქარხანაში მისი რეკომენდაციით მუშაობა დაიწყო უჩას გერმა თენგიზ დადეშქელიანმა, ნამდვილმა გოლიათმა. ქარხნის პატრონი გახარებული იყო, რომ მასთან ასეთი პიროვნებები მუშაობდნენ. თითქმის ყოველ კვირას მათთვის სადილს მართავდა იგი. და აი, ერთ-ერთ ასეთ სადილზე ჯონჯიმ გაიცნო მდიდარი, მომხიბვლელი, წარმოშობით ფრანგი, კუბელი ახალგაზრდა ქალი — თამბაქოს პლანტატორი კუბაში. ჯონჯი დიდებული შესახედავი იყო გარეგნულად; ზრდილი, რაინდი. ქალს, რა თქმა უნდა, მოეწონა. არც ჯონჯი დარჩა ვალში. გაიმართა არისტოკრატიული ფლირტი „ყოფილ არისტოკრატთან", ახლა კი მუშასთან.

ჯონჯი დაქორწინდა, კუბაში წავიდნენ ჯვარდაწერილები. „მე ძალიან კარგად ვარ. ერთმანეთს სულში ვუძვრებით. ცოტა ხანს ვიყავით კუბაში, დავათვალიერე მისი მამული. მთელი ხორში ჩაეტევა, იმხელაა პლანტაციები. (ხორში დიდი სოფელი იყო). დიდი შემოსავალი აქვს. მერე ჩვენ ნიუ-იორკში წავედით. გზაში მოვუყევი ბიძია უჩას ამბავი. მეტად გაუკვირდა. მოვძებნეთ ბიძია უჩა. იგი ერთ პატარა სასტუმროში იყო შვეიცარად. ეს სასტუმრო მან ნიუ-იორკში ჩასვლისთანავე იყიდა. შემდეგ კი... „მოგეხსენებათ ბიძიას ვაჭრობის „ნიჭი და განათლება". სასტუმრო გაეყიდა და ახალ პატრონს ძველი შესცოდებია. დიდად გავიხარეთ ერთმანეთის ნახვით".

ამავე სასტუმროს რესტორანში ჯონჯიმ ყველა ნაცნობი ქართველი აწვია, სასტუმრო გამოისყიდა და უჩა ბიძიას ჩააბარა, დიდი ლხინი გადაიხადა. ამავე ბანკეტზე უჩამ თქვა, — ახლა ვარ ბედნიერიო და როცა ლიფტით სარდაფიდან ამოდიოდნენ სიხარულით გული გაუსკდა ძმისშვილის ხელში განუტევა სული.

იმავე ხანებში ჯონჯიმ დედას ფული და გარდაცვლილი უჩას სურათი გამოუგზავნა. ფულმა პირდაპირ სულზე მოგვისწრო. „ტორგსინში" გადავახურდავეთ, მძიმედ დაავადებული დედა ორი თვით წალვერში გავაგზავნეთ. ჩავიცვით, დავიხურეთ...

ერთი დეტალი:

სამამულო ომის მეორე წლის ზამთარში სამეგრელოში ხმა გავარდა, — ჯონჯი დადიანი გერმანელებმა სენაკში დესანტად გადმოსვესო. ეს ჭორი ისე დამაჯერებლად გავრცელდა, რომ საყოველთაო ჩხრეკა შეიქმნა რაიონში. სახალხო რაზმელებმა, პირველ ყოვლისა, სოფელ ხორშის ერთი ჩირგვიც არ დატოვეს გაუჩხრეკავი, ერთი მილიციონერი კი ჩაასაფრეს ჯონჯის ძმის კოკი დადიანის სახლში. შემდეგ კოლმეურნეობის ბრიგადირი ცექვე ძიძავაც გამოიძახეს. ჯონჯი დადიანი დესანტით გადმოსვეს და მისი ადგილსამყოფელი სად არისო, კატეგორიულად დაუსვეს საკითხი ცექვეს, ან რომელ ოჯახში შეიძლება ვეძიოთო. შორს ნუ ვეძებთო, უპასუხა ცექვემ. თუ აქ არის, სხვაგან არსად წავა, ჩემთან ეძიეთო. მეორედ როცა მისულან კოკი დადიანის ქვრივთან, ბიცოლაჩემი, ჭაიანის ქალი მილიციელებს მოთქმით შეხვედრია, რას აყოლილხართ სულელურ ჭორებს, ის ამერიკაშია, კაცმა არ იცის, ცოცხალი თუ მკვდარიაო. ცექვე ძიძავა, მისი ძმა აკაკი, დები ძაკუ და ანაპო სიკვდილის დღემდე დარჩნენ ჩვენი ოჯახის ერთგულნი. როდესაც ჯონჯის დედა მონაზვნად აღიკვეცა, ქალბატონს ძაკუ და ანაპო თან გაჰყვნენ თეკლათის დედათა მონასტერში, მონაზვნად შედგნენ და იქვე მიებარნენ სასუფეველს.

ამის შემდეგ მილიციელთა რაზმი მონასტერში ავიდა და ძაკუსა და ანაპოს მიადგა. დაკითხვის დროს ძაკუმ თითი შიაშვირა რაზმის ხელმძღვანელს და ირონიით თქვა: ჯონჯი თუ აქ არის, აი იმ უწმინდურ კაცთან ეძიეთო. ჯონჯი „უწმინდური კაცის" საფიცარი ხატი იყო. მისი სურათი კი რევოლვერის ტარში ჰქონდათ ჩასმული. რაზმელებმა მაინც ჩაიხედეს სახლის სარდაფში, რომელშიც ლორიც ვერ შეეტეოდა.

ჯონჯი დადიანის სურათი მაუზერის ტარში რომ ჰქონდა ჩასმული, შალიკო ალანია იყო, გაბაბჭოებამდე ჯონჯის მეგობარი და მხლებელი. 1924 წელს გაბოლშევიკდა, მილიციაში შევიდა და სენაკის რაიონის თავად-აზნაურთა განწყვეტაში დიდი როლი ითამაშა. ჯონჯის კი მოსაკლავად დასდევდა. მე ის მინახავს, შესახედავად



სურათზე: შუაში — ლევან დადიანი; მარჯვნივ, მეუღლე ელ უნთონი, მარცხნივ დის შვილი მარინე ყაზბეგი.

კარგი შავგვრემანი ვაჟკაცი იყო, დიდ ულვაშებს ატარებდა. ჩემი გვარი რომ გაიგო, სახე გაუბრწყინდა, გაუხარდა(?). ჯონჯი მოიკითხა. აფსუს, რა ვაჟკაცი იყოო, თქვა მან და ჯონჯისა და მისი ძმების ქება-დიდება დაიწყო. ეს ამბავი უკვე სამოციან წლებში იყო. როცა ჩვენიანებს ვუთხარი, ყველამ წყევლა-კრულვა შეუთვალა... ახლა აღარც დაწყევლილნი არიან და არც მწყევლელნი. შეუნდოს ყველას უფალმა!

გადიოდა დრო. ბიძაჩემმა წერილების წერა შეგვიწყვიტა. ჩვენს მრავალ წერილზე პასუხს არ იძლეოდა. ხმები კი ჩამოდიოდა, პირველი ცოლი გარდაეცვალა და მილიონერ ქალზე იქორწინაო. შემდეგ, როგორც გამოირკვა, არცერთი ჩვენი წერილი არ ჩასულა ამერიკაში, და არცერთი არ მიგვილია იქიდან გამოგზავნილი.

1958 წელს დიდი ამბავი მოხდა. ნ. ხრუშჩოვი ამერიკას ეწვია. მას თან დიდი ამალა ახლდა. მათ შორის საბჭოთა კავშირის სცენის დიდოსტატები. საქართველოდან მოწვეული იყო ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ანსამბლის მოცეკვავეთა 25 კაცი. ხრუშჩოვი უნდა ჩასულიყო სან-ფრანცისკოშიც. და, რა თქმა უნდა, კონცერტიც უნდა გამართულიყო.

ახლა მოვუსმინოთ თავად ჯონჯი დადიანს: „ახლა აგიწერთ დაახლოებით ბატონ ხრუშჩოვის ჩამობრძანებას სან-ფრანცისკოში. მე და ჩემი ცოლი იმ „ოტელში" მივედით, სადაც ყოველთვის ვჩერდებოდით. ვქირაობდით დაბლა აპარტამენტებს. ბიცოლაშენს ეშინოდა სიმაღლის, თავბრუ ესხმებოდა. რაკი ჩვენი აპარტამენტები ბატონ ხრუშჩოვისათვის იყო გამზადებული, ჩვენ მის გვერდზე დავიქირავეთ. მოაღწია ის დღე, რომ უნდა ჩამობრძანდეს ბატონი ხრუშჩოვი და გაივსო ხალხით მთელი ეს ქუჩა — „კალიფორნია; ნობ-ჰილი". მე იქ ვიდექი და საღამოს აჰა, თითქმის მზის ჩასვლის დროს გამოჩნდა წინ მოტოციკლი. მერე მთელი დიდი ავტომობილისტები, მერე მისი მანქანა. სულ ნელა მოდიოდა, ატეხეს ტაში, აირია ეს ხალხი. მე კიდო ღონიერი ვარ, მაგრამ გაგონილა? გამიტანა ხალხმა, ქუდი გადამივარდა, ვეცადე ვითომდა ალება გაგონილა? მოგჭამა ჭირი, ბიჭო, ჩემმა ქუდმა. კაი ქუდი კი იყო, მარა რა გაეწყობა, თვითონ ძლივს გამოვედი. მერე ბატონი ხრუშჩოვი გადმოდგა თავის „ბალკონიდან", მიესალმა ხალხს. ხალხი იქ იდგა, უმრავლესობა მგონი, მთელი ღამე. დილით შევედი ოტელში, მინდოდა მენახა შოლოხოვი, რომლის ნაწერების თაყვანისმცემელი ვარ, მაგრამ აგენტებმა მითხრეს, დაურეკეო. ვერ დაველაპარაკე. ვერ მოვახერხე ნახვა. ბატონმა ხრუშჩოვმა დილით გამოისეირნა, გაიარა ჩემი ოტელის ახლოს დიდი ამალით. მე ვუყურებდი ჩემი ფანჯრიდან. ასეთი დიდი ტრიუმფი იყო".

ანსამბლის სოლისტი ჯამუ გარუჩავა: „პირველი კონცერტი გაიმართა. მრავალი მსახიობი გამოდიოდა. მხოლოდ ჩვენ შევძელით „დარბაზის დანგრევა". უჩვეულო წარმატება გვქონდა. კულისებში ხმა გაისმა, დადიანმა ვახშამზე დაგვპატიჟაო, უკლებლივ ყველას ვთხოვ პატივი მცესო. ჩვენ ილიკო მერაბიშვილის სასტუმროში ვცხოვრობდით. მას ყველაფერი თავისი ჰქონდა: სანთებელა, სიგარეტი, ფოსტის ბარათები, სუვენირები და სხვა ათასი რამ. იგი კინომსახიობი ყოფილა. კრაზანას როლი ითამაშა ამავე სახელწოდების სურათში, რომელიც კოტე მარჯანიშვილს დაუდგამს ოციან წლებში ვოინიჩის რომანის მიხედვით. ილიკო სუხიშვილის მეგობარი ყოფილა ახალგაზრდობაში და შემდეგ საქართველოდან უცხოეთში გაპარულა. ნეტავ გენახათ მათი შეხვედრა. ერთმანეთს ვერ გამოვგლიჯეთ ხელიდან.

დამთავრდა კონცერტი. რესტორანში მიგვიწვიეს. წავედით. საბანკეტო დარბაზში დავინახეთ მაღალი, წარმოსადეგი, ლამაზი, ოდნავ ავადმყოფური სახის ვაჟკაცი. მას დიდი მღელვარება ეტყობოდა. მივესალმეთ. დავსხედით. ურთიერთი გავიცანით. ხმა ჰქონდა მეტად ჩახლეჩილი. ამიტომ ბოდიში მოგვიხადა და თქვა, ხმის ერთი სიმი იმდენად დამიზიანდა, რომ ამოჭრა აუცილებელი შეიქმნაო. თავად თამადობდა. მცირე ხნის შემდეგ იკითხა: ყოფილი სენაკიდან, ახლა ცხაკაიადან ხომ არავინ ბრძანდებაო. ყველამ მე დამასახელა, ჩემსკენ წამოსვლა დააპირა, დავასწარი. მის გვერდზე ადგილი გავცვალე ჩემს კოლეგასთან და დაიწყო დიალოგი. იგი მღელვარებას ძლივს მალავდა. ლამის ცახცახებდა კაცი.

— თუ გაგიგონიათ სენაკში დადიანი? — ძლივს თქვა მან.

— როგორ არა, ბატონო. მე მასწავლიდა გუგული დადიანი. ძალიან კარგი ქალია, და საუცხოო მასწავლებელი.

— აგაშენა ღმერთმა. მისი მშობლების თუ იცით რამე.

— კი ბატონო, მამამისი ძალიან დიდ ხანს იყო ავად, დამბლა დაეცა და გარდაიცვალა სენაკში.

ჯამუს შეეშალა, ასეთი ავადმყოფი იყო ჩემი დის მამამთილი. თუმცა, ასე ჯობდა ჯონჯის გაეგო, მისი ძმის სიკვდილი, ვიდრე ის გაეგო, რომ მისი ძმა აქტიუბინსკის ციხეში დაიღუპა.

— დადიანი ჟურნალისტია, აგული ჰქვია. ჩვენი ანსამბლის მემატიანე შეიძლება ვუწოდოთ, — თქვა ილიკო სუხიშვილმა, ჯონჯის სახე გაებადრა. ღრმად ამოისუნთქა. სხვებიც იკითხა, მაგრამ არა ვიცოდით რა. ჯონჯიმ იქვე მაგიდიდან აიღო ღია ბარათი და დააწერა: „შვილო აგული, გავიხარე თქვენი კარგად ყოფნით, მომწერე წერილი ამ მისამართით... „შენი ჯოგოია ბიძია". ეს ჯამუს მისცა და სთხოვა ჩემთვის გადმოეცა. შემდეგ წამოდგა, ჯიბიდან ძველებური დიდი ოქროს საათი ამოიღო და ილია სუხიშვილს მიმართა:

— ეს საათი სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის უმცროსი ვაჟის, განთქმული მოჭადრაკის ანდრია დადიანის კუთვნილება იყო. აქ შევიძინე და ახლა გთხოვთ გადასცეთ ეს საათი აგულის და მან კი ზუგდიდის ჩვენს საგვარეულო მუზეუმს ჩააბაროს. იქ არის მისი ადგილი.

— სიამოვნებით, ბატონო ჯონჯი, თქვენს სურვილს აუცილებლად შევასრულებთ, — უპასუხა ილიკომ, საათი ჩამოართვა და ქალბატონ ნინოს გადასცა საიმედოდ შესანახად.

როგორც წესი, სოხუმში შემოდგომის დამდეგს ვისვენებდი, დედასა და დეიდაჩემთან ფუცუ-დგებუაძე ფულარიასთან. აქ მრავალი ნათესავი ცხოვრობს ჩემი. ერთ საღამოს ჩემი ბიძაშვილი ქეთო მოვიდა და, რაც ახლა ბანკეტზე დავწერე, თითქმის სიტყვა-სიტყვით გამიმეორა. ყველანი გავოცდით. ძალიან გაგვიხარდა ჯონჯის კარგად ყოფნა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით გაიგო მთელმა ნათესაობამ, თბილისში კი ჟურნალისტების ალყაში მოექცა ბატონი ილიკო, მაგრამ სასტიკი უარი განაცხადა ინტერვიუზე, აგული დადიანი ჩამოვიდეს, საათს მას ჩავაბარებ და ინტერვიუ თუ გინდათ, შემდეგში აიღეთო.

სამსახურში ვარ, საქალაქთაშორისო ტელეფონის ზარიც აწკრიალდა. ავიღე ყურმილი. მე მთხოვდნენ. — რომელი ხარ შენ! — ისმის კაცის გამწარებული და ნერვიული ხმა. ვუთხარი ვინც ვიყავი.

„რაიკომის პირველი მდივნის ბრძანებით ვრეკავ: სად არის საათი, რატომ არ ჩამოიტანეთ. რაიკომის პირველი მდივნის განკარგულებაა, რაიკომის პირველი მდივანი გელოდებათ. მოკლედ, ყოველ წინადადებას რაიკომის მდივნით იწყება. მე ავუხსენი მდგომარეობა. არავითარი რეაგირება, — რაიკომის მდივანმა ბრძანა, — ძალიან მალე ჩამოიტანოსო".

შევპირდი და ყურმილი დავდე.

საკდესის მაშინდელ დირექტორს შევუთანხმდი, რომ დღესვე მიგვეცა ინფორმაცია საათის შესახებ, მაგრამ ერთ-ერთმა მოადგილემ კატეგორიული უარი განაცხადა, — გამომგზავნი ჩვენი სახელმწიფოს პირსისხლიანი მტერია, 24 წლის აჯანყების მონაწილე, აქედან გაპარული, რათა „ხალხის რისხვა" აეცილებინა თავიდან. როგორც ხედავთ, „არგუმენტი" იმ დროისათვის მეტად დამაჯერებელი იყო. ჩემმა რედაქციამ თავი შეიკავა, „ზარია ვოსტოკამ" ჯონჯის ვინაობა მიკიბ-მოკიბა და მოკლე ინფორმაცია გამოაქვეყნა. ამის შემდეგ მთლად გაგიჟდა ზუგდიდის მუზეუმის დირექტორი. ყოველ მეორე დღეს რეკავდა. და რაკი ჩემზე არაფერმა გასჭრა, კულტურის სამინისტროს ინსპექტორი მომიხტა ფრიად შემტევი კილოთი და მუქარით: მინისტრს მოვახსენებ, რომ თქვენ რაიკომის განკარგულებას არ ემორჩილებით. ძალიან გამაბრაზა. ამხანაგებმა ძლივს გამაჩერეს. სწრაფად დამაკავშირეს რაიკომის პირველ მდივანთან ზუგდიდში. თუ ძმა ხარ, როგორმე დააშოშმინე მუზეუმის დირექტორი. დრო მექნება და ჩამოვიტან საათს-მეთქი. ინსპექტორი გაკვირვებული წავიდა ჩემი ასეთი ამხანაგური ტონით რაიკომის მდივნისადმი.

იგი ჩემი თანაკურსელი იყო უნივერსიტეტში.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ივან ბუნინი

# მაია-კოვსკი



ვამთავრებ რა მწერლებზე ჩემი მოგონებების წერას, ვფიქრობ, რომ მაიაკოვსკი ბოლშევიკური წლების ლიტერატურის ისტორიაში დარჩება, როგორც ყველაზე მდაბალი, ყველაზე ცინიკური და მავნე მსახური საბჭოთა კაციჭამიობისა, მისთვის ლიტერატურული ქების შესხმისა და ამით საბჭოთა ბრბოზე ზემოქმედების მხრივ. აქ, რაღა თქმა უნდა, მას ალემატება მარტოოდენ გორკი, რომლის პროპაგანდამაც მისი მსოფლიოში სახელგანთქმულობის, მისი დიდი და პრიმიტიული ლიტერატურული ნიჭით, ზედმიწევნით რომ შეეფერებოდა ბრბოს გემოვნებას, მსახიობობის უზარმაზარი ძალით, ჰომერული სიცრუით და ამაში უმაგალითო დაუცხრომლობით, ასეთი საშინლად დანაშაულებრივი, ჭეშმარიტად „პლანეტარული მასშტაბის“ დახმარება აღმოუჩინა ბოლშევიზმს. საბჭოთა მოსკოვმა მაიაკოვსკის არა მარტო უდიდესი სიუხვით, იდიოტური მეტისმეტობითაც კი გადაუხადა უსაზღვრო ქება-დიდებისა და საბჭოთა ადამიანების გახრწნის, მათი ზნისა და გემოვნების დამდაბლების საქმეში ყოველგვარი დახმარების გამო. მაიაკოვსკი მოსკოვში ცამდეა აყვანილი, არა მხოლოდ როგორც დიდი პოეტი. მისი თვითმკვლელობის ოცი წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტამ“ ამასწინათ განაცხადა, რომ „მაიაკოვსკის სახელი **განსხეულდა** ორთქლმავლებში, სკოლებში, ტანკებში, ქუჩებში, თეატრებსა და სხვა **ხანგრძლივ** საქმეებში“. ათი ხომალდი „ვლადიმირ მაიაკოვსკი“ სერავს ზღვებსა და მდინარეებს. „ვლადიმირ მაიაკოვსკი“ ეწერა სამი ტანკის ჯავშანზე; ერთი ასეთწარწერიანი ტანკი ბერლინამდე, ზედ რაიხსტაგამდე მივიდა. მოიერიშე „ვლადიმირ მაიაკოვსკი“ მტერს მუსრს ავლებდა ჰაერიდან. წყალქვეშა ნავი „ვლადიმირ მაიაკოვსკი“ ხომალდებს ძირავდა ბალტიკაში, პოეტის სახელი ჰქვია მოედანს მოსკოვის ცენტრში, მეტროს სადგურს, შესახვევს, ბიბლიოთეკას, მუზეუმს, საქართველოს რაიონს, სომხეთის სოფელს, დაბას კალუგის ოლქში, პამირის მწვერვალს, ლიტერატორთა კლუბს ლენინგრადში, ქუჩებს თხუთმეტ ქალაქში, ხუთ თეატრს, სამი ქალაქის პარკს, სკოლებს, კოლმეურნეობებს...“ (აი, კარლ ლიბკნეხტს კი არ გაუმართლა: მთელ საბჭოთა რუსეთში არის ერთადერთი „კარლ ლიბკნეხტის სახელობის ბატების საბჭოთა მეურნეობა“). მაიაკოვსკის თვითმკვლელობამაც კი არგო: საშუალება მისცა სხვა საბჭოთა პოეტს, პასტერნაკს, რომ მისი იმქვეყნიური აჩრდილისთვის მიემართა ნართაულად რაღაც ძალზე ამაღლებულზე მიმნიშნებელი სიტყვებით:

Твой выстрел был подобен
Этне
В предгорье трусов и
трусих!

გასროლა შეიძლება შევადაროთ არა მთას, არამედ მის რაღაც მოქმედებას-მეწყერს, ამოფრქვევას... მაგრამ რაკილა პასტერნაკს საბჭოთა რუსეთში და ემიგრაციაშიც ბევრი ვინმე გენიალურ პოეტად თვლის, იგი თავის აზრს გამოხატავს სწორედ ისე, როგორც ამჟამინდელ გენიალურ პოეტებს შეეფერებათ, და, აი, კიდევ ერთი ამგვარი ნიმუში:

Поэзия, я буду клясться
Тобой и кончу, прохрипев:
Ты не осанка
сладкогласца,
Ты лето с местом в
третьем классе,
Ты пригород, а не припев.

მაიაკოვსკიმ გარკვეულწილად ჯერ კიდევ ლენინამდე გაითქვა სახელი. ის გამოირჩა ყველა იმ ყალთაბანდისა და ხულიგნის ფონზე, ფუტურისტებად რომ იწოდებოდნენ. მისი ყველა სკანდალური გამოხდომა იმ დროს ძალზე უფხო, იაფფასიანი რამ იყო, ეს გამოხდომები წყლის წვეთებივით ჰგავდა ბურლიუკის, კრუჩონიხისა და სხვათა გამოხდომებს. მაგრამ მაიაკოვსკი ყველას ალემატებოდა უხეშობითა და თავხედობით. აი, მისი სახელგანთქმული ყვითელი კოფთა და ველურივით შეღებილი სიფათი, მაგრამ რაოდენ ბოროტი და პირქუშია ეს სიფათი! აი ის, როგორც ერთი მისი მაშინდელი დოსტი იგონებს, გამოდის, ესტრადაზე, რათა თავშესაქცევად შეყრილ საზოგადოებას წაუკითხოს თავისი უხეირო ლექსები: გამოდის, ჯიბეებში ხელებჩაჩურთული, ზიზღით მოღრეცილ პირში პაპიროსი გაუჩრია, ტანად მაღალია, წარმოსადეგი და ღონიერი ჩანს, ძლიერი და მკვეთრი სახის ნაკვთები აქვს. ხან ხმის ჩაწყვეტამდე ღრიალებს, ხან კი ზარმაცად დუდღუნებს რაღაცას; კითხვას ამთავრებს და საზოგადოებას უკვე პროზაული სიტყვით მიმართავს:

— ვისაც სურს სიფათში ვრეკო, კეთილი ინებოს და რიგში ჩადგეს.

ის ბეჭდავს ლექსების წიგნს, რომელიც თითქოს არაჩვეულებრივად გონებამახვილურადაა დასათაურებული: „შარვლიანი ღრუბელი“. აი, მისი ერთ-ერთი ნახატი გამოფენაზე, — ის ხომ ფერმწერიც იყო: რაღაც ჰაიჰარად, ხელსწრაფადაა დაჯღაბნილი, ტილოზე მიწებებულია ჩვეულებრივი ხის კოვზი, ქვემოთ კი წარწერაა: „პარიკმახერი აბანოში წავიდა“...

ამგვარი სურათი რუსეთის რომელიღაც მიყრუებული ქალაქის ბაზარში რომ ყოფილიყო გამოფენილი, მისი მნახველი ნებისმიერი გამვლელი მეშჩანი მხოლოდ თავს გადააქნევდა და გზას გააგრძელებდა, იფიქრებდა, ეს ნახატი ვიღაც ყეყეჩის ან სულელის ნახელავიაო. მოსკოვსა და პეტერბურგს კი მისი ეს ნახატი მაინც ართობდა, აქ ის „ფუტურისტულად“ ითვლებოდა. რომელიმე ბაზრობაზე ბალაგნის მახარას ბრბოსთვის რომ დაეყვირა, რიგში ჩადექით, რომ სიფათში გრეკოთო, მას დაუყოვნებლივ გამოათრევდნენ ბალაგნიდან და გონების დაკარგვამდე უბათქუნებდნენ. რუსი ინტელიგენცია კი თავს იქცევდა მაიაკოვსკით და ეთანხმებოდა, იმ აზრს, რომ მათ გამოხდომებს ფუტურიზმი ერქვა.

გერმანელებთან პირველი რუსული ომის გამოცხადების დღეს მაიაკოვსკი ძვრება მოსკოვში სკობელევისათვის აღმართული ძეგლის კვარცხლბეკზე და იქ ბრბოს ბღავილით უკითხავს პატრიოტულ უხეირო ლექსებს. გარკვეული დრო გადის და მას უკვე ცილინდრი ახურავს, შავი პალტო აცვია, შავი ხელთათმანი უკეთია, შავი ხის ხელჯოხი უპყრია და ამგვარად მორთულ-მოკაზმული რაღაცნაირად ახერხებს, რომ ომში არ მიჰყავთ. მაგრამ, აი, ბოლოს, როცა მეფდება ელამი, ენამოჩლექილი, მელოტი, სიფილისიანი ლენინი, იწყება ის ეპოქა, რომელზეც გორკიმ თავის ძაღლდატანებით სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე წამოროშა: „ჩვენ ვცხოვრობთ ვლადიმირ ილიჩ ლენინის გენიით გასხივოსნებულ ქვეყანაში, ქვეყანაში, სადაც დაუცხრომლად და სასწაულებრივად მუშაობს იოსიფ სტალინის რკინის ნება!“ გამეფდა თუ არა, ლენინმა, რომელსაც ახლა მოსკოვი, როგორც წესი, „ყველა დროისა და ხალხის უდიდეს გენიოსს“ უწოდებს, განაცხადა:

„ბურჟუაზიული მწერალი დამოკიდებულია ფულის ტომრისგან, მოსყიდვისგან. თავისუფალნი ხართ თუ არა თქვენ, ბატონო მწერლებო, თქვენი ბურჟუაზიული საზოგადოებისგან, რომელიც თქვენგან მოითხოვს პორნოგრაფიას ჩარჩოებსა და სურათებში, პროსტიტუციას თქვენი „წმიდა ხელოვნების“ „დამატების“ სახით?“

„ფულის ტომარა, პორნოგრაფია ჩარჩოებსა და სურათებში, პროსტიტუცია დამატების სახით...“ სიტყვის როგორი ფლობაა, როგორი მომაკვდინებელი სარკაზმია! მოსკოვი ტყუილუბრალოდ როდი იმეორებს სხვა რამესაც: „ლენინი სიტყვის უდიდესი ოსტატიც იყო“. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რაც მან ამის შემდეგ მალევე თქვა:

„ეგრეთ წოდებული „შემოქმედების თავისუფლება“ ბატონკაცური ანაქრონიზმია. მწერლები აუცილებლად უნდა შევიდნენ პარტიულ ორგანიზაციებში“.

და აი, მაიაკოვსკი უკვე რკპ (რუსეთის კომუნისტური პარტიის) ერთგული მსახური ხდება; იგი ისევე ჩხუბისთავობს, როგორც ფუტურისტობის დროს, ღრიალებს, რომ „გვეყოფა ადამ და ევას კანონებით ცხოვრება“, რომ „დროა პუშკინი მოვისროლოთ თანამედროვეობის ხომალდიდან“, შემდეგ კი მე შემომიტია და, მტკიცედ თქვა, რომელიღაც საჯარო თავყრილობაზე (როგორც წერს ე. დ. კუსკოვა შარშან „ნოვოე რუსსკოე სლოვოში“ დაბეჭდილ თავის სტატიებში „მანამდე და შემდეგ“ ჩემს ავტობიოგრაფიულ შენიშვნებთან დაკავშირებით):

„ხელოვნება პროლეტარიატისთვის სათამაშო კი არა, იარაღია. ძირს „ბუნინოვშჩინა“ და გაუმარჯოს მოწინავე მუშათა წრეებს!“

სახელდობრ, რა სჭირდებოდა „იარაღად“ ამ წრეებს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ლენინს მისი რკპ-თურთ, იმ ერთადერთი პარტიითურთ, რომლითაც მან შეცვალა ყველა სხვა „პარტიული ორგანიზაციები“? სჭირდებოდა „მატერიალისტურად მოაზროვნე, მატერიალისტური გრძნობებით გამსჭვალულ ადამიანთა ფაბრიკაცია“, ამ ფაბრიკაციისთვის კი საჭირო იყო ის, რაც ლენინისა და მისი თანამებრძოლებისთვის ყველაზე უფრო სანუკვარი რამ გახლდათ, აღგვა პირისაგან მიწისა და ლაფში ამოთხვრა ყველაფრისა, რაც წარსულში იყო, ყველაფრისა, რაც ამ წარსულში მშვენივრად ითვლებოდა, გაღვივებინა შეჩვენებული ღვთის გმობა; — ლენინს რელიგია პათოლოგიურად სძულდა, — და ყველაზე უფრო მხეცური კლასობრივი სიძულვილით, ისწრაფვოდა ყოველგვარ ზღვარს გადაცდენილად, უშვერად, ბილწად ედიდებინათ თავიანთი თავი და რკპ; განუწყვეტლად, სულმოუთქმელად ემღერათ „ბელადებისთვის“, მათი ჯალათებისთვის, მათი ოპრიჩნიკებისთვის,— ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რის განმადიდებლადაც ძნელად თუ მოინახებოდა მაიაკოვსკიზე უფრო შესაფერისი მომღერალი „პოეტი“, მასზე უფრო ბოროტი, უსირცხვილო, კატორღულ-უგულო ბუნების არსება, ასეთი სამოლდნოდ მოღრიალე, ვისი ასეთი საფორნე ცხენის პოეტურობითა და უხამსი უნიჭობით აღბეჭდილი, უხეირო ლექსებიც კი, რომლებსაც ის რაღაც ახალი ყაიდის ლექსებად ასაღებდა, და რომლებითაც სურდა გამოეხატა ყველაფერი, რისი ესოდენი მიმდევარიც იყო, მთელი თავისი ცრუ აღტაცებები რკპ-თი და მისი მოთავეებით. ვითომ შმაგ კომუნისტად ქცეულმა მაიაკოვსკიმ მხოლოდ გააძლიერა და უკიდურესად განავითარა ყველაფერი ის, რითიც ფუტურისტობისას იხვეჭდა სახელს, ისევ ისე აცბუნებდა საზოგადოებას უხეშობითა და ყოველგვარი სისაძაგლისკენ მიდრეკილებით, ის ვარსკვლავებს „პატარა ნაფურთხებს“ ეძახდა, როცა ოღროჩოღრო უხეირო ლექსებში კავკასიაში თავის მოგზაურობას აღწერდა, იუწყებოდა, რომ ჯერ თერგში ჩააფურთხა, ხოლო შემდეგ არაგვში: მას უყვარდა პატარა ნაფურთხებზე უფრო საძაგელი სიტყვები, — სწერდა, ვთქვათ, ესენინს, რომ მისი, ესენინის, სახელი საზოგადოებამ გააწვინტლიანა. და ამერიკასაც, სადაც ის შემდეგში ჩავიდა, ამგვარადვე დასცინოდა:

Мамаша
Грудь
Ребенку дала.
Ребенок,
С коплями на носу
Сосет
Как будто
Не грудь, а доллар —
Занят серьезным
бизнесом.

მას უყვარდა სიტყვა „ნარწყევი“, ასე წერდა (ეტყობა, თავის თავზე):

Бумги
Гладь
Облевывает
Пером
Концом губы поэт,
Как блядь рублевая.

მსგავსად გორკისა, რომელსაც თითქოს საშინლად სძულდა ოქრო, — გორკიმ ნიუ-იორკს ჯერ კიდევ მრავალი წლის წინათ, უწოდა გამძვინვარებით „ყვითელი ეშმაკის ქალაქი“, ანუ ოქროს ქალაქი, — მაიაკოვსკისაც, ისევე, როგორც რკპ-ს ყველა მუქთამჭამელს შეჰფერის, უნდა სძულებოდა ოქრო და ამიტომ წერდა:

Пока
Доллар
Всех поэм родовей,
Лапя,
Хапая,
Выступает,
Порфиру надев, Бродвей:
Капитал —
Его препохабне!

გორკი ამერიკას ეწვია 1906 წელს, მაიაკოვსკი — ოცი წლის შემდეგ — და ეს ამერიკელებისთვის საშინელი რამ იყო: ამის თაობაზე, ამასწინათ წავიკითხე მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტაში“, საბჭოთა მწერლების კავშირის საპატიო ორგანოში, იქ ვინმე ატაროვის სტატიაში ნათქვამია, რომ მას მაგიდაზე უდევს მაიაკოვსკის ამერიკაზე დაწერილი პროზისა და ლექსების „გასაოცარი, ჭეშმარიტად დიდებული წიგნი“, რომ ეს წიგნი „ნიუ-იორკში მაიაკოვსკის ყოფნის ნაყოფია“ და იქ მისი ჩასვლის შემდეგ „ბიზნესის ამერიკელ ოსტატებს სერიოზული მიზეზები ჰქონდათ შეშფოთებისთვის: მათ ქვეყანაში ჩავიდა რევოლუციის დიდი პოეტი!“

იგი ისეთივე ძალით, როგორითაც დააშინა და ამხილა ამერიკა, უმღეროდა რკპ-ს:

Мы
Не с мордой, опущенной
вниз,
Мы — в новом, грядущем
быту,
Помноженном на
электричество
И коммунизм...
Поэтом не быть мне бы,
Если б
Не это пел.
В звездах пятиконечных
небо
Безмерного свода РКП.

რა ხდებოდა ამ ცის ქვეშ, ამ უხეირო ლექსთა თხზვის დროს? ამაზე საბჭოთა გაზეთებშიც კი შეიძლებოდა ზოგი რამის წაკითხვა:

„8 ივნისს ოდესის ქუჩებში აკრეფილია შიმშილით მკვდარი 142 ადამიანის გვამი, 5 ივლისს — 187. მოქალაქენო! ჩაეწერეთ გვამთა აკრეფის შრომით არტელებში!“

„სამარასთან კაციჭამიობის მსხვერპლად იქცა სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი კრილოვი,* პროფესიით ექიმი: ის სოფელში გაიძახეს ავადმყოფებთან, მაგრამ გზაში მოკლეს და შეჭამეს“.

იმავე ხანს ეგრეთ წოდებული „სრულიად რუსეთის მამასახლისი“ კალინინი ეწვია სამხრეთ რუსეთს და სავსებით გულწრფელად დაადასტურა:

„აქ ერთნი შიმშილით იხოცებიან, სხვები მათ მარხავენ და ისწრაფვიან დახოცილთა გვამების რბილი ნაწილები, საჭმელად გამოიყენონ“.

მაგრამ ყველაფერი ეს რაში ენაღვლებოდა მაიაკოვსკებს, დემიანებს და ბევრ, ბევრ სხვა „პირგამოტენილს“, რომლებსაც აბრეშუმის თეთრეული ეცვათ, უწინდელ მოსკოველ მილიონერთა ყველაზე სახელგანთქმულ „მოსკოვის ახლო“ ცალკე სახლებში ცხოვრობდნენ! ვლადიმირ მაიაკოვსკის, აბა რაში ეხებოდა ყველაფერი ეს, რაც რკპ-ს ცის ქვეშ ხდებოდა? ამ ცის გარდა რომელი სხვა ცის ნახვა შეეძლო მას? განა არ თქმულა, რომ «свинье неба вовеки не видать?“ რკპ-ს ცის ქვეშ, ლენინის გამეფების პირველ წლებში, მუხლამდე სისხლში ტოპავდა „რევოლუციური ხალხი“, ხოლო შემდეგ სისხლის ღვრას ხელი მოჰკიდეს ფელიქს ედმუნდოვიჩ ძერჟინსკიმ და მისმა თანამებრძოლებმა. და, აი, ვლადიმირ მაიაკოვსკიმ იმ წლებში ყველაზე პირწავარდნილ საბჭოელ არამზადებსა და ნამუსგარეცხილებსაც კი გადაამეტა:

Юноше обдумывающему
житье,
Решающему —
Сделать бы жизнь с кого
Скажу, не задумываясь:
Делай ее
С товарища Дзержинского!

„როცა რუს ჭაბუკებს მოუწოდებდა, რომ ჯალათები გამხდარიყვნენ, იგი მათ შეახსენებდა ძერჟინსკის — ათასობით და ათიათასობით სიცოცხლის მომსპობი ამ მტარვალის მიერ თავის თავზე ნათქვამ პირწმინდად ნაბოდვარ სიტყვებს:

„ვისაც სიცოცხლე ჩემსავით ძალიან უყვარს, ის თავის სიცოცხლეს სხვების სიცოცხლისთვის გასწირავს“.

ხოლო ამგვარ მოწოდებებთან ერთად მაიაკოვსკი არც თვით რკპ-ს შემოქმედთა პირადად ხოტბის შესხმას ივიწყებდა:

Партия и Ленин
Кто более
Матери историн ценен?
Я хочу,
Чтоб к штыку
Приравняли перо.
С чугуном чтоб
И с выделкой стали
О работе стихов
От Политбюро
Чтобы делал доклады
Сталин.

და ამ მისი, როგორც დიდი პოეტის, სახელი უფრო და უფრო იზრდება და იზრდება, მისი პოეტური თხზულებები „კრემლიდან პირადი ბრძანებით უზარმაზარ ტირაჟებად“ იბეჭდება, ჟურნალებში მას ყოველ, თუნდაც ერთსიტყვიან სტრიქონში უმაღლეს ჰონორარებს უხდიან, ის წარამარა დადის „საზიზღარ“ კაპიტალისტურ ქვეყნებში, იყო ამერიკაში, რამდენჯერმე ეწვია პარიზს და ყოველთვის საკმაოდ დიდხანს იმყოფებოდა იქ, საუკეთესო პარიზულ ატელიებში უკვეთავდა თეთრეულსა და კოსტიუმებს, ყველაზე კაპიტალისტუ-

---

*პეტრე პეტრეს ძე კრილოვი, დაიბადა 1859 წ. სამარის საგუბერნიო საავადმყოფოს ორდინატორი. 1904-1905 წ.წ. ომის მოხალისე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი რესტორნების ხშირი სტუმარიც იყო, და მაინც „იფურთხებოდა“ პარიზშიც, — გამძლარი, მოყირჭებული უხამსის გულზიზღიანობით აცხადებდა:

Я не люблю
Парижскую любовь —
Любую самочку
Шелками разукрасьте,
Потягиваясь, задремлю,
Сказав «тубо»
Собакам озверевшей
страсти:

„დიდ პოეტად“ ის ყველაზე ადრე, მგონი, გორკიმ მონათლა: მუსტამიაკის აგარაკზე მიიწვია, რათა იქ ვიწრო, მაგრამ ფრიად რჩეული საზოგადოებისთვის წაეკითხა პოემა „ფლეიტა-ხერხემალი“ და როცა მაიაკოვსკიმ კითხვა დაამთავრა, გორკიმ თვალცრემლიანმა ჩამოართვა ხელი:

— აფერუმ, ძლიერი რამეა, ...თქვენ დიდი პოეტი ხართ!

სულ რამდენიმე წლის წინათ კი ნიუ-იორკში გამომავალ ჟურნალ „ნოვოხელიეში“ წავიკითხე უკვე ფრიად მნიშვნელოვანი რამ:

„რუსული და მსოფლიო ლიტერატურიდან მაიაკოვსკის ამოშლისთვის ტყუილუბრალო გაჭაჭვა უკანასკნელმა წლებმა შორეულ არქივულ წარსულში გადაისროლა“.

ახე იწყება „ნოვოხელიეში“ დაბეჭდილი პატარა სტატია რომან იაკობსონისა, — ძალზე თვალსაჩინო სლავისტისა, რომელიც დიდადაა ცნობილი „იგორის ლაშქრობის ამბავისადმი“ მიძღვნილი გამოკვლევებით, — ის, წარმოშობით რუსი, რომელიც ერთ დროს მაიაკოვსკისთან ერთად სწავლობდა მოსკოვის გიმნაზიაში, პროფესორი იყო ჯერ პრაღაში, შემდეგ — ნიუიორკში და ბოლოს კათედრა ჩაიბარა ამერიკაში საუკეთესო ჰარვარდის უნივერსიტეტში.

არ ვიცი, ვინ „იჭაჭებოდა“ მაიაკოვსკისთვის დიდების შარავანდედის მოხაცილებლად, — ვგონებ, არავინ. და საერთოდ, რომან იაკობსონი ტყუილუბრალოდ წუხს: მსოფლიო ლიტერატურაზე საუბრით მან ცოტათი გადაამლაშა, მაიაკოვსკის ქმნილებებმა საეჭვოა „იგორის ლაშქრობის ამბავის“ გვერდით დაიჭირონ ადგილი, მაგრამ რუსული ლიტერატურის მომავალ, თავისუფალ ისტორიაში მაიაკოვსკი, უეჭველად ღირსეულად იქნება მოხსენიებული.

თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ**

# დაჭრილი მოთხრობები

აკაკი ვასაძე

„იხსენით ჩვენი სულები“



ლიტერატურის მოყვარულები იცნობენ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკაკი ვასაძის სტატიებსა და მონოგრაფიებს ლიტერატურის საკითხებზე, წაუკითხავთ მისი პუბლიცისტური წერილები, ლექსები... ახლახანს კი მან მკითხველებს შესთავაზა მოთხრობების კრებული.

„იხსენით ჩვენი სულები“ — ასე ეწოდება აკაკი ვასაძის ამ წიგნს, რომელიც დასტამბა გამომცემლობა „მერანმა“.

ავტორის თქმით, კრებულში შესული ოთხივე მოთხრობა 20-30 წლის წინათ დაუწერია. ორი მათგანი თავის დროზე ვერ დაუბეჭდავს, ორიც — „შეკრეჭილი“ გამოუქვეყნებია. ამის მიზეზი ყოფილა მოთხრობებში გამოვლენილი 60-იანი წლების „ორთოდოქსული“ ცენზურისათვის მიუღებელი სულისკვეთება და მსოფლმხედველობა. როგორც თავად ავტორი აღიარებს, დღეს „მიუღებლად“ აღარ აღიქმება ამ ნაწარმოებებში გამოვლენილი განცდითი თუ აზრობრივი შინაარსები, მაგრამ თავის დროზე მათში დიდ „საშიშროებას“ — ევროპეიზებულ განწყობილებებსა და სტილს ხედავდნენ.

სიტყვა საშიშროება ბრჭყალებში ჩავსვი ირონიული აქცენტის გასამახვილებლად, მაგრამ იმ დროში ირონია რა მოსატანი იყო. ევროპეიზებული განწყობილება აღიქმებოდა როგორც დაპირისპირება გაბატონებული იდეოლოგიის მიმართ.

ამის გამო არ დაუბეჭდეს აკაკი ვასაძეს მოთხრობა „ლამურა“. რა იკითხება მასში? — პერსონაჟის სულიერი ცხოვრების დრამატიზმი, უხმო, შინაგანი ჭიდილი ადამიანური ყოფის დაუნდობელ რეალობასთან, ეთიკური შეგნების სიმძაფრე და გაუცხოებული გარემოდან გაქცევის ამაო ცდა.

ამ მოთხრობის გმირის გიოს ტრაგედია ისიცაა, რომ იგი გრძნობს თავის თავში რწმენის უქონლობას, მაგრამ არ შეუძლია სიცარიელის შევსება — რწმენით ალჭურვა, ვინაიდან ამის საშუალებას არც ნებისყოფა აძლევს და არც — გარემომცველი სამყარო.

სათაურის სიმბოლიკაც აქეთ მიანიშნებს — თვითგარდასახვა შეუძლებელია, ვინაიდან ეს აქტი გარკვეულწილად თვითუარყოფასაც გულისხმობს. მოთხრობის ფინალში გიო საკუთარ სურათს ამსხვრევს — ესეც ნიშანი მისი შინაგანი ბრძოლის ტრაგიკული დასასრულისა.

„შატილის აკლდამებში“. ეს მოთხრობაც აღნიშნულ თემას ეხება: სიცარიელის, სიყვარულის ნიჭის დაკარგვის, გამოფიტვის განცდა და ამაო გაბრძოლება.

ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ბასილი გიოს მსგავსად სულიერ თავისუფლებას ესწრაფვის, მაგრამ მის წინაშე კედელივით აღმართულა სიცივითა და უგულობით დასნეულებული გარემო, რომლის გადალახვა მხოლოდ თვითშეწირვის ფასად შეიძლება. თუმცა, ამ მოთხრობაში ადამიანის სულიერი კრიზისი ზოგად-სარწმუნოებრივ პლანშია დანახული, მინიშნებულია, რომ ის ყოფა, რომელშიც პერსონაჟები ცხოვრობენ, დიდი, გლობალური ცდუნების, ღვთის რწმენის გაქრობის შედეგია.

ბასილი მხატვარია და ამდენად ორმაგად განიცდის ანტიჰუმანური სისტემის დაწოლას — როგორც ადამიანი და როგორც ხელოვანი. შეჭირვების ჟამს დღიურში ჩაწერს: „არა, შეუძლებელია აქ ხელოვანმა ადამიანივით იარსებოს. ყველა მომწყვდეულია სახელმწიფო დაკვეთის და ალკვეთის მარწუხებში. ლოთი რომ ლოთია, ჩვენში მასაც სახელმწიფო დამალი ადევს. საბჭოთა ლოთიც განსაკუთრებულია. ის თავისი სუბიექტურობიდან კი არა, სახელმწიფო პირობებიდან გამომდინარე ლოთობს: ლოთობა როგორც პროტესტი და არა ბახუსით ტკბობა!

ოფიციოზისგან განმდგარი ხელოვანიც სიტუაციურად ლოთივითაა. სახელმწიფოებრივი დამალი „განმდგარსაც“ არ სცილდება. დამალიანი ხდება თვით პროტესტი, რომელიც თანდათან მაზოხიზმის თვისებას იძენს, რადგან ისაკუთრებს ტკბობასაც — უსათუოდ სფეროს „წმინდად მხატვრულით ტკბობისა“. ხოლო ხელოვანში წმინდად მხატვრულით ტკბობა თუ კლებულობს — იკლებს ხელოვნებაც. ამიტომ განმდგარიც ძნელად თუ მკვიდრდება ხელოვანის ჭეშმარიტ სახეში. ჰა, მაინც ემწყვდევა მახეში! პროტესტის პრიმატი პოლიტიკაა, სახელმწიფოებრივის ნიშანი! შედეგი — ტყდომა. რადგან ჩვენს პირობებში, რომც სცადო, ვინ დაგაყენებს შენს ნებაზედ უარმყოფელს? და თუ ზურგზე ოჯახის ტვირთიც აგიკიდია — ეს ხომ სულ მთლად სახაცილოა?! გაძლება არ გინდა?!“

ეს სიტყვები ამოშლილია 1971 წლის პუბლიკაციაში...

როგორც ითქვა, სულიერად დასნეულებული საზოგადოების განკურნების გზად ავტორს თვითუარყოფა, თვითშეწირვა მიაჩნია. მოთხრობის ეს იდეა შატილის აკლდამებთან დაკავშირებული ტრაგიკული ამბის ფონზეა გაშლილი: ჟამიანობის დროს სნეული თავისი ფეხით მიდიოდა აკლდამაში, თავს ცოცხლად იმარხავდა, რათა სოფელი ჭირისაგან გაეთავისუფლებინა. ამ ტრაგიკული, და ამავე დროს, მაღალადამიანური ქმედების აქცენტირებით ავტორი ხატოვნად გვიდასტურებს, რაოდენ ძნელია საზოგადოების განკურნება სულიერი ჭირისგან.

ამავე საკითხის რკალშია მოქცეული მოთხრობა „იხსენით ჩვენი სულები“, რომელიც მარინისტულ თემაზეა აგებული. სხვათა შორის, ეს თემა შემთხვევით არ შემოსულა აკაკი ვასაძის თვალსაწიერში. მწერალი სამოციანი წლების დასაწყისში თითქმის წელიწადის განმავლობაში მსახურობდა საოკეანო ტრაულერზე.

მეოთხე მოთხრობა „აბუჩა“ არის ცდა ქართველი კაცის ტოლერანტობის შინაგანი იმპულსების ახსნისა. ავტორი გვიჩვენებს, რომ შემწყნარებლობა სხვა ერის წარმომადგენელთა მიმართ ქართული ეთნოკულტურის ის ორგანული თვისებაა, რაც არა თუ სტუმარს, ზოგჯერ ჩვენც კი გვაკვირვებს ხოლმე.

საგულისხმოა მოთხრობაში წარმოდგენილი იდეის ანტითეზაც — სტუმარი: რუსეთის ტრამალებიდან შემოხვეწილი გლახა. მასპინძელი: სვანეთის გოროზი მთის სოფელი.

დაბოლოს, ითქვას ერთიც. აკაკი ვასაძის ეს მოთხრობები დღევანდელი თვალსაწიერიდან ყველაზე უფრო იმითაა საინტერესო, რომ სოციალისტური საზოგადოების სიმახინჯეს გვიჩვენებს „შიგნიდან“. აქ არ შეიმჩნევა და, ცხადია, არც შეიძლება შეიმჩნეოდეს დისტანცია ავტორსა და აღწერილ სინამდვილეს შორის. სოციალისტური ავტორიტარიზმის იმდროინდელ ეპოქას უკვე რაღაც მანძილი გვაშორებს და ამდენად ჩვენი დამოკიდებულება ამ დროისადმი დისტანციურია, მას ვუყურებთ როგორც კრიტიკის საგანს. დღევანდელი „დისტანციური კრიტიკით“ დაღლილ თვალს საინტერესო სიახლედ მოეჩვენება იმ ეპოქაში გამოთქმული პროტესტი ჩვენთვის კარგად ნაცნობი რეჟიმის წინააღმდეგ.

**ივანე ამირხანაშვილი**

# ამერიკული ჟურნალის ფურცლებზე




ამერიკული აკადემიის ჟურნალი „დედალუსი“ (რედაქტორი სტივენ რ. გრაუბარდი) წამყვან ამერიკულ ინტელექტუალურ გამოცემათა შორის ერთ-ერთი პირველია. იგი სამ ათეულ წელზე მეტია რაც გამოდის. 1990 წლის „დედალუსის“ ორი გამოცემა ამერიკისა და იაპონიის წიგნის სამყაროს (1926-1989 წლები) ეძღვნება. 1990 წლის სხვა გამოცემები — პოლიტიკას, ხელოვნებას, რელიგიას. ამავე წლის „დედალუსის“ ერთ-ერთ გამოცემაში — „აღმოსავლეთი ევროპა... ცენტრალური ევროპა... ევროპა,“ დაბეჭდილია: ჯორჯ შოპფლინის „იმედსა და სასოწარკვეთას შორის“, ჯოზეფ სკვორეცკის „სულის ბოჰემია“, ივო ბენეკის „პოლიტიკური ცვლილებები და ეროვნული სიჰრელე“, ელმერ ჰენკისის „პარადიგმას ძიებაში“, იანოშ მატიას კოვაქსის „ეკონომიკური რეფორმები: კლასიფიკაციის რღვევა“ (სტატია „სტალინის მავზოლეუმისკენ“ იწყება სიტყვებით: „ყველაზე საშიში დრო ცუდი სახელმწიფოსთვის ისაა, როცა იგი თვითონვე იწყებს რეფორმას“ (ალექსის დე ტოკვილი).

„სამ ათეულ წელზე მეტია „დედალუსი“ გამოდის და ამ ხნის მანძილზე ყველაზე რთული „აღმოსავლეთი ევროპა:.. ცენტრალური ევროპა... ევროპა“ აღმოჩნდა“, ვკითხულობთ შესავალში. „მიზეზი თავისთავადია. იგი დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ 1989 წელი ექსტრაორდინარული ამბების, მომენტებისა და გაუთვალისწინებელი მოვლენების წელი იყო... ორი მსოფლიო ომის შემდეგ.

ახლა ჩვენი გაგება ჰუმარობის შესახებ მხოლოდ ჰუმანური კი არ გახდა, ერთსა და იმავე დროს დეჰუმანიზაციაც განიცადა. ჩვენს დროში ევროპულ ბარბაროსებზე ლაპარაკმაც შეიძინა აზრი და იგი ევროპულ ცივილიზაციაზე ლაპარაკის ტოლფასი გახდა“.

კრებულში არის ენრსტ ჯელნერის წერილი ეთნოსისა და რწმენის შესახებ აღმოსავლეთ ევროპაში. „დღეს საბჭოთა კავშირში მოგზაურობა, თანაც ისეთი სხვადასხვა მხარეების ნახვა, როგორიცაა ბელორუსია, საქართველო, ესტონეთი, ნიშნავს გაიგო ტრადიციის ძალა, ძვალ-რბილში გამჯდარი ჩვევები, რელიგიური რწმენა, რაც ხშირად ეროვნული გრძნობის გამოხატვას ერწყმის“, ამბობს ავტორი. „ბელორუსიის შემდეგ რამდენიმე ხანი დავყავი საქართველოს მთიან მხარეში, კავკასიონის ძირში. ბელორუსი მწყემსები ნამდვილად სტუმართმოყვარენი იყვნენ, ქართველები მარტო სტუმართმოყვარენი კი არ არიან, მათი სტუმართმოყვარეობა ცხოვრებისა და რელიგიის წესია. ერთი ქართული სადღეგრძელო დაახლოებით ასეთია: ის დრო ნურასოდეს დაგვდგომოდეს, რომ ქართველ კაცს სურვილი არა ჰქონდეს ვალში ჩაიგდო თავი, რათა უცხო სტუმარს კარგად დახვდესო. ქართველები სადღეგრძელოების გარეშე არ სვამენ სასმელს. ვინმეს ან რაიმეს სადღეგრძელოს იტყვიან და მერე დალევენ. კარგა დიდხანსაც სვამენ და არც სადღეგრძელოები იციან მოკლე. ეს სადღეგრძელოები არც ისე მარტივია და მეტადრე თუ დახელოვნებული თამადა წარმოთქვამს, ხელოვნებასაც უტოლდება; მათი არტისტიზმი უფრო აშკარა და საგრძნობია და უფრო თვალშისაცემი ტრაპეზის დასაწყისში, როცა მთქმელიც და მსმელიც ჯერ კიდევ ფხიზელია, მერე და მერე სადღეგრძელოები უფრო გრძელლია, ხანდახან კიდეც მეორდება, და როგორც ერთმა ნიუ-იორკელმა ფსიქოანალიტიკოსმა აღმოაჩინა — ვიღა უსმენს?

...საქართველო რუსეთს მე-19 საუკუნის დასაწყისში შეუერთდა. მანამდე მისი დედაქალაქი სპარსელთა შემოსევამ ააოხრა და ქართველებმა, რომლებსაც დიდი ხნის მანძილზე ხან სპარსი შიიტებისა და ხანაც თურქი სუნიტებისაგან მოსვენება არ ჰქონდათ, არჩიეს ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსები.

ქართველები შემწყნარებელი ხალხია. ისინი გულთბილად იღებენ და კარგად ექცევიან უმცირესობებს მანამდე, სანამ ამ უკანასკნელთ პრეტენზია არ გაუჩნდებათ, რომ საკუთარ მიწად მიიჩნიონ ის ადგილი, სადაც დაასახლეს, და საქართველოდან გამოყოფას მოინდომებენ. ერთმა ქართველმა შენიშნა: „ახლა ოსები აიღე, აქ ისინი იმიტომ არიან კავკასიის სამხრეთ, ქართულ ფერდობზე, რომ მე-19 საუკუნეში ჩვენმა დიდგვაროვნებმა ჩრდილოეთიდან, იმიერკავკასიიდან, ჩამოიყვანეს, რადგან მუშახელი აკლდათ. ჩამოიყვანეს, რომ მწყემსებად ემუშავათ. მაგრამ ხომ იცით როგორც ხდება — იმათ თავიანთი ბიძაშვილები ჩამოიყვანეს, დასახლდნენ აქ და მიიჩნიეს, რომ ეს სამხრეთ ოსეთია, მათი საკუთრებაა, და უნდათ მისი გამოყოფა საქართველოდან, რათა ჩრდილო ოსეთს შეუერთონ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან უფრო მეტი კულტურული თავისუფლება აქვთ, ვიდრე რუსეთთან — ჩრდილო ოსეთი ხომ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ავტონომიური ოლქია“.

...ჩვენს ავტობუსს გასაშტერებლად მომხიბვლელი სამხრეთ ოსეთი უნდა გადაეჭრა გზაზე. აქ რაღაც ნერვიული დაძაბულობა იგრძნობოდა, იმ შემთხვევის გამო, რომ თბილისიდან მომავალ ავტოტრანსპორტს ქვები დაუშინეს ოსეთში. ასე თუ ისე, ერთადერთი რამ, რაც ჩვენ ოსებმა გაგვიკეთეს, იყო ის, რომ რამდენიმე სიმინდის ტარო მოგვყიდეს. ქართველმა კი, საქართველოში, როგორც წესი, სიმინდის ტარო უფასოდ მომაწოდა, როგორც კი ჩემი უცხოელობა შენიშნა.

მაგრამ შემწყნარებლობა და გულუხვი მასპინძლობა იქით იყოს და უმცირესობები კვლავ უმთავრეს პრობლემად რჩება ქართველი ერისთვის. საქართველო, როგორც გეოგრაფიული და ისტორიული მთლიანობა, კავკასიონიდან ანატოლიამდეა, მაგრამ ამ მთლიანობაში საკმაოდ დიდი ნაწილი ტერიტორიებისა უმცირესობებითაა დასახლებული.

...არის სხვაობა ბალტიისპირელთა და კავკასიელთა მიმართებაში რუსების მიმართ. 1989 წლის 9 აპრილის სიმწარის მერე, სასაკლაო რომ გაიმართა თბილისის მთავარ ქუჩაზე, ქართველებისთვის უკვე წაიშალა ეს მიმართება, ისე კი ქართველებს ეამაყებათ რომ პუშკინის ერთ-ერთი მასპინძელი ქართველი ქალბატონი იყო სანკტ-პეტერბურგში; რომ როსტოვების ოჯახი ტოლსტოის რომანში ერთ-ერთ ქართულ ოჯახზეა დაფუძნებული. ესტონეთში რუსული კულტურის მიმართ გულგრილნი არიან. თუ ქართველებს ბაგრატიონი ჰყავდათ ბოროდინოზე, ესტონელებს ორი კეთილშობილი მაინც ჰყავდათ იქ, მაგრამ ამას არაფრად დაგიდევენ. აქ ძნელია სტუდენტების დაინტერესება რუსული ლიტერატურით, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ლიტერატურის კათედრა ტარტუში, პროფესორ ლოტმანის ხელმძღვანელობით, თვალსაჩინო და უძლიერესია მსოფლიოში“.

# ნატალია ჩხეიძე



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მთარგმნელი ნატალია ნიკოლოზის (კარლოს) ასული ჩხეიძე.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი, ამაგდარი შემოქმედი, რომელმაც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ქართული მწერლობის სამსახურს, მის პროპაგანდასა და პოპულარიზაციას მოახმარა.

ნატალია ჩხეიძე დაიბადა 1900 წლის 5 აგვისტოს, ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთში, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის კარლო ჩხეიძის ოჯახში. საშუალო განათლება პეტერბურგში მიიღო, სადაც 1917 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა „პრეობრაჟენსკის ახალი სკოლა". 1922 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1927 წელს დაამთავრა. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ნატალია ჩხეიძე მუშაობდა ბიბლიოგრაფად ჯერ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში, შემდეგ კი მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ბიბლიოთეკაში და ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში.

1941 წელს იგი თბილისში დაბრუნდა და მთლიანად ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი.

სამწერლო სარბიელზე ნატალია ჩხეიძე 1929 წელს გამოვიდა, როდესაც მისი პირველი თარგმანები გამოქვეყნდა ჟურნალში „აღმოსავლეთის საზღვართან".

მას შემდეგ ნატალია ჩხეიძე თითქმის ექვსი ათეული წლის მანძილზე გულალალად ემსახურებოდა ყველა ჩვენთაგანისათვის წმიდათაწმიდა საუნჯის — ქართული მწერლობის პროპაგანდასა და პოპულარიზაციას და შესანიშნავი თარგმანებით აცნობდა რუსულენოვან მკითხველს ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

ნატალია ჩხეიძემ დიდი სიყვარულითა და რუდუნებით თარგმნა რუსულად დავით კლდიაშვილის, შიო არაგვისპირელის, გალაკტიონ ტაბიძის, შალვა დადიანის, დემნა შენგელაიას, სერგო კლდიაშვილის, პოლიკარპე კაკაბაძის, კარლო კალაძის, სიმონ ჩიქოვანის, იოსებ გრიშაშვილის და სხვათა ნაწარმოებები.

განსაკუთრებით სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ჯერ კიდევ 1935 წელს, როდესაც ქართული ლიტერატურის ფართო ასპარეზზე გატანა ის-ის იყო იწყებოდა, დემნა შენგელაიას რომანის „ბათა ქექიას" ნატალია ჩხეიძისეული თარგმანი პრემიით აღინიშნა მოსკოვში გამართულ საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებიდან თარგმნილი ნაწარმოებების კონკურსზე.

პროფესიონალიზმი, ბრწყინვალე ცოდნა როგორც რუსული, ისე ქართული ენების, სათარგმნი მასალის უფაქიზეს ნიუანსებში წვდომა გამოარჩევს ნატალია ჩხეიძის თარგმანებს. ამიტომაცაა, რომ მათ შენარჩუნებული აქვთ ორიგინალის ჟღერადობა, ამიტომაცაა, რომ არაქართველ მკითხველს სრულად აგრძნობინებენ ქართული პროზის მადლს.

ნატალია ჩხეიძის საინტერესო წერილები და სტატიები ლიტერატურის თეორიაზე, მუსიკაზე, ბალეტზე მისი მრავალმხრივი ინტერესების ნათელ დადასტურებას წარმოადგენს.

იგი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. წლების მანძილზე არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციის ბიუროს წევრად და მთელ ენერგიას ახალგაზრდა მთარგმნელთა წარმოჩინებას ახმარდა, აქტიურად მონაწილეობდა მხატვრული თარგმანის საკითხებზე გამართულ ყველა რესპუბლიკურ, რეგიონალურ და საკავშირო თათბირებში. დაჯილდოებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ ნატო ჩხეიძე, მრავალპირნახადი შემოქმედი, დახვეწილი ინტელიგენტი, ღირსეული შვილი თავის ერისა.

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.**

# ვემშვიდობებით ქვირფას მეგობარს



გარდაიცვალა ცნობილი სომეხი მწერალი-პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ქართული კულტურის, ქართული მწერლობის ერთგული მეგობარი **არტაშეს ქალანთარიანი.**

ა. ქალანთარიანი სამწერლო ასპარეზზე ნარკვევებითა და ფელეტონებით გამოვიდა. მის მახვილ თვალს იმთავითვე არ ეპარებოდა შეუმჩნეველი და აღუნუსხველი საზოგადოებრივი მანკიერებანი, ის დაუნდობლად ამათრახებდა მომხვეჭელებს, კარიერისტებს, ბიუროკრატებს.

სომხეთში (და არა მარტო სომხეთში) კარგადაა ცნობილი ა. ქალანთარიანის წიგნები „ფერადი სიზმრები", „სინდისის ღამეული სტუმრები", „მოთხრობები", „მსოფლიოს გზებზე". განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა მას რომანმა „მარათონმა", რომელიც მისი საყვარელი ერის — ქართველთა ენაზეცაა თარგმნილი (1985 წ.). ქართულადაა თარგმნილი, აგრეთვე, ა. ქალანთარიანის კომედია „ზარი ზემოდან", რომელიც წარმატებით დაიდგა რამდენიმე ქართულ სახელმწიფო თეატრში. ახევე გამოქვეყნდა სომეხ-ქართველთა გულითადი მეგობრობის ამსახველი მისი დოკუმენტური მოთხრობა „გამარჯობა, ძმაო", რომლის მიხედვითაც საქართველოს ტელევიზიამ საყურადღებო სპექტაკლიც წარმოადგინა.

ა. ქალანთარიანი ინტენსიურად თარგმნიდა ქართველ მწერალთა— განსაკუთრებით ნოდარ დუმბაძის — პროზაულ და დრამატულ ნაწარმოებებს. მას ქართველ მეგობრებთან ერთად, როგორც იტყვიან, ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს ამერ-იმერი, მთა და ბარი, ზედმიწევნით იცნობდა ჩვენს ისტორიას, არქიტექტურას, სახვით ხელოვნებას, თეატრსა და კინოს და მათი გულმხურვალე აგიტატორი იყო სომხეთში თუ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სადაც ხშირი და საინტერესო შეხვედრები ჰქონდა თავის თანამემამულეებთან და სხვებთანაც.

ჩვენი ხალხის ჭეშმარიტი მეგობრის, შესანიშნავი მწერლისა და მოქალაქის არტაშეს ქალანთარიანის ნათელი ხსოვნა იცოცხლებს ჩვენს გულებში.

**ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჭილაძე, რევაზ ჭეიშვილი, ზურაბ ჩილაჩავა, ჯუმბერ თითმერია.**

(დასასრული)

გიებს" ვამთავრებ ერთი ადგილის მოყვანით წერილიდან: „არ არის გამორიცხული, რომ „მარჩენალი" სახლში თეთრის (ვერცხლის) მომტანი პირია, ხოლო „მარჩიელი" ვერცხლის ფულზე მკითხავი, ანდა ვერცხლით გასამრჯელოს მიმღები მჩხიბავია".

ჩვენ ვფიქრობთ, ბ-ნ. რ. შენგელიას წერილში ერთადერთი რაციონალური მარცვალი ის არის, რომ იგი მხურვალედ უჭერს მხარს ქართული ფულის ერთეულად „მარჩილის" აღდგენას. წინააღმდეგი არც ჩვენა ვართ. მაგრამ „მარჩილი" რომ თითქოს ქართული იყოს, ამის მტკიცება ნამდვილად წყლის ნაყვაა. კრიტიკა, რაგინდ სამართლიანი იყოს, უმადური საქმეა, ყოველ შემთხვევაში ადრესატები ასე ფიქრობენ. ამიტომ თავს ნებას ვაძლევთ ის კრიტიკული წერილი პოზიტიური გაგრძელებით დავამთავროთ და „მარჩილის", „კერმის" თუ „ქართის" გვერდით ხვალინდელი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ფულის ძირითადი ასათვლელი ერთეულის სავარაუდო სახილწოდებად ორი სახელი შევთავაზო საზოგადოებას: მანეთის საწყისი ასათვლელი (ე. ი. დღევანდელი კაპიკის ეკვივალენტი) ერთეულისათვის **მწვლილი**, ხოლო ბანკნოტის საწყისი ასათვლელი (ე. ი. დღევანდელი **მანეთის** ეკვივალენტი) ერთეულისათვის — **დრამა.**

**მწვლილი** ძალიან ძველი სიტყვა ხმარებისაა. ის რეალიზებულია ბიბლიურ წიგნთა ძველ ქართულ ვერსიებში (ლკ. 21, 2; მრ. 12, 42-59) და მისი ფარდი ბერძნული **ლეპტოს-ის** მსგავსად გადმოსცემს უმცირესი ღირებულების სპილენძის მონეტის შინაარსს, სხვათა შორის, ამ სიტყვის ფონეტიკური გამარტივებითა და მნიშვნელობის ცვლითაა მიღებული დღევანდელი **წვლილი** (მცირე შეწირულება; წილი) სიტყვა აშკარად ქართულია, მაგრამ ანლაუტში თანხმოვანთა დაჯგუფება რამდენადმე აძნელებს მის გამოთქმას. თუ ის ძველი მნიშვნელობით მობრუნდება, ეტიმოლოგიური შინაარსის გაცნობიერება სტაბილურს გახდის მის არტიკულაციას, რომ დღევანდელი „წვლილ" ფორმისგან გაიმიჯნოს.

რაც შეეხება **დრამა**-ს, ის, მართალია, მოდის ბერძ. **დრაქმე**, **დრაქმა**-საგან (შდრ. დიდრაქმა „ორი დრაქმა". მზ. ანდრონიკაშვილის აზრით კი, საშ. სპარსული **დრამ**-ისგან უნდა მოდიოდეს), მაგრამ ადაპტირებულია ქართულ ფონეტიკურ გარემოში. ამიტომაც ა-ზე ფუძედაბოლოებიან ქართული სახელივით იკვეცება („გამოსცის ხარკი **დრამისა**, მ. 17, 24 c). თავად ნასესხები სიტყვის ადაპტაცია **ხშირი** და **ხანგრძლივი** ხმარების შედეგია და აქაც ასეა: **დრამა** ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ხმარების სიტყვაა ქართულში, V საუკუნიდან მოყოლებული (ნახმარია სახარების ძველ თარგმანში) იგი მთელ შუა საუკუნეების მანძილზე ფუნქციონირებდა. მისი ღირებულება, ისე როგორც სხვა ფულადი ერთეულებისა, ისტორიულად სტაბილური არ იყო. დრამა, როგორც ვერცხლის მონეტა, დაახლოებით ხუთ შაურს უდრიდა, წონით ექვსი (საბა) ან ოთხი (ნ. ჩუბინაშვილი) დანგი იყო ანუ სამნახევარი გრამი (ი. ჯავახიშვილი). თავად დანგი ვერცხლის შაურიანის წონა იყო (დ. ჩუბინაშვილი), მაგრამ მთავარი ის კი არაა, **დრამა** კონკრეტულად სხვადასხვა დროს რა ღირებულების ფულს აღნიშნავდა, არამედ ის, რომ **ქართულ ენობრივ სამყაროში ყველაზე დიდხანს** ცხოველმყოფელობდა და ამიტომაც **განზოგადდა** მისი მნიშვნელობა ძველადვე: ფულისა და წონის ერთეულების გვერდით **ცოტას, მცირესაც** გამოხატავდა, რუსთველი, სამივე მნიშვნელობით ხმარობს მას: 1. **ფულის** ერთეულისა: „სასმელ-საჭმელი მოიღეს, ქალაქს ნასყიდი **დრამითა** (1217, 3). 2. **წონის** ერთეულისა: „დაცოხნის, ლუკმა გატყორცის, წონა ძლივ ჩანთქის **დრამისა** (923,4). 3. **ოდნავის**, ცოტას აღსანიშნავად: „ცოტაი ლხინი მომეცა, მსგავსი **დრამისა** წონისა" (1236,4), „ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა **დრამასა**" (544.3).

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ **დრამა** სიტყვის ხმარების ხანგრძლივობასა და ქართულში გაშინაურებას, შეუძლებელი არ მოგვეჩვენება, ის გამოყენებული იქნეს ქართული ეროვნული ფულის, კერძოდ, ბანკნოტის ყველაზე მცირე, საწყისი ერთეულის, **მანეთის** მნიშვნელობის გადმოსაცემად. ცხადია, როგორც ყოველ სიახლეს, ისე ახალი სიტყვების შემოღებას გარკვეული უხერხულობის განცდა ახლავს. ამ შემთხვევაშიც ასე იქნება. მაგრამ დროთა განმავლობაში უჩვეულობის განცდა დაიძლევა, სიტყვა გაჩვეულებრივდება და, ალბათ, საჩოთიროც არ იქნება, რომ დღევანდელი, ვთქვათ, „ორი მანეთი და ათი კაპიკი" გამოიხატოს ასე: „ორი დრამა და ათი მწვლილი", ან კიდევ: „ორი მარჩილი და ათი კერმა". არის სხვა შესაძლებლობებიც. მაგრამ ერთი ნათელია: ქართული ფულის სახელწოდებებად რაც უფრო მეტი ერთეული იქნება შემოთავაზებული, მით უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურთ, რომ ვარიანტთაგან უკეთესი აარჩიონ.

**კორნელი დანელია**

**საქართველო დახატები**

ლ. ხარანაული — ზურას პორტრეტი;

რ. გელაძე — ქალის პორტრეტი;

მ. წულეისკირი — „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა..."








მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი მამუკა წიკლაური



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65. 95-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალებს ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO"
THE NEWSPAPER
OF WRITERS OF THE
REPUBLIC OF GEORGIA

გამოდის პარასკეობით